გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№40 (796) 10 – 11 აპრილი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

# 9 აპრილის მისტერია და უპასუხოდ დარჩენილი კითხვები

## „გარდაცვლილთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და...“

გვ. 2–3



„9 აპრილი ეს არის სამოქალაქო აღდგომა, მაგრამ ამ დღის ზეიმად გამოცხადება შემდეგ კითხვებს ბადებს — რატომ ხდება ეს დღეს, ანუ ახალი ხელისუფლების მიერ. ეს ინიციატივა რას უკავშირდება, საინტერესოა ისიც, რატომ დაიწყეს ამ დღეებში ასეთ ინტენსივობით დამოუკიდებლობის აქტის მოძიება...“

## „ეს ყველაფერი ბინძური ტყუილია!“



„ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ნაძალადევში, თამარ კორძაია ყველა უხერხულ კითხვას პასუხობს!

გვ. 5

გვ. 12–13



## კომპრომატები, რომელსაც ბერეზოვსკის ანდერძის თანახმად, პუტინს გამოუქვეყნებენ!

## მარგარეტ ტეტჩერი: „არ დავტოვებ პოსტს, სანამ არ დავიღლები, მე კი არასოდეს დავიღლები, სანამ ბრიტანეთს ვჭირდები!“

როდის იტირა საჯაროდ, რატომ ეშინოდა შიმშილით სიკვდილის და როგორ დაგეგმა საკუთარი დაკრძალვის ცერემონია „რკინის ლედიმ“



გვ. 15

მარი შათირიშვილი

# „9 აპრილს გარდაცვლილთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და...“

**სხვისი არ ვიცი და თარიღი „9 აპრილი“, პირადად ჩემთვის, უპირველესად, მერაბ კოსტავასთან ასოცირდება. „ქართველი ერის ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები და ეს წამი არის ერთ-ერთი უდიდებულესი...“ – დარწმუნებული ვარ, მერაბ კოსტავას ამ სიტყვებით, მთავრობის სახლის წინ მდგომმა ათასობით ადამიანმა ქვეცნობიერად მაშინვე იგრძნო, რომ სწორედ იქ და მაშინ წყდებოდა მისი ქვეყნის ბედი. ზუსტად 2 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ უკვე უმაღლესი სახელისუფლო ტრიბუნიდან, 1918 წლის 26 მაისის დეკლარაციის საფუძველზე, სრულიად საქართველოს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა ამცნო. „9 აპრილს გარდაცვლილთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ საქართველოში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი...“ – დარწმუნებული ვარ, მომავალი პირველი პრეზიდენტის ამ სიტყვებმა ყველა დაარწმუნა გადაწყვეტილების მართებულობაში – სწორედ ამ დღეს მომხდარიყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება.**





1989 წლის ტრაგედიიდან 24 წელი გავიდა, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებიდან – 22. არც მერაბ კოსტავა და არც ზვიად გამსახურდია ცოცხლები აღარ არიან. პირველი – გაურკვეველ გარემოებებში, ავტოკატასტროფაში დაიღუპა, როგორც ეროვნული გმირი, მეორე – გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა სამეგრელოს ტყეში, როგორც დევნილი პრეზიდენტი. ბევრჯერ იყო მცდელობა მავანთაგან, დაეკნინებინათ 1989 წლის 9 აპრილის მნიშვნელობა და წარმოეჩინათ, როგორც „უაზრო სისხლისღვრა, რომლის გარეშეც დაიშლებოდა საბჭოთა კავშირი და გავხდებოდით დამოუკიდებელი ქვეყანა”. ბევრი ე.წ. ექსპერტი და პოლიტოლოგი დღესაც ამ მოსაზრებას ავითარებს. ეს სრულიად არაადეკვატური დამოკიდებულებაა. ამას წინათ, ერთმა ფრიად საპატივსაცემო ადამიანმა პრესაში ისიც კი განაცხადა – რა გახდა ეს 9 აპრილი, 1-2 წელზე მეტ ხანს ოჯახის წევრს აღარ გლოვობენო (?!). არ ვიცი, ამ ადამიანს ახსოვს თუ არა 1989 წლის 9 აპრილი, არც ის ვიცი, რა განათლებისა და ღირებულებების მქონეა და პრინციპში, დიდად არც მაინტერესებს, რადგან ის არა ერთი ინდივიდია, არამედ — კრებითი სახე საზოგადოების იმ ფენისა, რომელსაც მიაჩნია, რომ ამ თარიღთან დაკავშირებით გლოვა საკმარისია და დროა, საზეიმო თარიღად გამოცხადდეს.

მე 1989 წლის აპრილის დღეების მონაწილე ვარ, თუმცა მაშინ ჯერ სკოლის მოსწავლე ვიყავი ისევე, როგორც ბევრი ჩემი მეგობარი. უშუალო შეხება მქონდა მომხდართან და ამიტომ მთავრობის სახლთან განვითარებული მოვლენების აღქმა უფრო ადეკვატური მაქვს. ძალიან კარგად მახსოვს ის პროცესი, რაც 9 აპრილს, გამთენიისას დაიწყო, როდესაც ტაქსების მძღოლებმა და რუსის ნიჩბებს გადარჩენილებმა მანქანების სიგნალებით გააღვიძეს მძინარე ქალაქი.

**ეს იყო ნამდვილი გლოვა, რომელიც არა მხოლოდ 21 დაღუპული ადამიანის სამძიმარი გახლდათ, არამედ შეურიგებელი, ნამდვილი ბრძოლა იმპერიასთან. ეს არ იყო ჩვენი ისტორიული მარცხი, რომლის გლოვაც მუდმივად ნამდვილად არ შეიძლება. ეს იყო ტრაგედია და უნდა დარჩეს ქართველი ერის ხსოვნაში მათთვის პატივის მიგების დღედ, ვინც ძალმომრეობის მიმართ უიარაღო, მშვიდობიან პროტესტს ემსხვერპლა!**

შეგნებული, მიზანმიმართული ძალადობის საბოლოო დადასტურება 9 აპრილს, კომენდანტის საათის გამოცხადების შემდეგ მოხდა, რომელიც მაშინვე შევიდა ძალაში — 1 საათში რუსმა კაპიტანმა ლოხინმა ერთი კარგი თბილისელი ბიჭი – გია ქარსელაძე მოკლა. გია მანქანით ქალაქში ბრუნდებოდა. სკეპტიკოსებისთვისაც კი, მაშინვე აზრი დაკარგა რუსი გენერლის მტკიცებამ, თითქოს მომიტინგეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს სამხედროებს, ანდა ხალხი ჭყლეტაში დაიღუპა. 25 წლის ქართველი ბიჭის დახვრეტა ქუჩაში, როცა თბილისს უკვე ჯავშანმანქანებზე შემომსხდარი ნიჩბიანი რუსი სპეცნაზელები აკონტროლებდნენ, იმპერიის ღია განაცხადი იყო.

პარლამენტის შენობა თბილისში, რომლის წინაც 9 აპრილის ტრაგედია მოხდა და რომელშიც საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა, 90-იანებში სამხედრო გადატრიალებას შეეწირა. ცეცხლმოდებული და დამწვარი პარლამენტის შენობა მორიგი ქართული სირცხვილის სიმბოლოდ იქცა. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე ქართული პოლიტიკის ეპიცენტრია. ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ყოველთვის დარჩება კიტოვან-იოსელიანის ჩამოყვანილ სახელმწიფოს იმ მეთაურად, რომელმაც დამოუკიდებლობის აღდგენიდან ორიოდ წელიწადში დსთ-ში შეიყვანა საქართველო, ყოველთვის გრძნობდა უხერხულობას, როცა იძულებული იყო, 9 აპრილს, პარლამენტის წინ ყვავილების გვირგვინი მიეტანა.

ნაციონალები ამ თარიღს თითქოს რაღაცნაირად, იგნორირებას უკეთებდნენ – მათთვის ხომ საქართველოს უახლესი ისტორია 2003 წლიდან იწყებოდა! თუმცა, პატივს სცემდნენ ტრადიციას და 9 აპრილის მემორიალს ყვავილებით ამკობდნენ.

სამაგიეროდ, არანაირ უხერხულობას და პასუხისმგებლობას არ გრძნობს ე.წ. შემოქმედებითი-მმართველი ელიტა, დაყენებული სახეებით რომ მოძღვრავდნენ ერს ტელეეკრანებიდან 1989 წლის 9 აპრილს და შემდგომ დღეებში, 1992-93 წლების ე.წ. თბილისის ომის დროს და შემდგომ – ნახანძრალი პარლამენტის შენობიდან, მაშინაც, როდესაც 2003-ში სააკაშვილის კოლონებს მოუძღვოდნენ და ასევე წარმატებულად რომ ახერხებენ, დღესაც საზოგადოების მენტორები იყვნენ.

**მათთვის 1989 წლის 9 აპრილი ამაოდ დაღვრილი სისხლია და 1991 წლის 9 აპრილი – ზვიად გამსახურდიას ავანტიურა. არავითარი პასუხისმგებლობის გრძნობა და მით უფრო – ბოდიშის მოხდა მაინც საზოგადოებისთვის, რომ მინიმუმ არაფერი გაუკეთებიათ იმისთვის, რათა ეს ყველაფერი არ მომხდარიყო. ისინი ახლაც მივლენ 9 აპრილის მემორიალთან და მის მნიშვნელობაზეც ილაპარაკებენ.**

ახალი მმართველი პოლიტიკური გუნდისთვის წელს პირველი 9 აპრილია. ეს თარიღი მისთვის ტესტი იქნება, თორემ 9 აპრილის მონაწილენი და პოლიტიკური „ფეისები” (ვინც ცოცხალია ანდა აპათიას არ შეუპყრია) მემორიალთან რომ მივიდნენ და თითო სანთელი დაანთეს, არავის გაკვირვებია. შრომის კოდექსში ჩაიწერა — „9 აპრილი — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობის და სამშობლოსთვის დაღუპულთა მოგონების დღე“, ოფიციალური უქმე. ვფიქრობ, ზუსტი და ლაკონური განმარტებაა. არსადაა ნახსენები სიტყვა „საზეიმო“ ან „სადღესასწაულო“ და, მერწმუნეთ, ამის საფუძველი რომ ყოფილიყო, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ზეიმის გამოცხადებას ვერავინ დაასწრებდა.

დარწმუნებული ვარ, 9 აპრილს ახალი ხელისუფლება კონკრეტულ ღონისძიებებს ჩაატარებს. სახეები, რომლებიც სამთავრობო ღონისძიებაზე გამოჩნდებიან და დამოკიდებულება – რა არის მათთვის 9 აპრილი, იქნება პასუხი კითხვაზე, რომელიც ბევრს აწუხებს – საით მიდის ქვეყანა და შედგება თუ არა ბოლოს და ბოლოს საქართველო, როგორც ღირსეული, დამოუკიდებელი სახელმწიფო. ისეთი, როგორზეც 24 წლის წინ ჩემი თაობის თამუნა ჭოველიძე, ეკა ბეჟანიშვილი და ნათია ბაშალეიშვილი, ჩემი მშობლების თაობის მანანა ლოლაძე, ნოდარ ჯანგირაშვილი და ნანა სამარგულიანი, ჩემი ბებია-პაპების თაობის ზაირა კიკვიძე და თინა ენუქიძე ოცნებობდნენ.



## 9 აპრილს მოწამლულები ხელისუფლებას ყოველთვიური ფულადი დახმარების აღდგენას სთხოვენ

1989 წლის 9 აპრილს მოწამლულები ხელისუფლებას ყოველთვიური ფულადი დახმარების აღდგენას სთხოვენ. 9 აპრილის მემორიალთან 9 აპრილს მოწამლული მოქალაქეები შეიკრიბნენ და პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

როგორც 9 აპრილის მოვლენების ერთ-ერთმა მონაწილემ, ნინო მაისურაძემ განაცხადა, 1989 წლის 9 აპრილს, რუსი ჯარისკაცების მიერ გაშვებული მომწამვლელი აირით მოიწამლნენ და შემდგომ წლებში ისინი ყოველთვიურად 24-ლარიან დახმარებას იღებდნენ, თუმცა გასულ წლებში აღნიშნული დახმარება მოეხსნათ. როგორც ნინო მაისურაძე აცხადებს, სულ ასი ოჯახი იღებდა ასეთ დახმარებას და ისინი, ძირითადად, სოციალურად დაუცველები არიან.

**„ბევრი მათგანი უმძიმეს მდგომარეობაშია, ის მცირედი დახმარება რომელსაც ყოველთვიურად, ოცდაოთხი ლარის სახით ვიღებდით, წამლებში არ გვყოფნიდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი იყო. ვთხოვთ ახალ ხელისუფლებას, ჯანდაცვის მინისტრს, რომ ეს ყოველთვიური დახმარება აღგვიდგეს. პირადად, ათ ადამიანს ვიცნობ, რომლებიც 1989 წლის 9 აპრილს მოიწამლა და ისინი უმძიმეს მდგომარეობაში მწვავე ლეიკემიით არიან დაავადებულნი, გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო“,** – განაცხადა ნინო მაისურაძემ, რომელსაც იმედი აქვს, რომ ახალი ხელისუფლება 9 აპრილს მოწამლულებს სათანადო ყურადღებას მიაქცევს.

***„ინტერპრესნიუსი“***

# 9 აპრილის მისტერია და უპასუხოდ დარჩენილი კითხვები





ნინო კომახიძე
599-95-33-16

9 აპრილის ტრაგედიის 24 წლისთავი განსხვავებულად აღინიშნა — კოჰაბიტაციურად, პომპეზურად და საზეიმო განწყობით. რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ აღმართულ მემორიალთან, დილის 4 საათიდან მთელი დღის მანძილზე ხალხის ნაკადი არ შეწყვეტილა — 9 აპრილის მონაწილენი, გმირულად დაღუპულთა ოჯახების ახლობლები, ყოფილი და ახლანდელი მინისტრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ჩოხოსნები, უზენაესი საბჭოს წევრები, პოლიტიკოსები, პარლამენტარები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. თუმცა მთავარი ღონისძიება 15 საათზე დაიგეგმა — მოქმედი პარლამენტის წევრებმა გვირგვინით შეამკეს 9 აპრილის მემორიალი, ხოლო სამღვდელოებამ დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა. ამის შემდეგ პარლამენტში, შოთა რუსთაველის სახელობის დარბაზში მიღება გაიმართა, რომელშიც პრემიერ-მინისტრი, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წევრები და 1990 წლის უზენაესი საბჭოს დეპუტატები მონაწილეობდნენ.

15 საათისთვის ძველი პარლამენტის წინ ხალხმრავლობა სულაც არ ყოფილა, 200-ოდე ადამიანმა მოიყარა თავი და ისინიც ორად იყვნენ გაყოფილი — ერთნი 9 აპრილის მემორიალთან ივანიშვილისა და მისი გუნდის გამოჩენას ელოდნენ, მეორენი — პარლამენტის კიბესთან შეჯგუფულიყვნენ, სადაც უწყვეტ რეჟიმში, სიტყვით მხოლოდ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი გამოდიოდა. საერთო კონტექსტიდან სწორედ ეს ჯგუფი იყო ამოვარდნილი — წერეთელი და მისი მომხრენი ივანიშვილის ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ და, შესაძლოა, 25 აპრილს, ახალი სახელმწიფო პოლიტიკის, განსაკუთრებით, სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის წინააღმდეგ, რამდენიმეკაციანი შიმშილობაც დაიწყოს.

ცოტა ხანში, ყოფილი პარლამენტის ცენტრალური შესასვლელიდან ივანიშვილი და დეპუტატები გამოჩნდნენ საინტერესო შემადგენლობით. პარლამენტის კიბიდან მემორიალამდე გზას ერთმანეთის მიყოლებით მიიკვლევდნენ ზურაბ აბაშიძე, დავით ბერძენიშვილი, გიორგი ბარამიძე, ზვიად ძიძიგური, დავით ბაქრაძე, ზაქარია ქუცნაშვილი და მანანა კობახიძე. გაისმა რამდენიმე უკმაყოფილო შეძახილი, ეს რა კოჰაბიტაციური 9 აპრილი გაგვითენდაო, ზვიად ძიძიგურს კი უკან შეკრების ერთ-ერთი მონაწილე გაეკიდა კომენტარით — აქ რა პირით დგახარ, როცა ციხეში მთელი ეროვნული მოძრაობა გაყიდეო. თუმცა ყველა „დაუპატიჟებელი სტუმარი“ დაცვის ათობით თანამშრომელმა მოხერხებულად ჩამოიშორა და მედიის ყურადღების ცენტრში გვირგვინით ხელდამშვენებული ხელისუფალნი მოექცნენ.

ფაქტობრივად, ერთგვაროვანი აღმოჩნდა პარლამენტის წევრთა შეფასებები — უმრავლესობა-უმცირესობის შეთანხმებული პოზიციით, 1989 წლის 9 აპრილი ტრაგედია კი არა, დღესასწაულია! მის სოლიდურად აღნიშვნაზე ისაუბრა „რესპუბლიკელმა“ **დავით ბერძენიშვილმა: „1989 წლის 9 აპრილს, დიდი ტკივილით ხელახლა დაიბადა საქართველო. 9 აპრილს შედგა, ფაქტობრივად, საქართველოს დამოუკიდებლობა, ხოლო 2 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, უზენაესმა საბჭომ ფორმალურად და იურიდიულად, გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისია, 9 აპრილი კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა — 9 აპრილი ტკივილიანი სიხარულის დღეა, ეს გლოვაცაა და ზეიმიც, ეს არის 1989 წელს დაღვრილი სისხლისა და შემართების საფუძველზე, 1991 წელს ყველაზე დიდი საზეიმო დღის გაჩენა თანამედროვე ისტორიაში, ამიტომ არ შეიძლება, ორიენტირებულები ვიყოთ მხოლოდ წარსულსა და ტკივილზე. არა მგონია, თუნდაც უზენაესი საბჭოს წევრებს, 1989 წლის 9 აპრილის სოლიდურად აღნიშვნა ეწყინოთ!“**

როგორც ჩანს, არც სწყინთ, ყოველ შემთხვევაში, ასე განუცხადა „ვერსიას“ დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთმა ხელმომწერმა, **მირიან წიკლაურმა,** რომელიც დღევანდელ პარლამენტში ყაზბეგის რაიონის მაჟორიტარია: **„9 აპრილი გლოვის დღე არ არის, რადგან ამ დღეს ქართველი ხალხის სულის აღმაფრენა მოხდა! ხორცს სულმა აჯობა, მიტინგზე მდგომმა ხალხმა კი სრულიად შეგნებულად გაწირა თავი. ისე, ნებისმიერი წმინდანის ხსენების დღე ხომ მათი მოწამეობრივი გარდაცვალების დღეა. მე თუ მკითხავთ, 9 აპრილს დაღუპულებიც მოწამეები არიან და მათი ხორცის გაყრა სულისაგან მათი ზეცაში ამაღლება იყო. 9 აპრილი მათი სულის სადიდებელ დღედ უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს, 2 წელში, მათი დაღუპვის დღეს, საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. ჩემს გასაგონად, ამ აზრის საწინააღმდეგო არავის არაფერი უთქვამს. საბედნიეროდ, იმ პარლამენტის წევრიც ვიყავი და ამ პარლამენტისაც ვარ, რაც ძალიან მეამაყება — ჩემი ცხოვრების მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის ხილვა იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერა კი — ჩემი ოცნება!“**

უზენაესი საბჭოს წევრმა **ტარიელ ფუტკარაძემ კი განაცხადა: „9 აპრილი არის საქართველოს ახალი დიდგორი. მართალია, დიდგორში ბევრი ქართველი დაიღუპა, მაგრამ ეს დიდი გამარჯვების დღეა! 9 აპრილიც ქართველი ერის გამარჯვების დღეა, გაიმარჯვა ერმა, რომელსაც დამოუკიდებლობა სურდა! ამ დღეს მე აქ ვიყავი — 89-შიც და 91-შიც და ქუჩაში ყველანი გააზრებულად ვიდექით, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით, შესაძლოა, დავხოცილიყავით! ეს იყო მსხვერპლშეწირვა და არა ტრაგედია — არც ქვა დასცემია თავში ვინმეს და არც მიწისძვრა მომხდარა, რომ 9 აპრილი ტრაგედიად შევრაცხოთ, ყველა გააზრებულად შევიდა ამ ბრძოლაში! ასე რომ, ეს დიდი გამარჯვების დღეა ჩვენთვის, ხოლო გლოვის დღე საბჭოთა იმპერიისთვისაა! ჩვენ 9 აპრილს დაღუპულ გმირებს პატივი უნდა მივაგოთ და ამის მერე გამარჯვების დღე ვიზეიმოთ“.**

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი **გიორგი ბარამიძე,** რომელიც 90-იან წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით სტუდენტების ერთ-ერთ ფრთას ედგა სათავეში ამბობს, რომ **„პარლამენტში ჯერ ამ თემაზე სერიოზული მსჯელობა არ ყოფილა, უნდა ვიზეიმოთ თუ არა 9 აპრილი, თუმცა ყოველთვის ასე იყო: 9 აპრილი არა მარტო გლოვის, არამედ დამოუკიდებელი საქართველოს იდეის გამარჯვების დღეც გახლდათ და მესმის იმ ადამიანების არგუმენტები, ვინც ამ დღის საზეიმოდ გამოცხადებას გვთავაზობს“.**

განსხვავებული აზრი არც ყველა მთავრობის ოპოზიციაში მყოფ **ირაკლი წერეთელს** დაუფიქსირებია: **„9 აპრილი საქართველოსთვის მარტო გლოვა არ არის — ეს დღე უნდა გამოცხადდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის დღედ, ოღონდ 26 მაისი უნდა დარჩეს დამოუკიდებლობის დღედ. მე ვიზიარებ პოზიციას და მოითხოვ, 9 აპრილი ეროვნული თავგანწირვის დღე გახდეს!“**

რუსთაველის სახელობის დარბაზში, მიღებაზეც, უზენაესი საბჭოს არაერთ ცნობილ სახეს მოეყარა თავი. მოწვეულ სტუმართა შორის, ცხადია, იყო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი,** რომელმაც განაცხადა:

**„9 აპრილს, ღამე, დაღუპულებისთვის პატივის მიგების შემდეგ, დღისით უნდა ვიზეიმოთ. ეს დღესასწაულია, რადგან რეალურად, ჩვენი ხალხის მიერ მოპოვებული დამოუკიდებლობა აღდგა ქვეყანაში, განსხვავებით 1918 წლის 26 მაისისგან, როცა შემთხვევით ჩამოვარდა რუსეთის იმპერია. ის ხალხი, ვინც ამ დღეს დაუღუპა, სწორედ ამ მიზანს შეეწირა და ეს იყო ზვიად გამსახურდიას არგუმენტიც!“**

ზვიად გამსახურდიას თანაკოალიციელი, „ქარტია 91“-ის წევრი **გელა ჩორგოლაშვილი** 9 აპრილს „სამოქალაქო აღდგომას“ უწოდებს და საინტერესო კითხვას სვამს: **„9 აპრილი ზეიმის დღეა, ოღონდ იცით, როგორაა საქმე — თავის დროზე, კარგი ფორმულა თქვა ზვიადმა: ეს არის დღე უდიდესი სიმძიმილისა და დღე უდიდესი გამარჯვებისა! ეს მართლაც ცრემლნარევი სიხარული, ქართული ემოციაა ასეთი, შეიძლება სიყვარულზე, სიცოცხლეზე იმღერო, მაგრამ ცრემლით, ესეც სწორედ ასეთი აქტია საქართველოს ისტორიაში. შემთხვევითი არ იყო, რომ 9 აპრილი დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოცხადდა, ამიტომ ამ დღეს ცოტა მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ვიდრე მხოლოდ გლოვა. 26 მაისს, რესპუბლიკის დაფუძნების დღეს, წინ სწორედ 9 აპრილი, დამოუკიდებლობის აღდგენის დღე უძღვოდა, სწორედ ეს საფასური დასჭირდა ჩვენი თავისუფლების აღდგენას და ასეთი დიდი მსხვერპლი მოითხოვა შექმნილმა ვითარებამ, რათა დამოუკიდებლობა გაგვეფორმებინა — ეს მისტერია შედგა!**

**იცით, სიკვდილი არ არის ყოველთვის ტრაგედია, მით უმეტეს, გააჩნია, რისთვის კვდები — იმათი სულები, ვინც დღევანდელი გადმოსახედიდან, თითქოს, 9 აპრილს შეეწირა, დღეს ზეიმობენ! 9 აპრილი ეს არის სამოქალაქო აღდგომა, მაგრამ ამ დღის ზეიმად გამოცხადება სულ სხვა საკითხია. აქ უკვე ისმის შემდეგი კითხვები — რატომ ხდება ეს დღეს, ანუ ახალი ხელისუფლების მიერ. ეს ინიციატივა რას უკავშირდება, საინტერესო და გასაანალიზებელი თემაა, საინტერესოა ისიც, რატომ დაიწყეს ამ დღეებში ასეთ ინტენსივობით დამოუკიდებლობის აქტის მოძიება და ა.შ.“**

ამასობაში, მიღებაც დასასრულს მიუახლოვდა და პრემიერმა **ბიძინა ივანიშვილმა,** სიტყვით გამოსვლის შემდეგ, მედიისთვის კომენტარი გააკეთა: **„იმ პერიოდში, რასაც საბჭოთა კავშირი ერქვა, ჩვენ შემთხვევით არ ვიყავით პირველები, ვინც გავილაშქრეთ ის წინააღმდეგ და სისხლიანი თავისუფლებისთვის თავი გავწირეთ! 1989 წლის 9 აპრილს ის კი მოვახერხეთ, რომ გვეჩვენებინა ქართული ხასიათი, 1991 წელს, 2 წლის შემდეგ მოვახერხეთ თავისუფლების აღდგენა, მაგრამ ისიც მოვახერხეთ, რომ ჩვენი პირველი პრეზიდენტი ცოცხალი აღარ არის! ამის შემდეგ ისიც ვიცით, როგორ მოვექეცით მეორე პრეზიდენტს. ახლა მესამეს ჯერია და უნდა მოვახერხოთ, რომ უფრო კულტურულად მოვიქცეთ. თავისუფლებისკენ სწრაფვის გარდა, კულტურაც უნდა ვაჩვენოთ. ძალიან ცოტანი დავრჩით, მილევადი ერების რიცხვში შეგვიყვანა გაერო-მ, წინ კი ძალიან დიდი პრობლემებია, ამიტომ უნდა შევძლოთ და მხარი მხარს შევუდგათ, ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევის ნაცვლად, ამიტომ ეს დღე, ამ მხრივ, შეიძლება, ძალიან სიმბოლურიც იყოს. დღეიდან, შესაძლოა, ყველამ ერთად, მართლაც მოვახერხოთ ქვეყნის ჭეშმარიტი გაერთიანება და ბრძოლა ქვეყნის რეალური პრობლემების წინააღმდეგ“.**

ივანიშვილის ამ სამშვიდობო გამოსვლის შემდეგ, დარბაზში ღვინით სავსე ჭიქები ჩამორიგდა.



# გია ცაგარეიშვილი: „პარლამენტის დარბაზების დანგრევის ბრძანება დავით ბაქრაძემ გასცა, რაზეც პასუხს აუცილებლად აგებს და ამაში კოჰაბიტაცია ვერ უშველის!“

რუსუდან შელია
557-100-768

**ახალი მოწვევის პარლამენტში პოლიტიკურ პასიურობას გარემოს დაცვის სფეროში აქტიური მუშაობით ხსნის და იმ ყოფილი მაღალჩინოსნების ვინაობასაც საჯაროდ ასახელებს, რომლებმაც ქვეყანა, ფაქტობრივად, ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანეს. დადგება თუ არა გოგა ხაჩიძის პასუხისმგებლობის საკითხი, რატომ აიღო პრემია ორჯერ და ვინ ინაწილებს მთავრობაში გავლენებს, „ვერსიის“ კითხვებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გია ცაგარეიშვილი პასუხობს.**



— კოალიციის ერთ-ერთი უმთავრესი წინასაარჩევნო დაპირება გარემოს დაცვის სფეროში არსებული პრობლემების მოგვარება იყო, რომელიც წინა ხელისუფლების პირობებში, აბსოლუტურად გაჩანაგებული დაგვხვდა. წარმოიდგინეთ, სამინისტროს ცენტრალურ აპარატს შენობა ისე გაუყიდეს, თურმე ამის შესახებ თავად მინისტრიც კი ინფორმირებული არ ყოფილა. თუ შენობის გასხვისების შესახებ გოგა ხაჩიძემ იცოდა და გვატყუებს — დამნაშავეა, ხოლო თუ რეალურად ინფორმაცია არ ჰქონდა, გამოდის, ბრიყვია და ამას აღიარებს. წარმოიდგინეთ, სამინისტროს შენობა დღესაც არ აქვს და თანამშრომლები, ფაქტობრივად, სხვის საკუთრებაში შეჭრილებად ითვლებიან.

**— თუ გოგა ხაჩიძეს, რომელიც სხვათა შორის, თქვენ თანაგუნდელ თეა წულუკიანს უდიპლომო მინისტრს უწოდებს, უკანონობაში ასე საჯაროდ ამხელთ, რატომ არ დგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი?**

— გოგა ხაჩიძესთან ერთად, ალექსანდრე ხეთაგურის მორალური პასუხისმგებლობის საკითხი უკვე დამდგარია.

**ხათუნა გოგალაძის უწყებამ ეკონომიკის სამინისტროს უკვე მიმართა წერილით, რომ შენობა კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეს. იმედი მაქვს, ეს პრობლემა უახლოეს მომავალში გადაწყდება. რაც შეეხება გოგა ხაჩიძის განცხადებას თეა წულუკიანის დიპლომთან დაკავშირებით, ვფიქრობ, პარლამენტში ერთი ტაკიმასხარა უნდა გვყავდეს. კომიკური პერსონაჟი გოგა ხაჩიძე, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტროში ცელქი ბავშვის როლს ასრულებდა და რომელსაც ხან პანღურს ამოარტყამდნენ და ხანაც თავში წაუთაქებდნენ, ახლა მთელ პარლამენტს ახალისებს. ასე რომ, რას იტყვის ხაჩიძე იუსტიციის მინისტრზე, ნაკლებად მნიშვნელოვანია.**

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ პროკურატურაში გავლენის სფეროების გადანაწილების პროცესი ჯერაც გრძელდება. ბევრი მინისტრთა კაბინეტში არსებული შიდადაპირისპირების გამო, სამთავრობო ცვლილებებსაც ელოდება...**

— გავლენის გადანაწილება პროკურატურაში კი არა, არც ერთ სამთავრობო სტრუქტურაში არ ხდება და იცით, რატომ? პირველ რიგში, გავლენის მოპოვების ინტერესი მთავრობის ხელმძღვანელს არ აქვს. რაც შეეხება ცვლილებებს, ვფიქრობ, ესეც თითიდან გამოწოვილი თემაა, რადგან მინისტრები საკმაოდ კარგად მუშაობენ და არა მგონია, მათი შეცვლის მიზეზი არსებობდეს. პრემიერ-მინისტრმა ამ მიმართულებით მენეჯმენტი საკმაოდ კარგად ააწყო.

**დღეს მთავრობა თანხებს აბსოლუტურად გამჭვირვალედ ხარჯავს, როცა წინა ხელისუფლების პირობებში ვერავინ არკვევდა, რას ნიშნავდა ბიუჯეტში მითითებული „სხვა ხარჯები“ ან რატომ იწერდნენ მინისტრები წელიწადში 16-ჯერ პრემიას, რომელიც საბოლოოდ, კოლოსალურ თანხამდე ადიოდა. მაგალითად, ადეიშვილის მოადგილე თინა ბურჯალიანი, წლის განმავლობაში, მხოლოდ პრემიის სახით 110 ათას ლარს იღებდა, იგივე ხდებოდა ეკა ტყეშელაშვილის შემთხვევაშიც.**

**— ისიც ფაქტია, რომ მინისტრები არც ახლა იღებენ ნაკლებ თანხას. მთავრობისთვის ხელფასების რამდენჯერმე გაზრდა, ფიქრობთ, გამართლებულია?**

— მარტივია, მინისტრების ხელფასი მხოლოდ იმ მიზეზით გაიზარდა, რომ პრემია გაუქმდა. დიახ, მიმაჩნია, რომ პრემიერმა აბსოლუტურად გამართლებული გადაწყვეტილება მიიღო. სახელმწიფო მოხელეს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეს, რათა მან გვერდით არ გაიხედოს და ბიუჯეტი არ გამოხრას.

**— გამოდის, ბიძინა ივანიშვილი თავისი გუნდის წევრებისგან ბიუჯეტის თანხების გაფლანგვის საშიშროებას ხედავს?**

— არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ, მინისტრებიცა და დეპუტატებიც, ჩვეულებრივი მოკვდავები ვართ და დედამიწაზე სამოთხიდან არ მოვსულვართ. დიახ, ცდუნება იმისა, რომ სხვის ხარჯზე მილიონების შოვნა მოგინდეს, ყველა ადამიანში შეიძლება გაჩნდეს, ამიტომაც სახელმწიფო მოხელისთვის სათანადო ჯამაგირი აუცილებელია.

**— პრემიები პარლამენტშიც უხვად დარიგდა, საინტერესოა, თქვენ რამდენი აიღეთ?**

— ამ ეტაპზე, პრემიები პარლამენტშიც მოიხსნა, რომელიც ხელფასებზე გადანაწილდა. კერძოდ, კომიტეტის თავმჯდომარეების ხელფასი 500 ლარით გაიზარდა და ახლა 3700 ლარს შეადგენს. ზუსტად არ მახსოვს, ერთჯერადად ან შეიძლება ორჯერაც, დეკემბერში პრემია მეც ავიღე, მაგრამ ეს არავის უნდა გაუკვირდეს, პრემიას წინა მოწვევის პარლამენტში, მეტიც, ცხრა წლის განმავლობაში ვიღებდი. საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების დასასრულს, ყველა დეპუტატი ხელფასთან ერთად დანამატს იღებდა, რომელიც, ბუნებრივია, ჩემ დეკლარაციაზეც აისახა. ვფიქრობ, ახლა ხელფასებზე მნიშვნელოვანი ის პროცესია, რომელიც დღეს ქვეყანაში მიმდინარეობს. მაგალითად, აგვისტოს ომის გამოძიების საკითხი. არავინ დავობს, რომ რუსეთი მოძალადე სახელმწიფოა, რომელმაც ქართული მოსახლეობა ცხინვალიდან ეთნიკური ნიშნით გამოდევნა, მაგრამ აქ ის უფრო საინტერესოა, რა გააკეთა საქართველოს მთავრობამ ომის თავიდან ასაცილებლად? პირადად მე, ვფიქრობ, სოხუმის ტრაგედიის შემდეგ, იმ ვაიგენერლებისა და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის პასუხისმგებლობის საკითხი რომ დამდგარიყო, რომლებმაც ომიდან თავის ცხენებს გამოასწრეს, 2008 წლის სისხლიან აგვისტოსაც თავიდან ავიცილებდით. შესაბამისად, დანაშაულებრივი იდეოლოგიის არქიტექტორების დასჯა დღეს აუცილებელ პირობას წარმოადგენს. საერთოდ, ჩვენი მიზანი მარიონეტებთან ბრძოლა კი არა, იმ ადამიანებისთვის ხელების მოჭრაა, რომლებიც ამ მარიონეტებს ათამაშებდნენ.

**— თქვენი ამ განცხადების ფონზე, ყოფილი მაღალჩინოსნებიდან მხოლოდ ბაჩო ახალაიაა დაკავებული, რომლისთვის წაყენებული ბრალდებები ნაციონალური მოძრაობის საქილიკო თემად იქცა...**

— ზოგადად, სამართლიანობის აღდგენა ქვეყანაში დიდი ხანია დაწყებულია. როგორც არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, დაახლოებით, 260 საჯარო მოხელე პასუხისგებაშია მიცემული, მათ შორის, გიგი უგულავაც და ის ხუთი დეპუტატიც, რომელიც გამოძიებასთან არ თანამშრომლობს. რაც შეეხება ბაჩო ახალაიას, თავდაცვის სამინისტროში, ადამიანებს ყელში თასმით გამობმულებს, მიწაზე შიშველს აფორთხიალებდნენ და „აჩუ-აჩუს“ ეძახდნენ. ეს ნორმალურია?

ბაჩო ახალაიასა და მეგის ქარდავას წინააღმდეგ პროკურატურა არაერთ შემზარავ საქმეს უახლოეს მომავალში გაახმაურებს.

**კარგია, რომ 21 აპრილს პოლიტპატიმრების ორგანიზებით აქცია იმართება. თუ სამართლიანობის აღდგენის კუთხით, ხელისუფლებაში ვინმემ მიიძინა, სასწრაფოდ უნდა გამოფხიზლდეს. ერთ რამეს პირადად გპირდებით, შეცდომებს ალბათ დავუშვებთ, რადგან ქვეყნის მართვა სხვა მხრივ წარმოუდგენელია, მაგრამ სისტემური დანაშაული, როგორსაც ნაციონალური მოძრაობა ცხრა წლის განმავლობაში გვთავაზობდა, კოალიციის მმართველობის პირობებში არ იქნება!**

**— წინა მოწვევის პარლამენტში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შენობის გადატანას თავგამოდებული აპროტესტებდით, თუმცა დღეს ამ საკითხმა თქვენთვის აქტუალობა დაკარგა, რატომ?**

— დღესაც ვამბობ, რომ ქუთაისში პარლამენტი ვერ იმუშავებს. ძალიან რთულია, როცა დედაქალაქს, სადაც ადმინისტრაციული ორგანოები მუშაობენ, დეპუტატები აბსოლუტურად მოწყვეტილები ვართ. აკაკი ბობოხიძემ, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით, ტანსაცმელს ტანზე იხევდა — პარლამენტი ქუთაისში უნდა მუშაობდესო, ამიხსნას, რატომ უნდა გადაუხადოს მოსახლეობამ თითოეულ დეპუტატს ბინის ქირაში 535 ლარი, როცა ქვეყანაში ურთულესი სოციალური პრობლემებია? არაფერს ვამბობ დეპუტატების ავტოსაგზაო შემთხვევებზე, რომლის გამოც, დაახლოებით, 10-15 მანქანა პარლამენტის ქონებიდან ჩამოსაწერია. ძველი პარლამენტის შენობაში სათათბირო დარბაზების დანგრევის ბრძანება, უშუალოდ, დავით ბაქრაძემ გასცა, რომელმაც მუშები ელიავადან მოიყვანა. ის ამაზე პასუხს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად აგებს და ამ პროცესს კოჰაბიტაცია ვერ უშველის. შენობის აღსადგენად ტენდერი გამოვაცხადეთ, რომელშიც სამი კომპანია მიიღებს მონაწილეობას და რომლისთვისაც 12 მილიონი ლარი დაიხარჯება. ვფიქრობ, ამ წლის ბოლომდე რემონტი დასრულდება, რის შემდეგაც საკონსტიტუციო ცვლილებებსაც მივიღებთ და პარლამენტს თბილისში გადმოვიტანთ.

ვერსიანიუსი

## აფხაზი სეპარატისტები რეპატრიაციის „სახელმწიფო პროგრამას“ ქმნიან




აფხაზური მედიის ინფორმაციით, რეპატრიაციის კომიტეტის ხელმძღვანელი ზურაბ ადლეიბა აცხადებს, რომ სირიაში სიტუაცია დღითიდღე უარესდება, ამიტომაც „თანამემამულეების“ რეპატრიაციის საკითხი ჯერაც აქტუალურია. აფხაზეთის „საგარეო საქმეთა მინისტრის“, ვიაჩესლავ ჩირიკბას ინფორმაციით, 2012 წლის მაისიდან აფხაზეთში სირიიდან 186 ადამიანია ჩასული. მათ შორის სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები, პენსიონერები. ისინი უარს ამბობენ ლტოლვილის სტატუსის აღებაზე და აცხადებენ, რომ საკუთარ სახლში დაბრუნდნენ. მათივე ინფორმაციით, ამჟამად, აფხაზეთში ჩასვლას 200-მდე სირიელი ელის.

**„სირიაში მცხოვრებ აფხაზებს, აფხაზეთის გარდა, არსად სურთ წასვლა და ისინი სწორედ აქ აპირებენ დაბრუნებას“,** — აცხადებს აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენელი სირიაში შარაფ მარშანი.

ე.წ. რეპატრიაციის ფონდის ხელმძღვანელის, ჯონ სმირის ინფორმაციით, 11 თვის განმავლობაში, სირიიდან ჩამოსული ადამიანების მიღებაზე, ადაპტაციასა და მოწყობაზე გახარჯულია 46 მილიონ 464 ათასი რუბლი. მათ შორის მათთვის ბილეთების შეძენაზე — 336 696 რუსული რუბლი. პანსიონატ „აიტარში“ ცხოვრებასა და კვებაზე — 11 მილიონ 221 ათასი რუბლი. მათთვის სახლებისა და ბინების ყიდვასა და რემონტზე 28 მილიონ 464 ათასი რუბლი. ბინებისთვის ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენაზე 2 მილიონ 342 ათასი რუბლი. შემწეობის გადახდაზე, ბავშვების სამოსსა და ფეხსაცმელზე, სამედიცინო მომსახურებაზე — 3 მილიონ 598 ათასი რუბლი. აფხაზური ენის შესწავლის კურსებზე, კულტურულ ღონისძიებებსა და სატრანსპორტო მომსახურებაში — 368 ათასი რუბლი. ბინის ქირაზე ხუთი ოჯახისთვის — 132 ათასი რუბლი.

აფხაზური მხარის ინფორმაციით, სირიის გარდა, აფხაზეთში „ბრუნდებიან“ ასევე აფხაზური დიასპორის წარმომადგენლები თურქეთიდან, ჩრდილოკავკასიიდან და აჭარიდან, ამიტომაც აუცილებელია რეპატრიაციის ერთიანი პროგრამის შექმნა.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*



# „ეს ყველაფერი ბინძური ტყუილია!"

## „ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატი ნაძალადევში, თამარ კორძაია ყველა უხერხულ კითხვას პასუხობს!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ერთსქესიანთა ქორწინების ლობირება, თავისუფლების ინსტიტუტთან თანამშრომლობა, გლდანის ეკლესიის დარბევაში მონაწილეობა და „რესპუბლიკელების" ჯიბის კანდიდატობა — ეს ის ბრალდებები და კითხვებია, რაც „ქართული ოცნების" მიერ ნაძალადევის რაიონში მაჟორიტარობის კანდიდატად წარმოდგენილი თამარ კორძაიას მისამართით განუწყვეტლივ ისმის. დაძაბული რეჟიმის მიუხედავად, „ვერსიამ" კანდიდატთან შეხვედრა მაინც მოახერხა და ყველა ამ უხერხულ კითხვაზე თამარ კორძაიას ვრცელ განმარტებებს გთავაზობთ:**

— სოხუმში დავიბადე და გავიზარდე. 16 წლის ვიყავი, როცა სოხუმიდან წამოვედი, ფეხით გამოვიარე უღელტეხილი და ჩამოვედი ჭუბერამდე, საიდანაც სოფელ ეცერში ჩავედი. მე-11 კლასში სწორედ ეცერში ვსწავლობდი და თბილისში სკოლის დამთავრების შემდეგ ჩამოვედი. ეს პერიოდი უმძიმესი იყო მთელი ოჯახისთვის. ვცხოვრობდით თბილისის ზღვაზე, დევნილთა ჩასახლებაში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე, ჩემმა ლექტორმა, თემურ ქორიძემ კი გვირჩია, კვალიფიციურად რომ წეროთ, უმჯობესია, სხვა პროფესიას დაეუფლოთო. ამის შემდეგ სამართალმცოდნეობა ავირჩიე, იურიდიული ფაკულტეტი დავამთავრე და ვფიქრობ, ჩემთვის ყველაზე საყვარელი სპეციალობა აღმოვაჩინე. სწავლის პარალელურად, იმის მიუხედავად, უკვე ბავშვები მყავდა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სასწავლო ცენტრშიც დავდიოდი. პრაქტიკულად, საია-ს სკოლამ განსაზღვრა ჩემი კვალიფიკაცია. იქ ჯერ სტაჟიორად მივედი, მერე კონსულტანტის თანაშემწე გავხდი, მერე იყო ერთ-ერთი პროექტი, ანტიკორუფციული მონიტორინგი, რაზეც ვმუშაობდი, მერე გავხდი პროექტის იურისტი, კოორდინატორი და ბოლოს, მისი ერთ-ერთი დიდი მიმართულების ხელმძღვანელი. ანუ ჩემი ბიოგრაფიიდანაც ჩანს, რომ წინსვლას ეტაპობრივად ვახერხებდი. ვიყავი საია-ს გამგეობის წევრი 5 წლის განმავლობაში. ახლა დავწერე განცხადება და უფლებამოსილება შევიჩერე, რაკი საარჩევნო კამპანიაში ჩავები. 2012 წლის თებერვალში კი გადავედი ორგანიზაციაში „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია", რომლის ფეხზე წამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი იყო. წელიწადზე მეტი მის აღმასრულებელ დირექტორადაც ვიმუშავე.

**— საზოგადოებას, ალბათ, კარგად ახსოვხართ „მაესტროს" კონფლიქტში, როცა ორი მხარის მორიგებას ორგანიზაცია „მედია ადვოკატირებისთვის" ეგიდით ცდილობდით — ამ და საერთოდ, თქვენი მუშაობის შედეგებით კმაყოფილი ხართ?**

— ეს იყო მედიაკოალიცია, რომელიც 13 წევრ ორგანიზაციას აერთიანებდა და „მაესტროს" თემა ერთ-ერთი საინტერესო იყო ჩვენთვის. ვფიქრობ, ამ კონფლიქტში კოალიციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, თუმცა არ ვამბობ, რომ კმაყოფილი ვარ, თუნდაც იმიტომ, რომ როცა მიღწეულით კმაყოფილდები, მერე განვითარებას აჩერებ. ახლაც, ჩემი გადაწყვეტილება, ჩავება ამ ბრძოლაში, იმას ნიშნავს, რომ გაჩერებას არ ვაპირებ!

**— თქვენი ახალი გამოწვევა ნაძალადევის მაჟორიტარობაა — თბილისის ამ რაიონთან საერთოდ რა გაკავშირებთ?**

— ნაძალადევში 5 წელი ვიცხოვრე, დევნილთა ჩასახლებაში. ძალიან კარგად მახსოვს და ჩემთვის კარგად ნაცნობია ყველა ის სოციალური პრობლემა, რაც ბევრ ნაძალადეველს დღესაც აქვს. მე ამ ადამიანებს ვპირდები, რომ ძალისხმევას არ დავიშურებ და კანონის ფარგლებში, მათ დასახმარებლად ყველაფერს გავაკეთებ. ვგრძნობ ამ ტვირთს, რასაც საკუთარ თავზე ვიღებ, ისიც მესმის, რომ იმაზე გაცილებით მეტი მუშაობა მომიწევს, რაც აქამდე მიმუშავია!

**— ისე, ნაძალადევი, რომელიც რამდენიმე თვეა კანდიდატის გარეშეა, ძალიან დაიჩაგრა. თან, ყველა თეა წულუკიანს მისტირის, ზოგი კი, საერთოდაც, მას გადარებთ — ეს არ გაღიზიანებთ?**

— არა, არ მწყინს, პირიქით — მეც და თეა წულუკიანიც ერთმა გუნდმა წარგვადგინა და ორივე ერთსა და იმავე ინტერესებს ვემსახურებით. ძალიან საამაყოა იქ რომ დაგასახელებენ, სადაც ქალი იყო კანდიდატი და მანვე მოიგო არჩევნები. კარგია, რომ ქალი ვარ! იმ ადამიანებს დღემდე საოცარი რწმენა აქვთ თეასი და სჯერათ, რომ იგი სამართლიანობას აღადგენს.

**— თქვენ იცით, რომ ამომრჩევლის უმრავლესობის თვალში სამართლიანობის აღდგენა ნაციონალების ლიდერების დაჭერაზე გადის. ამას ჰპირდებით ამომრჩეველს?**

— ვიცი და ეს მოთხოვნა დღესაც აქვს ნაძალადევისა და მთელი საქართველოს მოსახლეობას. ისინი კატეგორიულად ითხოვენ, ბოლომდე იქნას ეს საკითხი მიყვანილი და არც დროში გაიწელოს, თუმცა ყველას ვუხსნი, რომ ჩვენ არ უნდა დავუშვათ, ადამიანების ციხეში ჩასმა დასაბუთების გარეშე; არ უნდა დავუშვათ, ამ ხელისუფლების მიერ დაჭერილმა ადამიანმა მერე საქმე სტრასბურგის სასამართლოში მოგვიგოს! ვფიქრობ, ხალხი მზადაა, მოითმინოს.

**— რეალურად, პარლამენტში იმიტომ შედიხართ, რომ ამ რაიონის წარმომადგენელი იყოთ, თუ იმიტომ, რომ როგორც უსუფაშვილმა დაიწუწუნა, საპარლამენტო „ოცნებას" იურისტების გამოცდილება მიახმაროთ?**

— ამაზე ძალიან მარტივი პასუხი არსებობს — თუ ხალხმა ივანიშვილი აირჩია, ე.ი. მათ აირჩიეს მის მიერ შერჩეული გუნდიც, რომელიც ერთიანი და შეთანხმებულია ზუსტად იმაზე, რასაც მოსახლეობას წინასაარჩევნოდ დაპირდა. რაც შეეხება ჩემს იურისტობას — პარლამენტის სხვა წევრების შესაძლებლობასა და კომპეტენციას არავინ აკნინებს, უბრალოდ, ამ წუთისთვის იურისტების საჭიროება უფრო მეტად დგას. თორემ ყველამ, ვინც პარლამენტში მოხვდა, ბევრი იშრომა, რათა საზოგადოებაში განწყობა შეეცვალა.

**— რაც შეეხება თემას, რომ თქვენ, როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი, უშუალოდ, „რესპუბლიკელების" კანდიდატი ხართ? ეს ერთ-ერთი პუნქტია თქვენს წინააღმდეგ აგორებული ანტიპიარიდან.**

— თუ საზოგადოებას ეს აინტერესებს, მაშინ ავხსნი — ჩემი კანდიდატურა გადაწყდა აბსოლუტური კონსენსუსის შედეგად. როცა კანდიდატობა შემომთავაზეს, ეს იყო მთელი „ოცნების" საბჭოს გადაწყვეტილება, ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით!

**— და როგორც საია-ს სტაჟიანი წარმომადგენელი, იღებთ ბრალდებას იმის შესახებ, რომ მთელი იურისტთა ასოციაცია ხიდაშელ-უსუფაშვილის დაქვემდებარებაშია?**

— ეს გამორიცხული თემაა!

**ამ ადამიანებს, როგორმე, ის ფაქტი უნდა ვაპატიოთ, რომ ამ ორგანიზაციის დამფუძნებლები იყვნენ და, ალბათ, ისიც უნდა ვაპატიოთ, რომ ასეთი ძლიერი უფლებადამცველი ორგანიზაცია აჩუქეს საზოგადოებას! საია-ს უსმენს ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია. იგი ერთადერთია, ვინც 200-გვერდიანი, კვალიფიციური დასკვნა დადო 26 მაისის დარღვევებზე, სწორედ საია-მ, დაარქვა კვინტრაძის საქმეს მკვლელობა და დადო ალტერნატიული ექსპერტიზის შედეგები. ქიმერიძის შემთხვევასაც ბოლომდე მიყვება საია და არ შეუშინდება იმის გარკვევას, როგორ დაიღუპა კაცი პოლიციის შენობაში — ვინც ეს ყველაფერი არ იცის, ახლა წაიკითხოს!**

140 000-ზე მეტ სოციალურად დაუცველ ადამიანს საია უფასო კონსულტაციასა და იურიდიულ დახმარებას უწევს. თუ ეს არის დათო უსუფაშვილისა და თინა ხიდაშელის დანაშაული, კი ბატონო, იყოს, მაგრამ ეს ორგანიზაცია სრულიად დამოუკიდებელია, მას ბევრჯერ გაუკრიტიკებია დღევანდელი ხელისუფლებაც და მას ახლაც აქვს სერიოზული კითხვები ამ მთავრობასთან! ასე რომ, ეს არის მიზანმიმართული კამპანია ჩემს წინააღმდეგ! პირდაპირ გეტყვით, მეორე თემაა, რომელიც ახლა ჩემს წინააღმდეგ ტრიალებს ნაძალადევში — ეს თავისუფლების ინსტიტუტს ეხება.

**— აქ უფრო კონკრეტული კითხვა ისმის — თქვენზე ამბობენ, რომ გლდანის ეკლესიის დარბევის დროს ბოკერიას გვერდით იდექით.**

**— ბოკერიას საერთოდ არ ვიცნობდი — მაშინ სტუდენტი ვიყავი და ძალიან პატარა შვილი მყავდა. დამიჯერეთ, მათთან ერთად, უბრალოდ, არ ვყოფილვარ! ასევე, არასოდეს მიმუშავია თავისუფლების ინსტიტუტში! ის ხალხი, ვინც ცდილობს, არჩევნები ამ ყალბი კამპანიით მომიგოს, მიზანს ვერ მიაღწევს!**

**— კონკრეტულად ვინ აწარმოებს თქვენს წინააღმდეგ ამ გააფთრებულ კამპანიას?**

— ჯერ ერთი, თავს ყველა კანდიდატის კონკურენტად მივიჩნევ, რადგან ყველა ერთად მებრძვის! საბოლოო ჯამში, ყველა ცდილობს, რომ მე წამართვას ხმები. ჭორებს ჩემი მოწინააღმდეგეები ავრცელებენ, სახელებსა და გვარებს მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მეტოქეები პირდაპირ არც მოქმედებენ. უბრალოდ, ვხვდები ნაძლადევის მოსახლეობას, რომელსაც ჩემს მიმართ სწორედ ეს კითხვები აქვს და პირდაპირ მისვამენ! და კიდევ ერთი, ივანიშვილის სახელი და რეიტინგი ნამდვილად ისეთივე დიდია საიმისოდ, რათა ეს ბრძოლა ჩემი გამარჯვებით დასრულდეს!

**— ბევრი იმ დარწმუნებულობის გამოც გაკრიტიკებთ, რაც ხშირად თქვენს ფრაზებში ჩანს — მართლა ფიქრობთ, რომ მხოლოდ თქვენ გაქვთ გამარჯვების შანსი?**

— ჯერ ერთი, არარეალურია, რომ კანდიდატად მოდიხარ და არ გჯერა საკუთარი გამარჯვების! დიახ, მე ვთქვი, ვარ ერთადერთი კანდიდატი, რომელიც მოიგებს არჩევნებს — საქმე ისაა, რომ ტექნიკურად, არჩევნებს მართლა ერთი ადამიანი იგებს, ესაა და ეს. მეტი არაფერი.

**— მთავარი სკანდალი — „როგორც კი შევალ პარლამენტში, მაშინვე დავიწყებ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე ზრუნვას" — ეს თქვენი ფრაზაა?**

— ამოიღონ ჩანაწერი, ეს სად ვთქვი! სამწუხაროდ, ეს თემა ძალიან სერიოზულად მუშაობს საზოგადოებაში და მათი მხრიდან ყველაზე სერიოზული დარტყმაა, რითაც სურთ, ზიანი მომაყენონ.

**მინდა, ყველა ნაძალადეველს ვუთხრა, რომ ეს ყველაფერი ბინძური ტყუილია! შეუძლიათ, კიდევ ერთხელ გადახედონ ჩემს ბიოგრაფიას, თავიდან ბოლომდე — არასოდეს მიმუშავია უმცირესობების თემებზე. ვიცავდი ბავშვებისა და დევნილების, მაგრამ არა სექსუალური უმცირესობების უფლებებს.**

აქ, ალბათ, საუბარია იმ სასამართლო პროცესზე, სადაც ერთ-ერთი თემა იყო არჩევნებიდან იმ კანდიდატის, ლადო სადღობელაშვილის მოხსნა, რომელიც სექსუალური უმცირესობების მისამართით წარმოუდგენელი აგრესიით იმუქრებოდა და საჯაროდ, საშინელ ჰომოფობიურ განცხადებებს ავრცელებდა. იგი ძალადობრივ კამპანიას აწარმოებდა, რაზეც კანონში პირდაპირ წერია, რომ ასეთი კანდიდატი უნდა მოიხსნას არჩევნებიდან. მე, როგორც იურისტმა, სწორედ ეს მოვითხოვე და მის წინააღმდეგ სარჩელიც შევიტანე. ესაა სკანდალის მთელი არსი! მე ყოველთვის ძალადობის მოწინააღმდეგე ვიქნები და თუ ეს არის ჩემი ცოდვა, დაე, ეს იყოს ცოდვა!

**— ოფიციალური განცხადებაც გაავრცელეთ ამასთან დაკავშირებით, ახლაც დაწვრილებით ყვებით ამ შემთხვევაზე — რჩება შთაბეჭდილება, თითქოს, ადამიანთა უფლებების დაცვის გამო, თავს იმართლებთ!**

— თავის სამართლებელი არაფერი მჭირს! ჩემთვის ახლა მთავარი ისაა, ამომრჩეველი არ მოატყუონ! ახლა ჩემს ამომრჩეველს რომ ვცემ პატივს, სწორედ ამიტომ ვპასუხობ ამ კითხვებზეც, თორემ ცხოვრებაში არაფერი გამიკეთებია თავის სამართლებელი!



მაია მიშელაძე
593-51-90-12

# „ბორჯომი“, „ნაბეღლავი“, „საირმე“ 300%-ით ძვირდება და „ფლატე“ იხურება?

**მთავრობის ინიციატივით, საქართველოს კანონში „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლების შესახებ“, ცვლილებები შედის. აღნიშნული ცვლილებით, მინერალური წყლის მოსაკრებელი 300%-ით, ხოლო მტკნარი (უგაზო) წყლის — 200%-ით გაიზრდება. მინერალური წყლის კომპანია „ფლატეს“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თუ მთავრობის ინიციატივას პარლამენტი მხარს დაუჭერს, ქარხანაში დასაქმებული 300-ზე მეტი ადამიანი უმუშევარი დარჩება, ხოლო კომპანია მუშაობას შეწყვეტს. მთავრობის ინიციატივას მხარს არ უჭერს არც „IDS ბორჯომი საქართველო“ და არც ს/ს „წყალი მარგებელი“ („ნაბეღლავი“). კომპანიებში აცხადებენ, რომ თუ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი გაიზრდება, შიდა ბაზრის მომხმარებლისთვის პროდუქცია გაძვირდება და საექსპორტო პოტენციალიც შემცირდება.**

კანონის მიხედვით, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ობიექტია საქართველოს ტერიტორიაზე (ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით), გარემოდან ამოღებული ბუნებრივი რესურსების მოცულობა (რაოდენობა), კერძოდ: სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა (რაოდენობა); ტყის ფონდის მერქნული რესურსების მოცულობა (რაოდენობა); მცენარეთა არამერქნული რესურსების (მათ შორის, სოჭის გირჩების) მოცულობა (რაოდენობა); წყლის რესურსების მოცულობა (რაოდენობა); ცხოველთა სამყაროს რესურსების (გარდა გადამფრენი ფრინველებისა) მოცულობა (რაოდენობა); გადამფრენი ფრინველების რაოდენობა.

**„წიაღით სარგებლობისთვის მოსაკრებლის ოდენობა ასე განისაზღვრება: „ბორჯომის“ მინერალური წყლით სარგებლობისთვის, წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი 1 კუბურ მეტრ წყალზე — 10 ლარით; „ნაბეღლავის“ მინერალური წყლით სარგებლობისთვის, წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი 1 კუბურ მეტრ წყალზე — 6 ლარით; „საირმის“ მინერალური წყლით სარგებლობისათვის, წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი 1 კუბურ მეტრ წყალზე — 6 ლარით; „უწერის“ მინერალური წყლით სარგებლობისთვის, წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი 1 კუბურ მეტრ წყალზე — 4 ლარით; მინერალური წყლებით სარგებლობისთვის წიაღით სარგებლობის მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება წყლის იმ მოცულობით, რომელიც მიეცემა პირს წიაღით სარგებლობის ლიცენზიით განსაზღვრული წლიური ოდენობის მიხედვით“,** — აღნიშნულია კანონში.

რაც შეეხება მოსაკრებლის გადახდასა და ბიუჯეტში ჩარიცხვის წესს, კანონის მიხედვით, მინერალურ წყლებზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მიღებიდან, არაუგვიანეს ყოველი კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვში, ამ პერიოდის განმავლობაში, ლიცენზიით განსაზღვრული წლიური ოდენობის მიხედვით, თანაბარ ნაწილებად უნდა გადაიხადოს.

მას შემდეგ, რაც მთავრობის ახალი ინიციატივა კანონპროექტის სახით შევა პარლამენტში და საკანონმდებლო ორგანო დაამტკიცებს, „ბორჯომისთვის“ 1 კუბურ მეტრზე მოსაკრებელი 10 ლარის ნაცვლად, 30 ლარი გახდება, „ნაბეღლავისთვის“ 6-ის ნაცვლად, 18 ლარი, „საირმესთვისაც“ — 18 ლარი, ხოლო „უწერასთვის“, 4-ის ნაცვლად, 12 ლარი. კომპანიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თუ ინიციატივა ძალაში შევა, პროდუქცია აუცილებლად გაძვირდება!

რას ფიქრობენ მინერალური წყლის კომპანიების წარმომადგენლები მთავრობის ახალ ინიციატივაზე და დაუჭერენ თუ არა მხარს ამ გადაწყვეტილებას? მაგალითად, კომპანია „IDS ბორჯომი საქართველო“ უარყოფით პოზიციას აფიქსირებს მთავრობის იმ გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც ბუნებრივ რესურსზე მოსაკრებლის სამჯერ გაზრდის ინიცირებას გულისხმობს. „ვერსიასთან“ საუბრისას, კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ნიცა ჩოლოყაშვილმა აღნიშნა, რომ მოსაკრებლის გაძვირება, უარყოფითად აისახება „IDS ბორჯომი საქართველოს“ მიერ წარმოებული პროდუქციის, განსაკუთრებით კი მინერალური წყლის — „ბორჯომის“ კონკურენტუნარიანობაზე როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის, უკრაინისა და სხვა საექსპორტო ბაზრებზე:

**„დღემდე, ჩვენი კომპანიისთვის ბუნებრივ რესურსზე მოსაკრებელი, ყველაზე მაღალი იყო ბაზარზე და 1 კუბურ მეტრზე 5,9 ევროს შეადგენდა, როდესაც საქართველოში არსებული მინერალური წყლის სხვა კომპანიებისთვის მოსაკრებელი 1 კუბურ მეტრზე 4,1 ევროა. დსთ-სა და ევროპის ქვეყნებში, მოსაკრებლის დონე 1 კუბურ მეტრზე — 0,1-დან 5,7 ევრომდე მერყეობს. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ეს გადასახადი უფრო მეტია, ვიდრე საქართველოში, საფრანგეთია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში მინერალური წყლის მწარმოებლები შეღავათიან რეჟიმში იხდიან დამატებითი ღირებულების გადასახადს (დღგ). ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ქვეყანაში დღგ 19%-ია, წყლის მწარმოებლებისთვის იგი 7%-ით განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსაკრებელი, რომელიც დღეს, კონკრეტულად ჩვენი კომპანიისთვისაა განსაზღვრული, ყველაზე მაღალია, როგორც დსთ-ს, ასევე ევროპის სივრცეში“.**




## როგორ აფასებენ კომპანიების წარმომადგენლები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ზრდას?

ნიცა ჩოლოყაშვილმა „ვერსიას“ კომპანიის ოფიციალური მიმართვა გადასცდა, სადაც მითითებულია, რომ მინერალური წყლის ბრენდი „ბორჯომი“, მსოფლიოს 40 ქვეყანაშია წარმოდგენილი. წლების მანძილზე, კომპანია „IDS ბორჯომი საქართველომ“, საექსპორტო ბაზრებზე „ბორჯომის“ ბრენდის განვითარებისთვის, დიდი ძალისხმევა დახარჯა და ათეულობით მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. მთავრობის ახალი ინიციატივა კი რისკის ქვეშ აყენებს „ბორჯომის“ დღევანდელ პოზიციებს საექსპორტო ბაზრებზე და სამომავლო განვითარების პერსპექტივებსაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

რაც შეეხება ს/ს „წყალი მარგებელის“ წარმომადგენლებს, კომპანიაში აცხადებენ, რომ ამ ინიციატივის შესახებ შემთხვევით, პრესაში გავრცელებული ინფორმაციის შედეგად შეიტყვეს:

**„5 წლის წინ, კომპანიამ აუქციონზე შეიძინა ნაბეღლავისა და ბახმაროს წყლების მოპოვების 25-წლიანი ექსკლუზიური ლიცენზია. გადასახადის გაზრდით კი ამ ლიცენზიის პირობების გადახედვაც იგეგმება, რაც როგორც ჩვენზე, ასევე — ბიზნეს-გარემოზე, ნეგატიურად აისახება. აღნიშნული ცვლილება უარყოფით გავლენას მოახდენს ექსპორტზეც, რადგან უცხოელ პარტნიორებთან გრძელვადიანი კონტრაქტების არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა, ნებისმიერმა ცვლილებამ ხელის შემშლელი ფაქტორები წარმოშვას. ამასთან, ბუნებრივი რესურსის სარგებლობის მოსაკრებლის გაზრდით, ჩვენს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბრენდს, გაცილებით ძვირის გადახდა უწევს, ვიდრე მსოფლიოსა და რეგიონში არსებული ბრენდული მინერალური წყლების კომპანიებს, რომლებსაც 100-წლიანი ისტორია გააჩნიათ“.**

„წყალი მარგებელის“ წარმომადგენლებმა ოფიციალური მიმართვა გაავრცელეს, სადაც აღნიშნეს, რომ ანალოგიური ტიპის წყლების კომპანიებში, შეუძლებელია განვითარებაზე საუბარი, თუ ბურღილებსა და საბადოებს სისტემატიურად არ გამოიკვლევენ. გადასახადის გაძვირებით კი, ფაქტობრივად, ექსპერიმენტების ჩატარებაც გაძნელდება:

**„კვლევები საჭიროა იმისთვის, რომ საბადოებში, მინერალური წყლის რაოდენობის ზრდის პოტენციალი ისე დადგინდეს, რომ ხარისხობრივი მაჩვენებლები სტაბილურად შევინარჩუნოთ. უფრო პრობლემური საკითხია გადასახადის ზრდის გავლენა მტკნარი (უგაზო) წყლის კონკურენტუნარიანობასა და საექსპორტო პოტენციალზე, რაც, ფაქტობრივად, კანონის შემოღებასთან ერთად, არაკონკურენტუნარიანს გახდის ექსპორტს და ქართულ კომპანიებს შიდა ბაზარზეც პრობლემებს შეუქმნის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბუნებრივი რესურსის სარგებლობის გადასახადის 200%-ით გაზრდა და არააქციზური საქონლის ელექტრონული მარკირების შესახებ კანონის ამოქმედება დროში ემთხვევა, რაც ძლიერ ფინანსურ დარტყმას აყენებს ქართულ კომპანიებს“.**

„წყალი მარგებელის“ წარმომადგენლები იმასაც აცხადებენ, რომ სასურველია, ამ ტიპის საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ კომპანიები გაცილებით ადრე გააფრთხილონ, რათა გრძელვადიანი გეგმები სიტუაციას დროულად მოარგონ და კომპანიის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების რესტრუქტურიზაციაც განახორციელონ:

**„აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში, კომპანია „წყალი მარგებელი“ სისტემატურად ახორციელებს მნიშვნელოვან ინვესტიციას სოფლის მეურნეობაში და ინოვაციური საწარმოების, მათ შორის, „მარნეულის სასურსათო ქარხნის“, „მარნეული აგროსა“ და თელეთის „ფერმა მარგებელის“ განვითარების მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს. სტაბილური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით, აღნიშნული საწარმოები, მომდევნო წლებშიც საჭიროებს უწყვეტ ფინანსურ დახმარებას. ამ გადასახადების შემოღებამ კი შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეაფერხოს ეს პროცესი მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობა, ქვეყნის ნომერპირველ პრიორიტეტადაა გამოცხადებული“.**

„წყალი მარგებელის“ წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ ამ ინიციატივის ავტორებს მთავრობასა და პარლამენტში, შეხვდებიან, რათა საკუთარი მოსაზრებები გაუზიარონ და არგუმენტებიც დეტალურად გააცნონ. რაც მთავარია, კომპანიაში აინტერესებთ, არის თუ არა წინასწარ გათვლილი, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ კანონის ამოქმედებას ან როგორი ფისკალური ეფექტი ექნება ქვეყნის ბიუჯეტს მას შემდეგ, რაც მინერალური და მტკნარი წყლების პროდუქციის ფასები მოიმატებს.

## ვერსიანიუსი

### „დაბი-ჯგუფი საქართველოში ახალ ინვესტიციებს განახორციელებს



„დაბი-ჯგუფი" საქართველოში ახალი ინვესტიციების განხორციელებას გეგმავს. „დაბი-ჯგუფის" თავმჯდომარე, კულტურის, ახალგაზრდობისა და სათემო განვითარების მინისტრი შეიხი ნაჰაიან ბინ მუბარაქ ალ ნაჰაიანი ბიძინა ივანიშვილთან შესახვედრად საქართველოში ჩამოფრინდა. შეხვედრას საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად, ეკონომიკის, ენერგეტიკისა და განათლების მინისტრები, ასევე საპარტნიორო ფონდის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „დაბი-ჯგუფის" ხელმძღვანელი საქართველოს შვილებთან ერთად სტუმრობს. 20-კაციანი დელეგაცია აბუ-დაბიდან საქართველოში უკვე ჩამოფრინდა. საერთაშორისო აეროპორტში მათ ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და საპარტნიორო ფონდის დირექტორის მოადგილე გიორგი ბაჩიაშვილი დახვდნენ. დელეგაციის შემადგენლობაში ასევე შედიან დუბაის კომერციული ბანკის თავმჯდომარე საიდ გობაში, ემირატების სადაზღვევო კომპანიის თავმჯდომარე ფადელ ალ დარმაკი და სხვა წამყვანი კომპანიების წარმომადგენლები.

*„ვერსიანიუსი“*

### „ნიბა დელისის“ მშენებლობის განახლების საკითხი მიმდინარე თვეში გაირკვევა

თბილისში ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო ცენტრის „ნიბა დელისის“ მშენებლობის განახლების საკითხი მიმდინარე თვეში გაირკვევა. როგორც პროექტის ერთ-ერთი დამფუძნებელი „კომერსანტთან“ აცხადებს, მოლაპარაკებები აქტიურად მიმდინარეობს.

ბაკურ კილურაძე პროცესის დასრულებამდე, პროექტით დაინტერესებული კომპანიის დასახელებისგან თავს იკავებს, თუმცა ცნობილია, რომ სავაჭრო ცენტრის მშენებლობა რამდენიმე ეტაპად განხორციელდება, ხოლო მისი დაფინანსებისთვის თანხები, შესაძლოა, ამერიკულმა „ექსიმ ბანკმა“ გამოყოს.

დელისის მეტროსთან ექსტრაკლასის სავაჭრო ცენტრის მშენებლობა 2010 წელს, ბაკურ კილურაძის დაპატიმრების შემდეგ შეჩერდა. კილურაძეს ახალმა მთავრობამ პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა და პატიმრობიდან გაათავისუფლა.



*„კომერსანტი“*



# „თუ სუპერმარკეტებში ქართულ პროდუქციასაც არ შეიტანენ, მფლობელებს პასუხს მოვთხოვთ!“

## როგორ აპირებს გოგი თოფაძე ქართული სოფლის აღორძინებას, ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვას და მივიწყებული დარგების გამოცოცხლებას?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, ბიზნესმენი გოგი თოფაძე სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაში მონაწილეობას გეგმავს. ჩაის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის წარმოება — ეს ის სფეროებია, სადაც გოგი თოფაძეს პარტნიორებთან ერთად, უკვე გამზადებული ბიზნეს-გეგმები აქვს. რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საქართველოს სოფელი აღორძინდეს, ადგილობრივი პროდუქცია საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი გახდეს, ქვეყნის შიდა ბაზარზე კი უხარისხო და მავნე იმპორტირებული პროდუქცია არ მოხვდეს? რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ, რომ საკუთარი ბაზარიც დაიცვას, ევროკავშირის რეკომენდაციებიც გაითვალისწინოს და იმპორტ-ექსპორტის ბალანსის დაცვაც შეძლოს — „ვერსიის“ კითხვებს გოგი თოფაძე პასუხობს.**

**— ბატონო გოგი, ცალკეული ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სოფლის განვითარების სახელმწიფო პროგრამა და ზოგადად, ფონდები, ფერმერებსა და გლეხებს ეფექტურად ვერ დაეხმარება, რადგან აუცილებელია, სახელმწიფომ უფრო ქმედითი ნაბიჯები გადადგას და ამის შემდეგ, გლეხები თვითონ, დამოუკიდებლად დახნავენ მიწას. რამდენად სწორია ასეთი პოზიცია და როგორ აფასებთ სოფლის განვითარების სახელმწიფო პროგრამას?**

— ხშირ შემთხვევაში, სკეპტიკოსები პოლიტიკური ასპექტებიდან გამოდიან და ამიტომ არაობიექტურები არიან. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა, რომ საქართველოს ეკონომიკის აღორძინების პრიორიტეტი სოფლის მეურნეობაა, ბიძინა რომ სიტყვის კაცია, ეს არაერთხელ დაადასტურა, რადგან რასაც გვპირდება, ყოველთვის მზადაა, შეასრულოს კიდეც. თუ ზოგჯერ რაღაცას ვერ ვასრულებთ, ეს იმის ბრალია, რომ ან გამზადებული პროექტი არ არსებობს ან ადგილობრივი ხელისუფლება არ არის საქმის კურსში. გარდა ამისა, რეგიონის საკრებულოებში სერიოზული პრობლემებია, იქ, ძირითადად, ნაციონალური მოძრაობის ხალხია თავმოყრილი, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარესა და გამგებელს ირჩევს, რაც პრობლემას ქმნის. ხშირად, საწინააღმდეგო ქმედებასაც არ ერიდებიან, რომ ხალხი უკმაყოფილო იყოს, მაგრამ რაც მთავარია, სოფლის მეურნეობის განვითარების მილიარდიანი პროგრამა უკვე დაიწყო.

**კარგი საქმე წამოიწყო დავით კირვალიძემ, მელიორაციის სისტემის აღდგენას აპირებს, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია. ბევრს დავდივარ სოფლებში და საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, როგორ ამოყარეს სარწყავი სისტემები მიწიდან, მერე კი ჯართად გაყიდეს. ამ ქმედებაზე გამგებელმა უნდა აგოს პასუხი, რომელმაც ასეთი ნებართვა გასცა. იცით, გამგებლების ძირითადი საქმიანობა რა იყო? მორები გაჰქონდათ და სარწყავ სისტემებს ანადგურებდნენ, ეს ველურობაა, აბა, რა არის?! რა თქმა უნდა, ყველაფერი დალაგდება და სიტუაცია აუცილებლად გამოსწორდება.**

**— არაერთხელ გითქვამთ, რომ საქართველოში ხახვი და ნიორი ეგვიპტიდან შემოდის, ბაზარი იმპორტირებული ხილითა და ბოსტნეულითაა სავსე. რა კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს ხელისუფლება, რათა, ერთი მხრივ, იმპორტი და ექსპორტი არათანაბარ პირობებში არ აღმოჩნდეს, ანუ იმპორტი ხელოვნურად არ შეიზღუდოს და, მეორე მხრივ, ბაზარიც უხარისხო პროდუქციისგან დაიცვას?**

— ძალიან კარგი თემაა და ჟურნალისტებსაც მნიშვნელოვანი როლი გეკისრებათ ამ საკითხების მოგვარებაში. მოვა დრო, თუ სუპერმარკეტებში ქართულ პროდუქციასაც არ შეიტანენ, მფლობელებს პასუხს მოვთხოვთ! ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ადგილობრივი პროდუქციის წარმოება, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებას ნიშნავს. იმპორტირებული პროდუქცია რომ შემოგაქვს, ამით სამუშაო ადგილებს კლავ და მწარმოებლებს აკოტრებ.

**ჩვენ ვამზადებთ კანონპროექტებს, ვგულისხმობ, პროდუქციის დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებას. არ შეიძლება, ყველაფერი დაიბეგროს, არ შეიძლება, პროდუქცია ორჯერ და სამჯერ დაბეგრო, კანონში ისეთ ცვლილებას ვამზადებთ, რომ პროდუქციაც იბეგრებოდეს და ბიუჯეტში გადასახადი შედიოდეს, მაგრამ ამავდროულად, მეწარმესაც სტიმული ჰქონდეს, პროდუქცია ადგილზე აწარმოოს. ევროკავშირის რეკომენდაციები გასათვალისწინებელია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ევროკავშირს ძალიან უნდა, ჯერ ორი ახალგაზრდა მამაკაცი გამოვიდეს ქორწინების სახლიდან და მერე მიგვიღოს თავის წევრად. ასე არ არის, რადგან ევროკავშირის წევრობა ჰომოსექსუალიზმისა და ლესბოსელობის წახალისების გარეშეც შეიძლება!**

მერწმუნეთ, ორ-სამ წელიწადში, სუპერმარკეტები ქართული პროდუქციით გაივსება და მერე შემოიტანონ აბა, გენმოდიფიცირებული პროდუქტი იმპორტიორებმა. ჯერ კიდევ გვაქვს კარგი ლაბორატორიები, რომლებიც შეამოწმებენ როგორც კვების, ასევე სხვა სახის პროდუქტებსაც.

**— რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის გავლით, უხარისხო პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე არ მოხვდეს?**

— ორ-სამ წელიწადში, არნახული რენესანსი დაიწყება საქართველოში, მაგრამ არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ მანქანათმშენებლობასა და სხვა დარგებშიც. თავის დროზე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ (მსო) 5-წლიანი ვადა მოგვცა, რათა ჩვენი დარგები მსო-თან კოორდინაციაში მოგვეყვანა, მაგრამ არაფერი გავაკეთეთ, რადგან წინა ხელისუფლებას ეს არ სჭირდებოდა. ხალხის მოტყუება 1995 წლიდან დაიწყო და, შესაბამისად, ადამიანი ხელისუფლების მიმართ, ნიჰილისტურად იყო განწყობილი. დღეს ხალხმა დაინახა, რომ მოვიდა პიროვნება, რომელიც საკუთარ სამშობლოზე ზრუნავს, ამიტომ მოსახლეობამ მთავრობას დაუჯერა. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ევროკავშირი საქართველოში იმპორტირებულ უხარისხო პროდუქციას არ მიიღებს, რადგან ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნები საკუთარ ბაზრებს იცავენ. სხვათა შორის, დსთ-ს სივრცეში, აზერბაიჯანი, უზბეკეთი და ყაზახეთიც იცავენ ადგილობრივ ბაზრებს და ამ ქვეყნებში იმპორტირებული პროდუქციის ხარისხსაც აკონტროლებენ. როგორც კი საქართველოც დაიცავს შიდა ბაზარს, ეს პრობლემა ავტომატურად მოიხსნება დღის წესრიგიდან. მით უფრო მაშინ, როდესაც ლაბორატორიაც ამუშავდება, რომ უხარისხო პროდუქტი აღარ შემოვიდეს.

**— როგორც ვიცი, სოფლის მეურნეობის რამდენიმე პროექტი უკვე მზად გაქვთ, ამიტომ საინტერესოა, პირადად თქვენ, რა ფორმით მიიღებთ მონაწილეობას სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაში?**

— ბევრი საინტერესო პროექტი გვაქვს, მაგალითად, მეცნიერ თამაზ შიოშვილთან ერთად, ვმუშაობთ პროგრამაზე, როგორ უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი. ბიზნეს-გეგმებს ვამზადებთ, რომ სოფლის მეურნეობა აღორძინდეს. მაგალითად, ჩაის კულტურის აღორძინებით, მხოლოდ ჩაი კი არა, ჩაის ზეთის მიღებაც შეიძლება. ჩაის ზეთი მსოფლიოში ძვირადღირებული პროდუქტია, რადგან ზუსტი მექანიზმები მხოლოდ ჩაის ზეთით იზეთება. გარდა ამისა, ცივი ჩაის მომზადებაც შეიძლება და ვაწარმოებთ კიდეც ამ პროდუქტს, რომელიც მსოფლიოს 33 ქვეყანაში გადის ექსპორტზე. გვაქვს მზესუმზირას პროექტიც, რადგან მზესუმზირას წარმოება საკმაოდ პერსპექტიულია. 4-5 კომპანიას დიდი რაოდენობით ზეთი შემოაქვს უცხოეთიდან, რომლებიც წინა ხელისუფლებასთან განსაკუთრებულ კოჰაბიტაციაში იყვნენ. სინამდვილეში, უხარისხო, არარაფინირებული ზეთი შემოდის საქართველოში, რადგან ეს ქვეყანა უვარგისი იმპორტირებული პროდუქციის ნაგავსაყრელად აქციეს. კახეთში დიდი რაოდენობით მზესუმზირა მოდის, ადრე თბილისში ზეთის სახდელი ქარხანა გვქონდა. თქვენ გგონიათ, მზესუმზირადან მხოლოდ ზეთის გამოხდა შეიძლება? არა, რადგან მზესუმზირას გადამუშავებით, ზეთის გარდა, კარაქის მიღებაც შეგვიძლია, ნარჩენები კი ყველაზე კალორიული, კომბინირებული საკვებია ცხოველებისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ იქ, სადაც მზესუმზირას მოვიყვანთ და ზეთის სახდელ საწარმოს გავაკეთებთ, მეცხოველეობის ფერმასაც განვავითარებთ. თავის მხრივ, ზეთის სახდელი საწარმოს ნარჩენები, შესანიშნავი ნედლეულია იმისთვის, რომ საპონი გამოუშვა. ხედავთ, როგორი ჯაჭვია, აი, ასეთი სისტემით მუშაობს მთელი მსოფლიო. იგივე შეიძლება ითქვას, შაქრის ჭარხლის წარმოებაზეც, რომლის მოყვანა რამდენიმე რაიონში — ქარელში, გორში, აგარასა და ხაშურში შეიძლება. დაინტერესებული ჯგუფი დაგვიკავშირდა, რომელსაც მეწარმე გივი აბალაკია ხელმძღვანელობს, მე და ზურაბ ტყემალაძეც ჩავერთეთ და ვაპირებთ, შაქრის ჭარხლის წარმოება დავიწყოთ, რაც საკმაოდ საინტერესო პროექტია. შაქრის ჭარხლის ნარჩენებიდან, მაღალი ხარისხის სპირტს მივიღებთ, მაგრამ ეს ნარჩენებიც შესანიშნავი, კომბინირებული საკვებია ცხოველებისთვის. შესაბამისად, მეცხოველეობის ფერმა შაქრის ჭარხლის წარმოებასაც მიებმება. ზოგადად, შაქრის ჭარხლის წარმოებაში 10 000-დან 15 000-მდე ფერმერი დასაქმდება. რაც მთავარია, საკონსერვო წარმოება წამყვანი დარგი იყო სოფლის მეურნეობაში, შედეგად, ერთი პატარა ქარხანა, სადაც 50 კაცი დასაქმდება, ერთ სოფელს შეინახავს. თელავის რაიონის სოფელ ფშავში, მე და ჩემმა პარტნიორმა ლუკა რამაზაშვილმა, ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხანა გავაშენეთ. 3 000 000 აშშ დოლარი ჩავდეთ ამ ქარხანაში, მაგრამ არ გვამუშავეს, ლუკა რამაზაშვილი, 4 შვილის მამა, სულ ტყუილად დაიჭირეს და ეს ტყე ჩინელებს მიყიდეს. იმ სოფელში შესანიშნავი ხილი მოდის, ძალიან კარგი საკონსერვო წარმოების მოწყობა შეიძლება, კალმახიც მოშენდება და მეცხოველეობის ფერმაც გაკეთდება, საბოლოო ჯამში, რამდენიმე სოფლის მოსახლეობა დასაქმდება. მართალია, გაგვაჩერეს, მაგრამ ახლა ლუკა თავისუფალია და ამ ყველაფრის აღორძინებას ვაპირებთ.

## ვერსიანიუსი

### მთავრობა დიდ ჰესებთან მიმართებაში ერთიან მიდგომას არ ჩამოაყალიბებს



ენერგეტიკის სამინისტრო დიდ ჰესებთან მიმართებაში ერთიან მიდგომას არ ჩამოაყალიბებს. ენერგეტიკის მინისტრი რადიო „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ თითოეულ პროექტს ინდივიდუალურად განიხილავენ და კონკრეტულ მიდგომებს, ყველა მხარის ინტერესის გათვალისწინებით ჩამოაყალიბებენ.

კახა კალაძის მტკიცებით, ამ მიმართულებით დღეს არსებული აჟიოტაჟი იმან გამოიწვია, რომ ყოფილი ხელისუფლების პირობებში ეს დახურული საკითხი იყო. თუმცა, მინისტრის თქმით, ახლა მთავრობა გამჭვირვალედ მუშაობს. კალაძე პირობას დებს, რომ სამინისტრო ჰესების მშენებლობის დროს სოციალურ პასუხისმგებლობას არ გაექცევა და მოსახლეობას მსოფლიო ბანკის სტანდარტებით გათვალისწინებულ კომპენსაციებს მისცემს.

*„კომერსანტი“*

### სომხეთიდან საქართველოში დაავადებული სათესლე კარტოფილი შემოიტანეს

საბაჟო გამშვები პუნქტის „ნინოწმინდის“ გავლით, სომხეთიდან საქართველოში 39 ტონა სათესლე კარტოფილი შემოიტანეს. ფიტოსანიტარული სასაზღვრო კონტროლის პროცედურების განხორციელების დროს, ფიტოსანიტარმა სპეციალისტებმა ეჭვი კარტოფილის საკარანტინო მიკროორგანიზმის Ralstonia solanacearum - მურა სიდამპლის არსებობაზე აიღეს.

საკარანტინო ობიექტის იდენტიფიცირებისა და დადასტურების მიზნით, ნიმუში ლაბორატორიაში გაიგზავნა. ლაბორატორიული კვლევის შედეგად, ნიმუშში საკარანტინო მიკროორგანიზმი Ralstonia solanacearum - მურა სიდამპლის არსებობა დადასტურდა. საქართველოს მთავრობის 429 დადგენილების თანახმად, აღნიშნული საქონელი უკან ექსპორტიორ ქვეყანაში დაბრუნებას დაექვემდებარა.

*„კომერსანტი“*



# 2008 წლის აგვისტოს დევნილები ბინების დაკანონებასა და გამრიცხველიანებას მოითხოვენ

მერაბ ბერიძე

**დევნილების პრივილეგირებულ და მეორეხარისხოვან ნაწილებად დაყოფის პრაქტიკა ისევ გრძელდება. რამდენიმე ობიექტს, რომელსაც კოლექტიური ცენტრის სტატუსი არ აქვს მინიჭებული, ორი კვირაა დენი გამორთული აქვს. ოკუპირებული ტერიტორიების სამინისტრო კორპუსების გამრიცხველიანებამდე ოჯახებისგან დავალიანების გარკვეული ნაწილის დაფარვას მოითხოვს. თავის მხრივ, დევნილები, პირველ რიგში, ბინების დაკანონებასა და გამრიცხველიანებას მოითხოვენ. ამ მოთხოვნით, მათ სამინისტროსთან გამაფრთხილებელი აქცია ჩაატარეს. არსებულ რეალობასა და მოსალოდნელ შედეგებზე დევნილთა სამოქალაქო საზოგადოების კოალიციის ხელმძღვანელს, ლელა გულედანს ვესაუბრებით.**

— ამ ობიექტებს დღემდე კოლექტიური ცენტრის სტატუსი არ აქვთ. აქ 2008 წელს, აგვისტოს ომის დროს, მაშინდელმა ხელისუფლებამ კოდორისა და ახალგორის დევნილები შეასახლა. 5 წელია, ამ ბინებში ცხოვრობენ, მაგრამ არც რეგისტრაცია აქვთ და ელექტროენერგიის შეღავათიც არ ერიცხებათ. წლების განმავლობაში, მათი დავალიანება ძალიან გაზრდილია.

წინა ხელისუფლების დროს, გარკვეული საშეღავათო თანხა ირიცხებოდა, მაგრამ დაგროვილი დავალიანება მთლიანად გასტუმრებული არ არის. მაგალითად, თელავის 53-ში 62 ათასი ლარის დავალიანებაა და რამდენიმე ობიექტზე ასეთივე მდგომარეობაა. სამი ობიექტიდან დევნილებმა სამინისტროსთან არსებული მდგომარეობა გააპროტესტეს. კერძოდ, გამოვიდნენ კონსტიტუციის 6 ნომრიდან, ვარკეთილის მესამე მიკრო, 179-ე ბაგა-ბაღიდან და თელავის 53-დან. ორგანიზება თვითონ გაუკეთეს და მე დახმარება მთხოვეს.

**მანამდე, ორი თვის წინ, კონკრეტულად, თელავის 53-ზე შუამდგომლობა დავაყენე სამინისტროსთან დენის გადასახადებსა და იმაზე, რომ სახელმწიფო ბალანსზე მყოფ შენობას კოლექტიური ცენტრის სტატუსი მინიჭებოდა. შესაბამისად, მოხდეს დევნილების აღნიშნულ ობიექტებზე დარეგისტრირება და გამრიცხველიანება. ამ შემთხვევაში, რესტრუქტურიზიცია მოხდებოდა დავალიანებისა და დევნილები მზად არიან, დაგროვილი თანხა ეტაპობრივად დაფარონ.**

— **როგორია ამაზე დევნილთა სამინისტროს პოზიცია?**

— სამინისტრო დევნილებს სთხოვს, გამრიცხველიანებამდე რაღაც თანხა, ასი ლარი მაინც შეიტანეთ. თუ დანარჩენმა თორმეტმა ობიექტმა ეს შეძლო, თქვენც მოახერხეთ და სიმბოლური თანხა გაისტუმრეთო, მაგრამ ესენი რატომღაც, ამის გადახდასაც ვერ ახერხებენ. თან ურთიერთნდობაც შემცირებულია, რადგან მოლაპარაკება ორი თვის განმავლობაში გრძელდება და სასურველ შედეგამდე ვერ მივიდნენ. დევნილები ჯერ მრიცხველების დაყენებას ითხოვენ და შემდეგ გადავიხდითო. ამასთან, რადიკალურ ღონისძიებებზე ფიქრობენ, ორი კვირა დენი გამორთული გვაქვს და შედეგს ვერ მივაღწიეთო. ითხოვენ შუქის ჩართვას, მრიცხველების დაყენებასა და შენობის ბედის საბოლოოდ გადაწყვეტას.

— **შუქის ჩართვის თხოვნას რა რეაგირება მოჰყვა?**

— თებერვლის თვიდან დენი რამდენჯერმე ჩართეს და მალევე გათიშეს. ბოლო ორი კვირის განმავლობაში, სრულად გამორთულია. სამინისტრო უკვე ულტიმატუმს აყენებს, რაღაც ნაწილი მაინც გადაიხადეთ და თანადაფინანსება თქვენგანაც იყოსო. რატომ ვერ ახერხებენ ამას დევნილები, სამინისტროდან ამით არ ინტერესდებიან. იქნებ დიდ ნაწილს მართლაც არ აქვს ამის საშუალება.



— **რა მდგომარეობაა აღნიშნულ ობიექტებზე, რით სულდგმულობს ეს ხალხი?**

**— მიმდინარე დავალიანება 6 ათასზეა ასული და თითოეულს 352 ლარის გადახდა უწევს. ამდენის საშუალება ნამდვილად არ აქვთ. დენის მრიცხველების პირობებში კი, გადახდის პროცესს ჩვენ თვითონ გავაკონტროლებთ და ვალს ნელ-ნელა გავისტუმრებთო. თან სამინისტროც დაინტერესებული უნდა იყოს, ამ გზით მოგვარდეს პრობლემა.**

კორპუსებში ბუნებრივი აირის არქონის გამო, დენი გაცილებით მეტი იხარჯება, მრიცხველებისას დაზოგავენ და ეცდებიან, ნაკლები გადასახადი ჰქონდეთ. ასევე აღნიშნულ ობიექტებზე დევნილების კანონიერი განსახლება უნდა მოხდეს, რასაც ისინი უკვე 5 წელია ამაოდ ელიან. მინისტრი დავით დარახველიძე თავად ამბობს, რომ ვინც თბილისში 5 წელი იცხოვრა, ბინას დედაქალაქის საზღვრებში შევთავაზებთო. ამ ადამიანებმა ეს დაიმსახურეს. ეკონომიკის სამინისტროში გავარკვიეთ, რომ ეს შენობები სახელმწიფოს ეკუთვნის; ამიტომ კომისია შედგეს, შეისწავლონ თითოეული დევნილი ოჯახის მდგომარეობა და რეგისტრაცია განხორციელდეს. რატომღაც, ამის გაკეთებას საშველი არ დაადგა.

— **ბოლო აქციაზე თუ მიიღეთ დამაიმედებელი პასუხი სახელმწიფო უწყებისგან?**

— შეხვედრიდან გამოსულმა დევნილების ნაწილმა ამბავი გამოიტანა, უახლოეს დღეებში საკითხი გადაწყდებაო. მეორე მხრივ, გაღიზიანება მოჰყვა მინისტრის განცხადებას, რომ მხოლოდ ორ კომპაქტურ დასახლებას, ბაქოს ქუჩა პირველს და ოქროს საწმისს ელექტროენერგიის შეღავათებს ჩავურიცხავთო. როგორც ვიცით, ოქროს საწმისს 6 ათას ლარამდე ჩაურიცხეს. გაღიზიანება იმან გამოიწვია, რომ სხვაგან, მათ შორის რეგიონებში, ეს შეღავათი არ გაკეთებულა. მაშინ დასაბუთებაც უნდა მოხდეს ამ ნაბიჯის. ამით ისევ მეორდება დევნილების პრივილეგირებულებად და მეორეხარისხოვნებად დაყოფა. რატომ აქვს შუქი ხუთ ობიექტს, დანარჩენებს არა და ა.შ. ეს ყოველივე დევნილებში დიდ გაურკვევლობას არ უნდა იწვევდეს. ასევე, არის მისამართები, სადაც დავალიანება იყო დევნილების ჩასახლებამდე, 2008 წლამდე. ამას დევნილები ვერ დაფარავენ, რადგან თვითონ არ დაუგროვებიათ. ამავე დროს, თელავის 53-ში ერთ-ერთ დევნილს წერილი მოუვიდა, თქვენ ბინაში შეჭრილად ითვლებითო, როცა წინა ხელისუფლება, 2008-ში ჩასახლებულ დევნილებს უკან, კანონგარეშედ ასახლებდა, ამას მაშინდელი ოპოზიცია აპროტესტებდა, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია. დღეს ისევ ამბობენ, შეჭრილები ხართო. ამანაც დევნილებში დიდი აგრესია და უკმაყოფილება გამოიწვია. რა გამოდის, რასაც წინა ხელისუფლებისას აკრიტიკებდი, იგივე გზას აგრძელებ?

— **შექმნილი მდგომარეობიდან ოპტიმალურ გამოსავალს რაში ხედავთ?**

**— ვინც უნდა მოვიდეს, არაფერი შეიცვლება, სანამ საკანონმდებლო ბაზა არ მოგვარდება. სხვა შემთხვევაში, იგივე მცდარი პოლიტიკა გაგრძელდება. წინა ხელისუფლების მიერ მიღებული დოკუმენტები, მიდგომები მთლიანად უნდა შეიცვალოს. სამწუხაროდ, ეს არ კეთდება და მთავრობის ოპონირებას გავაგრძრლებთ.**

ძალიან ბევრი უკმაყოფილო ადამიანი გვირეკავს, ბევრს ვხვდებით და შედეგი ჯერჯერობით, არ არის. გამოსავალი ერთია, ბინების დაკანონება და გამრიცხველიანება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჯერ მიდგომები არ აქვთ, რას უპირებენ ასეთ ობიექტებს.



## მიხეილ სააკაშვილი აბდულა გიულის შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თურქ კოლეგას, აბდულა გიულის შეხვდა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პირისპირ შეხვედრა ჩანკაიას საპრეზიდენტო სასახლეში გაიმართა.

მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობასა და სამომავლო თანამშრომლობაზე ისაუბრეს.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ თურქეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და სრულად უჭერს მხარს ნატო-ში მის ინტეგრაციას. ორი ქვეყნის ლიდერებმა იმ მნიშვნელოვან პროექტებზე გაამახვილეს ყურადღება, რომლებსაც საქართველო და თურქეთი ერთობლივად ახორციელებენ. საუბარი ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებსაც შეეხო. შეხვედრის შემდეგ ჩანკაიას საპრეზიდენტო სასახლეში სამუშაო სადილიც გაიმართა, რომელსაც ორივე მხარის წარმომადგენლები გაფართოებული შემადგენლობებით დაესწრნენ.

საქართველოს პრეზიდენტის „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე შეხვედრის ამსახველი ფოტომასალაც გავრცელდა.

საქართველოს პრეზიდენტი თურქ კოლეგას უნდა შეხვედროდა, თუმცა შეხვედრა გადაიდო. ამის მიზეზი მიხეილ სააკაშვილის დაშავება გახდა. საქართველოს პრეზიდენტს მხრის სამმაგი მოტეხილობა დაუდგინდა და სტამბოლის საავადმყოფოში ოპერაცია ჩაუტარდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი ველოსიპედით ყოველდღიური ვარჯიშისას დაშავდა.

საქართველოს პრეზიდენტი თურქეთში სამუშაო ვიზიტით 6 აპრილს გაემგზავრა. პრეზიდენტ სააკაშვილის თურქეთში ვიზიტი 10 აპრილს დასრულდება.

## მაია ფანჯიკიძე: „ბიძინა ივანიშვილის აშშ-ში ვიზიტი, სავარაუდოდ, წელს განხორციელდება"



საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სავარაუდოდ, წელს განხორციელდება. ამის შესახებ საქართველოს საგარეო მინისტრმა, მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე ერიკ რუბინთან გამართული შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

მაია ფანჯიკიძის თქმით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში წელს იგეგმება, მაგრამ „თარიღს დაზუსტებით ვერ ვიტყვი".

*„ინტერპრესნიუსი"*

## ვერსიანიუსი

## დავით ბაქრაძე: „თეა წულუკიანი გაცდა ზღვარს, რომლის იქითაც სახელმწიფო ზიანდება"



საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის, დავით ბაქრაძის შეფასებით, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი პოლიტიკური ბრძოლის ფარგლებში გაცდა ზღვარს, რომლის იქითაც სახელმწიფო ზიანდება. დავით ბაქრაძე იმედს იტოვებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის ხელახალი გამოძიებისა და პრეზიდენტის დაკითხვის შესახებ წულუკიანის მხრიდან გაკეთებული განცხადება მხოლოდ განცხადებად დარჩება.

**„2008 წლის ომთან დაკავშირებით ქართულმა მხარემ გამოძიება ჩაატარა. გახსოვთ, მაშინ ეს პროცესი ღიად და გამჭვირვალედ მიმდინარეობდა. საპარლამენტო კომისიაში მისული იყო პრეზიდენტი და მან კომისიის მხრიდან დასმულ შეკითხვებს უპასუხა. გარდა ამისა, ევროკავშირმა შექმნა მთელი საგამოძიებო სტრუქტურა ტალიავინის ხელმძღვანელობით, რომელიც შეხვდა ყველა მხარეს და დაიდო დასკვნა, რაზეც ყველამ თქვა, რომ იყო საკმარისი და ადეკვატური დასკვნა. ამის ფონზე, ვერ ვხედავ, რას უნდა ემსახურებოდეს ამ პროცესების ხელახალი გამოძიება. თუ ჩვენი ამოცანაა, მაინცდამაინც ის დავამტკიცოთ, რომ ომი ქართველებმა დავიწყეთ, ქართველები ტერორისტებს ვამზადებთ და ისეთი ცუდი სახელმწიფო ვართ, როგორც საქართველოს რუსეთის ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი აფასებს, მაშინ გასაგებია. ნამდვილად არ მინდა ვიფიქრო, რომ იუსტიციის მინისტრის განცხადებების უკან ეს მიზანი დგას",** — განუცხადა ჟურნალისტებს დავით ბაქრაძემ.

*„ინტერპრესნიუსი"*

# როგორ დავიბრუნოთ უცხოელებისთვის 99-წლიანი იჯარით გადაცემული მიწები?



მერაბ ბერიძე

**რეგიონის მოსახლეობა უცხოელი ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწების 99-წლიანი იჯარით გადაცემას აპროტესტებს. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში ხმაურიანი ინციდენტი მოხდა. ადგილობრივი მოსახლეობა ირანელი ფერმერების მეურნეობაში შეიჭრა და მიწის ნაკვეთს შემოვლებული ღობე რამდენიმე მეტრზე შემოაცალა. მესერის მთლიანად მორღვევაში ხაიშის მაცხოვრებლებს პოლიციამ შეუშალა ხელი.**

ადგილობრივები აცხადებენ, რომ ირანელ ფერმერებს, რომელთაც გრძელვადიანი იჯარით ხელისუფლებამ 2 წლის წინ გადასცა სარგებლობაში სოფლის ტერიტორიაზე არსებული 700 ჰექტარი მიწის ფართობი, აღნიშნული ტერიტორიებით სარგებლობის უფლებას არ მისცემენ და მიწის ნაკვეთებს თავად დაამუშავებენ.

ხაიშელები აცხადებენ, რომ სოფლის სახნავ-სათესი მიწები და საძოვრები ხელისუფლებამ 2 წლის წინ, ჩუმად გაასხვისა და სოფლის მოსახლეობა მიწის ნაკვეთების გარეშე დატოვა. სოფელმა არაერთხელ მიმართა დახმარებისთვის ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებას.

რამდენიმე თვის წინ, როგორც ხაიშის მცხოვრებლებმა განაცხადეს, მათ პრემიერ-მინისტრის სახელზე წერილი სახელმწიფო კანცელარიაში ჩააბარეს და პასუხს დღემდე ელიან.

აღსანიშნავია, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში 1997 წლიდან სვანეთიდან ჩასახლებული 160 ეკომიგრანტი ოჯახი ცხოვრობს. ადგილობრივთა შემოსავლის ერთადერთი წყარო მეცხოველეობა და სოფლის მეურნეობაა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ასევე ხმაური იყო სამაჩაბლოს ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე სოფელ დიცშიც. სოფლის მოსახლეობისთვის ცნობილი გახდა, რომ სოფლის ტერიტორიაზე არსებული 140 ჰექტარი სარეზერვო ფართობი 2012 წლის დეკემბერში ინდოეთის მოქალაქეებზე გაიყიდა.

ინდოელებმა მიწის დამუშავება ღამის საათებში დაიწყეს. დილით კი, როცა მოხნულ მიწის ფართობზე ხეხილის ნერგების გაშენება დააპირეს, ადგილობრივმა მოსახლეობამ ამის საშუალება არ მისცა და ინდოელები იძულებულნი გახდნენ, ტერიტორია დაეტოვებინათ. ვაშლის ნერგების გასაშენებლად გამზადებული ორმოები კი მიწით ამოუვსეს. დიცელები აცხადებენ, რომ აღნიშნული ფართობები 2008 წლის ომის დროს, საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვეს და არ აპირებენ, სოფლის კუთვნილი ფართობები ინდოელებს დაუთმონ. დიცელები ვარაუდობენ, რომ მიწის გასხვისება, მთელი რიგი დარღვევებით, ფარულად მოხდა. ადგილობრივი მოსახლეობა პროკურატურას საჩივრით მიმართავს და აცხადებს, რომ სისხლი დაიღვრება, ამ ტერიტორიას კი არ დათმობენ. ამ ფონზე, ტელეკომპანია „ალ ჯაზირა“ ავრცელებს ემა ჰაივორდის სიუჟეტს ინდოელი ფერმერების მიერ საქართველოში შეძენილი მიწების შესახებ. სიუჟეტში, სახელწოდებით „ინდოელი ფერმერები საქართველოში უკმაყოფილებას აღვივებენ“, ავტორი აღნიშნავს, რომ ათასობით ინდოელის მიერ ნოყიერი ქართული მიწების შეძენას ყველა ქართველი არ მიესალმება.

საქართველოს ხელისუფლებამ უცხოელებისთვის მიწების შეძენა გააიოლა, რის შედეგადაც, ათასობით ინდოელმა ფერმერმა შეიძინა მიწები საქართველოში.

პენჯაბელი პროკურორი პარმაჯიტ სინგჰ ბაჩვა ერთ-ერთია, ვინც სამშობლოდან ათასობით კილომეტრის დაშორებით წამოვიდა და ათასობით დოლარი დააბანდა ქართულ მიწაში. ახლა კი კარგი მოსავლის მოლოდინშია, — აღნიშნავს „ალ ჯაზირას“ ჟურნალისტი.

**„აქ ყველაფერი უფრო უკეთესია, ვიდრე ჩემ სამშობლოში – მთლიანად ქვეყანა, ხალხი, სისტემა. ყველაფერი მისაღებია“,** — აცხადებს პენჯაბელი ბაჩვა „ალ ჯაზირასთან“ საუბრისას.

ინდოეთში გამოქვეყნებული რეკლამები იქაურებს დაბალ ფასებში სთავაზობს საქართველოში მიწების შეძენას და ოჯახებს იქ გადაბარგებისკენ უბიძგებს, — აღნიშნავს სიუჟეტის ავტორი.

როგორც ემა ჰაივორდი აცხადებს, ადვილი მისახვედრია, რატომ ხიბლავთ ინდოელ ინვესტორებს ქართული მიწები – იმიტომ, რომ ძალიან იაფი, ხელმისაწვდომი და, რაც მთავარია, ნოყიერია.

**„საქართველოს სოფლის მეურნეობა კრიზისში იყო, რის გამოც უცხოელი ფერმერების მოზიდვა კონკურენტული ფასის მქონე მიწებით დაიწყეს. კახეთის რეგიონში უკვე 300-მდე ინდური კომპანიაა, რომელიც ადგილობრივებისგან მიწებს ყიდულობს, თუმცა ბევრი ადგილობრივი უკმაყოფილებას გამოთქვამს უცხოელების შემოდინების გამო“,** — ნათქვამია „ალ ჯაზირას“ სიუჟეტში.

**„თუ ასე გაგრძელდა, მალე აღარაფერი დაგვრჩება. ინდოელი მეზობლები არ გვინდა, მათ არც ქართული იციან და არც ჩვენი წეს-ჩვეულებები“,** — აცხადებენ კახელები „ალ ჯაზირასთან“ საუბრისას.

თუმცა, როგორც სიუჟეტის ავტორი აღნიშნავს, განსხვავებული მოსაზრება აქვს საქართველოს ხელისუფლებას.

**„დღეს მიწებს პენჯაბელები იძენენ, შესაძლოა, ხვალ ამერიკელებმა შეიძინონ, ზეგ ევროპელებმა. ასე რომ, ჩვენ გახსნილები უნდა ვიყოთ. ეს ეკონომიკის ზრდისა და მეტი პროდუქტის წარმოების შესაძლებლობას მოგვცემს“,** — განუცხადა „ალ ჯაზირას“ ჟურნალისტს „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტმა პაატა შეშელიძემ.

როგორც სიუჟეტის ავტორი აღნიშნავს, ინდოელი ფერმერები აცხადებენ, რომ მათ საქართველოს ეკონომიკის გაზრდის სურვილი აქვთ, თუმცა შესაძლოა, ამას დიდი დრო დასჭირდეს.

„ვერსიასთან“ საუბრისას, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე აცხადებს, უცხოელებისთვის მიწების გადაცემის დოკუმენტაციას არ იცნობს. მისივე თქმით, ნებისმიერ შემთხვევაში, შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება:

**„არ ვიცი, როგორ, მაგრამ ეს მიწები მათ ხელისუფლებამ გადასცა. ერთი მხარე ამბობს, ღია აუქციონზე შევიძინეო და მეორე მხარე კი ამტკიცებს — არანაირი აუქციონი არ ყოფილაო. ეს, ცოტა არ იყოს, გასაკვირი მდგომარეობაა. ამ გადაცემის საბუთებსა და დოკუმენტებს, სამწუხაროდ, არ ვიცნობ.**

**გამოსავალზე პასუხი ელემენტარულია. საიდან ჩნდება პრობლემა? დღემდე არ გაკეთებულა ის, რომ სოფელს, დაბას, დღეს არსებულ მუნიციპალიტეტს განესაზღვრა, რა არის მისი ზუსტი საზღვარი და რა მიწაა მის საკუთრებაში. მიწა მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაშია დარჩენილი. შემდგომ, ხელისუფლებას როგორც სურს, ისე ექცევა აღნიშნულ მიწას. რეალურად შეუძლია სოფელი იმ ტერიტორიის გარეშე დატოვოს, რომლითაც ეს სოფელი სულდგმულობს, რადგან მიწა არ არის მარტო საკარმიდამო ნაკვეთები. სოფელს სჭირდება საერთო სარგებლობის მიწებიც, საძოვარი, სახნავი ფართობები.**

**კონკრეტულად ხაიშთან დაკავშირებით, ინფორმაცია უფრო ადრე მქონდა. პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს ამის შესახებ განცხადებაც გადაეცა სოფლის მცხოვრებლებისა, სადაც აღნიშნავენ, რომ მათთვის მოულოდნელად, სოფლის სარგებლობაში მყოფი მიწა იჯარით გადასცეს უცხოელებს. ამ მიწაზე მოჰყავდათ პროდუქცია, რომელიც სჭირდება ფერმის შენახვას ანუ მეცხოველეობას. ამას სახელმწიფო არ უნდა აკეთებდეს. ეს შეიძლება მოგვარდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მიწას ეყოლება მესაკუთრედ არა სახელმწიფო, არამედ თავად სოფელი, თემი, მუნიციპალიტეტი. სოფელი მიწას, რომლითაც არსებობს და სული უდგას, უბრალოდ, აღარ გაყიდის. აი, ეს არის გამოსავალი“.**

რაც შეეხება უკვე გასხვისებული ნაკვეთების დაბრუნების პერსპექტივას, ხმალაძის თქმით, ამ შემთხვევაში ცივილური გზა უცხოელი მესაკუთრეებისთვის კომპენსაციების გადახდაა, რაც სახელმწიფოს საკმაოდ ძვირი დაუჯდება:

**„ერთადერთი მექანიზმი, სათანადო კომპენსაციის საფუძველზე ამ ხელშეკრულებების გაუქმებაა, რაც სახელმწიფოს ფული დაუჯდება და არცთუ მცირე ოდენობის. მართალია, წინა ხელისუფლებამ დააშავა და ამა თუ იმ კონკრეტულ სოფელს ზიანი მიადგა, ვისაც მიწა გადაეცა, მაგრამ მათ ხომ ეს კანონიერად მიიღეს? შესაბამისად, უკან რომ ჩამოართვა, ამისთვის სათანადო კომპენსაცია უნდა გადაუხადო. ნაციონალიზაციას კი ძალიან მძიმე რეაქცია მოჰყვება მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან. ამავდროულად, მოყვება, ზოგადად, ნდობის დაკარგვა ჩვენი სახელმწიფოსადმი. როგორ შეიძლება, საქართველოში ვინმე შემოვიდეს ეკონომიკური საქმიანობის საწარმოებლად, დასაწყებად, თუ მას ეცოდინება, რომ ესაა სახელმწიფო, რომელშიც ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, ყველაფერი წაგართვან, ამიტომ ცივილური მეთოდია, თუ რაიმე მსგავსის გაკეთებას აპირებ, სათანადო კომპენსაცია უნდა მისცე“.**

დეკანის მოადგილე მყავდა, ბატონი ვანო მჭედლიშვილი. ყოველი სამუშაო კვირის ბოლოს, პარასკევს საღამოს, მშობლიურ სოფელში, წნორში ჩადიოდა და ორ დღეს მიწაზე შრომაში ატარებდა. სულ იმეორებდა, ბავშვებო, ეს შაბათი-კვირა მიწაზე მიჯაჭვული რომ არ ვიყო, ორშაბათს ვერ დავბრუნდები და ლექციებს ვერ წავიკითხავო. მიწისგან იღებდა სასიცოცხლო ენერგიას, რომელიც შემდეგ, მთელი კვირა მიჰყვებოდა. მეცნიერები ამბობენ, რომ დღევანდელი ქართველობის მოდუნება, დასუსტება მიწასთან კონტაქტის დაკარგვამ გამოიწვია. ალბათ, ამის გამოვლენაცაა ტერიტორიების მასობრივად უცხოელებისთვის გადაცემა, თან 99-წლიანი ვადით. სადამდე მიიყვანს მიწათმოქმედი გენეტიკის მქონე ერს ასეთი რეალობა, ამის პროგნოზი დიდ მარჩიელობას არ მოითხოვს. განგაშის ზარი დროულად უნდა შემოიკრას. გადაჭარბების გარეშე, ჩვენ, ყველას, მშობლიური მიწა გვიხმობს, რომელიც ნებისმიერ ფასად უნდა დავიბრუნოთ და სათანადოდ მივხედოთ.



## ქართული მხარე თურქეთს იშხანში მიმდინარე სამუშაოების დროებით შეჩერებას სთხოვს

ქართული მხარე თურქეთს იშხანში მიმდინარე სამუშაოების დროებით შეჩერებას სთხოვს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან აცნობეს, უწყება თურქულ მხარესთან შესაბამის შუამდგომლობას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სთხოვს.

**„კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო გეგმავს საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, მურათ ბურჰანის მოწვევას. დიპლომატთან შეხვედრამდე კი, კულტურის სამინისტროდან გაიგზავნა წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მაია ფანჯიკიძის უწყებას თურქულ მხარესთან შუამდგომლობას სთხოვს, იშხანში მიმდინარე სამუშაოების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით“,** — ნათქვამია კულტურის სამინისტროს განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, იშხნის ტაძარზე მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების ადგილზე გასაცნობად ტაო-კლარჯეთში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაცია გაემგზავრება. უწყებაში განმარტავენ, რომ დელეგაციას, რომლის ვიზიტიც უკვე დაიგეგმა, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი უხელმძღვანელებს.

**„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლების მიერ თურქეთიდან, იშხანში მიმდინარე სამუშაოების შესახებ ჩამოტანილი ანგარიშის გაცნობის შედეგად, კულტურის სამინისტროში თათბირი გაიმართა, რომელსაც კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე, მისი მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი, სააგენტოს წევრები და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალისტები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე დაიგეგმა ვიზიტი ტაო-კლარჯეთში. იშხნის ტაძარზე მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების ადგილზე გასაცნობად, თბილისიდან დარგის სპეციალისტებისგან შემდგარი დელეგაცია გაემგზავრება, საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის, მარინე მიზანდარის ხელმძღვანელობით“,** – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე) თურქეთის მხარის მიერ იშხანზე დაწყებული სარესტავრაციო სამუშაოების შეჩერებას ითხოვს. ამასთან დაკავშირებით, მიტროპოლიტმა თურქეთის რესპუბლიკის ელჩს საქართველოში, ელევენთ მურათს, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრს, მაია ფანჯიკიძესა და კულტურის მინისტრს, გურამ ოდიშარიას წერილით მიმართა. მიმართვის ტექსტს საქართველოს საპატრიარქო ავრცელებს. წერილში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე) აღნიშნულ პირებს ატყობინებს, რომ იგი 7-8 აპრილს მცირე დელეგაციასთან ერთად, თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა, სადაც ქართული ტაძრები და მონასტრები მოინახულა.

**„სამწუხაროდ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში დაგვხვდა იშხნის მონასტერი, სადაც დაწყებულია ტაძრის გაწმენდითი სამუშაოები, გამოტანილია დიდი რაოდენობით მიწა და ქვები, რომლებიც გარეთ უწესრიგოდაა მიმოფანტული. სამუშაოებს, სამწუხაროდ, არ ესწრებიან ქართველი არქეოლოგები და ხელოვნებათმცოდნეები, რაც, ჩვენი სიტყვიერი შეთანხმებიდან გამომდინარე, სრულიად მიუღებელია და ასევე გაუგებარი, რამ დააჩქარა სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება საბოლოო შეთანხმების მიღებამდე“,** — აღნიშნულია პატრიარქის ქორეპისკოპოსის მიმართვაში.

მიტროპოლიტი მიმართავს საქართველოს მინისტრებსა და ელჩს, და გამოთქვამს იმედს, რომ მიიღებენ ზომებს, რათა დროებით შეჩერდეს სამუშაოები და უზრუნველყოფილ იყოს ქართველი სპეციალისტების მონაწილეობა შემდგომ საქმიანობაში.

*„ინტერპრესნიუსი“*

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა მასშტაბური შიმშილობის აქციები უკვე პერმანენტულ სახეს იღებს. მესამე დღეა, მარტვილიდან ჩამოსული 25 კაცი მთავრობის კანცელარიასთან შიმშილობს, პრემიერ-მინისტრთან დაუყოვნებლივ შეხვედრას ითხოვს და აცხადებს — თუ ბიძინა ივანიშვილი ამ დათმობაზე არ წამოვა, შიმშილობას არ შევწყვეტთო. აქციის მონაწილენი შეხვედრის მიზეზებზე დეტალურად არ საუბრობენ და ამბობენ, რომ ამის შესახებ მხოლოდ პირადად ივანიშვილს დაელაპარაკებიან. „ვერსიის“ ინფორმაციით, მარტვილელები „ქართული ოცნების“ ლიდერს რაიონის გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის შეცვლას მოსთხოვენ.

## „თუკი პრემიერი არ შეგვხვდება, შიმშილობის აქციას განვაგრძობთ!“



კანცელარიასთან მარტვილიდან ჩამოსული „ქართული ოცნების“ 25 წევრი შიმშილობს!

**ლევან მანტუა, „ქართული ოცნების“ წევრი:** „გვინდა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა. მარტვილის რაიონში ბევრი საკითხი დაგროვდა და ეს ყველაფერი პირადად უნდა მოვახსენოთ. მიგვაჩნია, რომ საქმის კურსში არ არის და უნდა ვუთხრათ, რა მძიმე ვითარებაა მარტვილში. მხოლოდ ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ გავაცნობთ ყველა დეტალს საზოგადოებას. ვიტყვით იმ პრობლემების შესახებ, რაც მარტვილშია. ორჯერ ვიყავით თბილისში და ვერ მოვაგვარეთ ჩვენი პრობლემები. კანცელარიაშიც ვიყავით, პრემიერის შეხვედრის მოთხოვნით და უარი გვითხრეს, ამიტომაც იძულებულნი ვართ, ამ ფორმას მივმართოთ. კარვის გაშლა გვინდოდა, მაგრამ პოლიციამ ნება არ მოგვცა, ამიტომაც ღია ცის ქვეშ დავსხედით საშიმშილოდ“.

**ირაკლი ჯამბურია:** „შიმშილობის მიზანი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაა. ბევრი საკითხი დაგროვდა მარტვილის რაიონში და გვინდა, ეს ივანიშვილს მოვახსენოთ. სანამ პრემიერი არ შეგვხვდება, ვერ გავაჟღერებთ იმ პრობლემებს, რაც მარტვილშია. შეხვედრის შემდეგ ვისაუბროთ. ადგილობრივ თვითმმართველობებში ძალიან ბევრი დამნაშავეა, რომელთაც კანონის წინაშე უნდა აგონ პასუხი“.

**ნუკრი გეგელია:** „ჩვენ „ქართული ოცნების“ წევრები ვართ. აქ ვშიმშილობთ ერთადერთი მოთხოვნით — მოვითხოვთ, ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას და ამის მიზეზიც გვაქვს. პრემიერს უნდა ავუხსნათ ყველაფერი, რა პრობლემებიც მარტვილში დაგროვდა და რისი მოგვარებაც დღემდე ხელოვნურად ვერ ხერხდება. თუკი პრემიერი არ შეგვხვდება, შიმშილობის აქციას განვაგრძობთ“.

**ზურიკო გულორდავა:** „მარტვილში, ზოგადად, ბევრი პრობლემაა. რაიონს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები მართავენ. გვინდა, შეიცვალოს პოლიტიკური ვითარება, ადგილობრივ ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის წევრები, „ქართული ოცნების“ წევრებმა ჩაანაცვლონ. თუკი პრემიერი არ შეგვხვდება, მაშინ ჩამოვყალიბდებით, რა ფორმით და როგორ განვაგრძობთ შიმშილობას. სანამ საშიმშილოდ დავსხდებოდით, ბატონ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა ვცადეთ, რაშიც რამდენიმე ადამიანი იყო ჩარეული, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ამიტომაც საშიმშილოდ დედაქალაქში ჩამოვედით...“

# რატომ არ აპროტესტებს საგარეო უწყება აჰმედ დავუთოღლუს სკანდალურ განცხადებას?




არასამთავრობო ორგანიზაციების აქცია თურქეთის საელჩოსთან

მერაბ ბერიძე

**არასამთავრობო ორგანიზაციები თურქეთის საგარეო მინისტრ აჰმედ დავუთოღლუს სკანდალურ განცხადებასთან დაკავშირებით, მეზობელი ქვეყნის ხელისუფლებისგან ახსნა-განმარტებას მოითხოვენ. უფლებადამცველთა გაერთიანებამ, ადვოკატთა ასოციაციამ, კოალიციამ „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისთვის“ და სხვა ორგანიზაციებმა თურქეთის საელჩოსთან აქცია გამართეს. მათი თქმით, დავუთოღლუს განცხადებით გამოჩნდა, რომ თურქეთი აჭარის ტერიტორიის მიერთებას გეგმავს.**

**„გასული საუკუნე ის გვერდია, რომელიც გადავფურცლეთ. ახლა ჩვენ დავამყარებთ ახალ კავშირებს სარაევოსა და დამასკოს, ბენღაზსა და ბათუმს შორის. ამჯერად, ამას გავაკეთებთ მშვიდობიანი გზებით. არავისთან ვიომებთ, საზღვრებსაც პატივს ვცემთ, ახლა ამაშია ჩვენი ძალა. დღეს ისინი სრულიად სხვა ქვეყნებია, მაგრამ 110 წლის წინ იემენი და სკოპიე, ბათუმი და ბენღაზა იყო ერთი ქვეყნის, ოსმალეთის იმპერიის ნაწილი. ჩვენ ვიღებთ მათ გამოწვევას, რომლებიც ცეცხლს გაგვიხსნიან, ბრალს დაგვდებენ ნეო-ოსმალიზმში; მაგრამ თუ ასეა, ისინი, რომლებმაც გააერთიანეს მთელი ევროპა, რატომ არ იწოდებიან ახალ რომაელებად?“, — აცხადებს აჰმედ დავუთოღლუ, რომელსაც ქართული არასამთავრობოები უპირისპირდებიან და, ვარაუდობენ, რომ თურქეთს შორსმიმავალი გეგმები აქვს. ანკარა ოსმალეთის იმპერიის შენებას იწყებს და აპირებს აჭარის თურქეთისთვის მიერთებას, ყოველგვარი ომისა და შეიარაღებული თავდასხმის გარეშე. სამოქალაქო სექტორი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას შეურაცხმყოფელს უწოდებს და ახსნა-განმარტებებს თურქეთის ხელისუფლებისგან ითხოვს. „ვერსია“ არსებულ რეალობასა და მოსალოდნელ შედეგებზე „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ლიდერს, ნიკოლოზ მჟავანაძეს ესაუბრა.**

— თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება პირდაპირი და ღია აგრესიაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. როდესაც უწყების პირველი პირი აცხადებს, რომ პრეტენზია აქვს აჭარასთან დაკავშირებით, წელში გამართული ქვეყანა, საერთოდ, დიპლომატიურ ურთიერთობას გადახედავდა. სამწუხაროდ, ჩვენ ამის ფუფუნება არ გვაქვს, ამიტომ ელემენტარული პროტესტი მაინც უნდა გამოითქვას აღნიშნულ გამოხდომაზე. თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უნდა დაიბარონ და პასუხი მოსთხოვონ, რატომ აკეთებს მინისტრი არამეგობრულ განცხადებებს. რასაც ჩვენ რეალურად ვუყურებთ, ნონსენსია დიპლომატიურ ურთიერთობაში. ერთია, თურქული მხარის საქციელი და მეორე — ჩვენი ხელისუფლების დუმილი.

ამასთან, უნდა შეწყდეს აჭარის ისლამიზაციის პროცესი. მიმდინარეობს მეჩეთების მშენებლობასთან დაკავშირებული ნებართვების აღება. წარჩინებული ახალგაზრდები თურქეთში მიჰყავთ და ისლამის ფუძემდებლურ პრინციპებს ასწავლიან; რათა შემდგომ, მშობლიურ კუთხეში, სოფლებში იქადაგონ. ეს ყოვლად გაუგონარი ფაქტებია, რის გამოც ჩვენ აჭარის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე ვდგავართ. ეს არ არის გადაჭარბებული ნათქვამი. რა გადაჭარბებაზეა საუბარი, როცა თურქეთის საგარეო მინისტრი ამ ტიპის განცხადებას აკეთებს.

**დღეს ბათუმში მთელი უბნებია, სადაც მოძღვარი ჯვრით ვერ შედის. ერთხელ მოახსნევინეს კიდეც, ამიტომ არ შეიძლება ასეთი დოყლაპიობის რეჟიმში ვიცხოვროთ და ყოველთვის ასეთი არაადეკვატური დამოკიდებულება გვქონდეს რეალური პრობლემების მიმართ. ასე იწყებოდა ტერიტორიების დაკარგვა აფხაზეთში, სამაჩაბლოში; იგივეს მივიღებთ ბათუმში, თუ არ გადავხედავთ პოლიტიკას თურქეთის სახელმწიფოსთან მიმართებაში. ჩვენი ეროვნული ინტერესები უნდა გვამოძრავებდეს, მით უმეტეს, საზღვრისპირა რეგიონებში.**

ასევე, ნათლად გამოხატული პოზიციები უნდა გვქონდეს მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში. თუ მეგობარი ხარ, ჩემი მოთხოვნაც არ არის საჭირო, რომ ეს ისტორიული ძეგლები აღადგინო. ამ დროს რა ხდება? მე ამ ძეგლებს აღვადგენ, სანაცვლოდ, მეჩეთი ამიშენეო, გვეუბნებიან. ეს უკიდურესად ცინიკური დამოკიდებულებაა. ახლა, აქ რომ ძველი მეჩეთი იყოს და ინგრეოდეს, შეიძლება, ომი დაგვიწყონ, ყურადღება მიაქციეთო. იქ კი ყველა აღიარებს, რომ ჩვენი ძეგლები დგას ამდენი საუკუნეა. ეს ყველაფერი ურთიერთკავშირშია. ძირძველ ტერიტორიებთან დაკავშირებით, შეიძლება, ჩვენ გვქონდეს პრეტენზიები თურქეთის სახელმწიფოს მიმართ და არა პირიქით.

**— რატომ არ აქვს ადეკვატური რეაგირება ხელისუფლებას ამ თურქულ პოზიციაზე?**

— როგორც ჩანს, სააკაშვილის გარკვეული რგოლები ისევ რჩებიან საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში. რეალურად, სამინისტროებსა და უწყებებს მეორე-მესამე პირები მართავენ და ისინი კვლავ ნაციონალური მოძრაობის დასაყრდენია, თუმცა ვერაფრით მოვუძებნი გამართლებას, მათი მხრიდან ამ სამარცხვინო დუმილს. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ასეთ გამოხდომას ადეკვატური ნაბიჯი მოჰყვება და ელჩს ახსნა-განმარტებებს სთხოვენ. ჩვენთან მსგავსი არაფერი ხდება, რაც ყოვლად აღმაშფოთებელია.

**— იქნებ, თურქეთის საგარეო მინისტრის განცხადება უფრო შიდამოხმარებაზე იყო გათვლილი...**

— ეს განცხადება საერთაშორისო მედიით გაჟღერდა. ვიღაცასთან პრივატულ საუბარში ნათქვამი რომ ყოფილიყო, სხვა იქნებოდა. სხვათა შორის, ეს გამოსვლა რუსულ „ოერტეზე“ გადაიცა, იყო კამერები, არაერთი მედიასაშუალება. ამ კაცმა, დავუთოღლუმ ყველაფერი პირდაპირ თქვა, გასაგებ ენაზე. ეს უკვე ოფიციალური გამოსვლაა, სხვანაირად როგორ უნდა შეფასდეს, ამიტომ რეაგირებაც სათანადო უნდა იყოს.

**— ჩვენს ისტორიულ ძეგლებთან დაკავშირებით, ოპტიმალურ გამოსავალს რაში ხედავთ?**

— რა თქმა უნდა, მოლაპარაკებებში საქართველოს საპატრიარქო უნდა ჩაერთოს. როგორც ევროპის ნაწილმა და ნატო-ს წევრმა, დასავლური ცივილიზაციის წარმომადგენელმა, თურქეთმა მის ტერიტორიაზე კულტურულ-ისტორიული ძეგლების მოვლა საკუთარ თავზე უნდა აიღოს. უსაფუძვლო ულტიმატუმებზე არ უნდა წამოვეგოთ. თბილისში დიდი მეჩეთის აშენება რომ მოგვთხოვონ, რა ვქნათ, დავთანხმდეთ? სხვათა შორის, შვეიცარიაში ადგილობრივმა მუსლიმანებმა მეჩეთის მშენებლობა რომ მოითხოვეს, სპეციალური გამოკითხვა ჩატარდა. მოსახლეობამ უარი თქვა მის მშენებლობაზე. ჩვენ როდემდე უნდა ვიყოთ ასეთი დოყლაპიები, ვიღაც გადამთიელის შეძახილსა და მოთხოვნაზე ყველაფერი უნდა დავთმოთ?

# რატომ იქმნება ქართულ შეიარაღებულ ძალებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარდლობა



მერაბ ბერიძე

**ქართულ შეიარაღებულ ძალებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ავტონომიური სარდლობა იქმნება. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტზე მუშაობა დასრულდა. როგორც ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, დოკუმენტში შეტანილია ადაპტირება და შესაბამისი ცვლილებებიც, რომელიც პრეზიდენტს გადაეგზავნა ხელმოსაწერად. „ეს ნიშნავს, რომ ამის შემდეგ ჩვენ უკვე გადავდივართ სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის შესრულების ანუ იმპლემენტაციის ფაზაზე. გაიწერება ეს შესრულების ვადები, შეიქმნება, ამოქმედდება ის სამი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შევქმენით არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ის დააკვირდება, მონიტორინგს გაუწევს, როგორ სრულდება რეფორმების განხორციელება ჩვენს უწყებაში“. მისი თქმით, არასამთავრობო საზოგადოება უწყებაში რეფორმების განხორციელების მონიტორინგშიც მაქსიმალურად იქნება ჩართული.**

**მინისტრის განცხადებით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, საქართველოს საბრძოლო მდგომარეობის ამაღლება და მისკენ გადადგმული ნაბიჯებია:**

„შესწავლილ იქნა თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებულ შტაბთან ერთად, ის ნაკლოვანებები, რაც დღეს გაგვაჩნია სისტემაში. უკვე დაგეგმილი და შეთანხმებულია პრემიერ-მინისტრსა და ფინანსთა მინისტრთან, პირველ რიგში დასაფინანსებელი ღონისძიებები, რათა ჩვენი საბრძოლო მზადყოფნა მუდმივად იყოს მაღალ დონეზე“.

**მინისტრის თქმით, პრაქტიკულად, საოკუპაციო ძალების მხრიდან, ამ ეტაპისთვის არანაირი ნიშანი არ არის, რომ მათი დამოკიდებულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის განხორციელებაზე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონზე, რაიმე ფორმით შეიცვალა.**

**მინისტრის შეფასებით, მათი სამხედრო ყოფნა საერთაშორისო სამართლის პრინციპების სრული დარღვევით, დღესაც იძლევა იმის საფუძველს, რომ საქართველო მუდმივად მზადყოფნაში იყოს.**

„ბოლო პერიოდში დაწყებული მოლაპარაკებები სავაჭრო საკითხებში, იმედს აჩენს, რომ რიტორიკა ორ ქვეყანას შორის შემცირდება და ჩვენ შეიძლება გადავიდეთ სამუშაო ურთიერთობების იმ ფაზაზე, რაც დაამდაბლებს სამხედრო ესკალაციის შესაძლებლობას, მაგრამ დღეისთვის, ასეთი თვითრწმენის საფუძველი არ გვაქვს, ამიტომ უმთავრესი ამოცანა, თავდაცვის უწყების შინაარსიდან გამომდინარე, ისაა, უზრუნველყოს საქართველოს თავდაცვისუნარიანობა“, — **აცხადებს ალასანია და დასძენს, რომ აგრესიისა თუ ნებისმიერი ესკალაციის თავიდან ასაცილებლად, შეიარაღებული ძალები მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს.**

**ასევე, თავდაცვის მინისტრის ინფორმაციით, შეიარაღებულ ძალებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარდლობა ჩამოყალიბდება. ალასანიას განმარტებით, აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე შეიარაღებული ძალები წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით მივიდა. მინისტრმა იქვე აღნიშნა, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარდლობის შექმნის გადაწყვეტილებას თავადაც ეთანხმება:**

„როდესაც 2008 წლის აგვისტოში საბრძოლო მოქმედებები დაიწყო, სხვა პრობლემებთან ერთად, ქართული არმია დადგა იმ პრობლემის წინაშეც, რომ დასავლეთსა და აღმოსავლეთში განლაგებულ სამხედრო ქვედანაყოფებს ავტონომიური მოქმედების შესაძლებლობა არ ჰქონდათ.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარდლობა იქნება დამოუკიდებელი რესურსების შექმნის ძალიან მოკლე გზა. ჩვენ გვაქვს ზუსტად გათვლილი გეგმა როგორ შევუქმნათ როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის სარდლობას ის ავტონომიური ელემენტები, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს, კონფლიქტის ესკალაციის პირობებში, ავტონომიურად იმოქმედონ და შემოსულ მტერს წინააღმდეგობა გაუწიონ“.

**სამხედრო ანალიტიკოსს, ირაკლი ალადაშვილს შეიარაღებულ ძალებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარდლობის შექმნა აუცილებლად მიაჩნია:**

„ასეთი მიმართულება იყო მანამდეც, აფხაზეთის ომის შემდგომ. ეს აუცილებელია, გამომდინარე იქიდან, რაც მოგვივიდა 2008 წლის ომის დროს. რუსეთმა გადაკეტა გორთან საავტომობილო გზა, სარკინიგზო ხაზი და საქართველო გაიყო ორად. ამ დროს, სამხედრო დანაყოფების გადასროლა დასავლეთის მიმართულებით ან პირიქით, თითქმის წარმოუდგენელი იყო, ამიტომ დასავლეთის ისევე, როგორც აღმოსავლეთის მიმართულება უნდა იყოს დამოუკიდებელი, ოპერატიული მოქმედების დონეზე, რათა რამდენიმე დღე მაინც შეასრულოს მასზე დაკისრებული ამოცანები, სანამ ჩაერთვებიან დასავლელი პარტნიორები და პოლიტიკური გზით მოახდენენ სავარაუდო მოწინააღმდეგის შეჩერებას. აუცილებელია, დანაყოფებს უფრო მეტი ავტონომია ჰქონდეთ. აგვისტოს ომის დროს, ერთ-ერთი ყველაზე დიდი დანაშაული და შეცდომა იყო მეორე ქვეითი ბრიგადის გადასროლა სენაკიდან გორის მიმართულებით“.

**ექსპერტი სამხედრო საკითხებში გიორგი თავდგირიძე ამბობს, რომ სტრატეგიული დოკუმენტის განხილვას არასამთავრობოებიც ესწრებოდნენ და მის შემუშავებაში მათი გარკვეული რეკომენდაციებიც გათვალისწინებული იქნა. მისივე თქმით, აღმოსავლეთ-დასავლეთ სარდლობის შექმნისას, მეტი არგუმენტი უნდა იქნეს მოყვანილი:**

„სტრატეგიული მიმოხილვა უფრო ზოგადი დოკუმენტია, რომელიც თავდაცვის პოლიტიკას შეეხება. ვფიქრობ, პირველ რიგში, სამუშაო დოკუმენტი უნდა შექმნილიყო და არსებული პრობლემები დაწვრილებით განსაზღვრული. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შემუშავებულიყო თავდაცვის მინისტრის ხედვაც, სტრატეგიული მიმოხილვისა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც არსებული ხარვეზების აღმოფხვრისკენ იქნებოდა მიმართული.

ამიტომ ვფიქრობ, არსებული პროექტი უფრო პარტნიორებზეა გათვლილი, ვიდრე შიდა მოხმარებაზე. ასეთი პუნქტია მაგალითად, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარდლობის შექმნა. არ არსებობს რაიმე ტიპის პროფესიული ანალიზი, რაში სჭირდება საქართველოს ერთი შეიარაღებული ძალებისთვის ორი, თანაბარუფლებიანი სარდლობა. ამ თვალსაზრისით, მოყვანილი არგუმენტები კრიტიკას ვერ უძლებს. გაუგებარია, სარდლობამ როგორ უნდა აამაღლოს ქვედანაყოფების ავტონომიურობა, რაც 2008 წლის აგვისტოში ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენდა. თუ სხვა რამაა კიდევ ჩაფიქრებული, ესეც უნდა ითქვას და არა მხოლოდ საუბრები ორი სარდლობის შექმნაზე.

დანარჩენი ზოგადი პრიორიტეტები, ასე თუ ისე, სწორადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ საჭიროა განმარტება ამ ნაბიჯებისა და ასევე, რა შედეგების მომტანია სამომავლოდ ყველაფერი. ნებისმიერი სამხედრო გადაწყვეტილება შექმნილი ვითარების ფართო ანალიზს უნდა ემყარებოდეს. თუ ეს შეფასება არ არის, ძნელია განსაზღვრო, რის საფუძველზე შეარჩია სამინისტრომ ესა თუ ის პრიორიტეტული მიმართულება; შეიტანა დოკუმენტში, რომელიც გარკვეული დროს განმავლობაში, მისთვის სახელმძღვანელო უნდა იყოს“.

**რაც შეეხება ნაკლოვანებების აღმოფხვრას, თავდგირიძის თქმით, საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება მუდმივი პროცესი და ყოველდღიურობაა:**

„ეს ნებისმიერი შეიარაღებული ძალის მთავარი პრიორიტეტია. მთავარია, რა ახალი მეთოდოლოგიით განხორციელდება ეს პოლიტიკა; ღონისძიებათა რა კომპლექსი განხორციელდება საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისთვის. სამწუხაროა, რომ ქართული შეიარაღებული ძალები არ დგას სათანადო თეორიულ ბაზაზე. ქართულ ენაზე ვერ ნახავთ გარკვეულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებულ თუნდაც არამეცნიერულ კვლევას. ანუ ქართული შეიარაღებული ძალები, პრაქტიკულად, თეორიის გარეშე არსებობს. ეს დაახლოებით ისეა, გვქონდეს სამედიცინო ინსტიტუტი და არ გვქონდეს მშობლიურ ენაზე რაიმე ტიპის სამედიცინო ლიტერატურა. ამას სასწრაფო გამოსწორება სჭირდება. ერთია, უცხოური შეიარაღების ყიდვა და მეორე, მისი გამოყენება. ათი ავტომატი და ამდენივე ჯარისკაცი არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვყავს ათეული. თეორიულად გაწერილი უნდა გვქონდეს, როგორ იმოქმედოს ამ ათეულმა. ეს თეორიული საფუძვლები კი აუცილებლად ქართულ ენაზე უნდა გვქონდეს. ეს თეორიული ბაზა და პრაქტიკული ღონისძიებები პარალელურ რეჟიმში უნდა ვითარდებოდეს“.

ვერსიანიუსი

## მთავრობა, 9 აპრილთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს

საქართველოს მთავრობა
The Government of Georgia

საქართველოს მთავრობა, 9 აპრილთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

**„24 წელი გავიდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან. 24 წლის წინ, აპრილის დღეებში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით, რუსთაველის პროსპექტი ხალხით გადაიჭედა. ეს იყო მშვიდობიანი, მაგრამ თავგანწირული ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც ყველა თაობა გააერთიანა. ჩვენი ხალხი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, შიშველი ხელებითა და სიმღერით დაუხვდა კბილებამდე შეიარაღებულ მომხვდურს. საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით დაწყებული საპროტესტო აქცია უსასტიკესი დარბევითა და აუნაზღაურებელი მსხვერპლით დასრულდა.**

**ეს დღე თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ქართველი ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლისა და თავგანწირვის სიმბოლოდ იქცა. ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეალებისთვის უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების საქმეში – ზუსტად ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.**

**ჩვენი თანამემამულეების თავდადებას, სამშობლოსთვის დაღვრილ სისხლს უკვალოდ არ ჩაუვლია. დღეს საქართველო დამოუკიდებელი, თავისუფალი სახელმწიფოა. ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ ჩვენს გმირებს, ყოველთვის პატივს მივაგებთ მათ ხსოვნას და იმ იდეალების ერთგული დავრჩებით, რომლებსაც მათ შესწირეს თავი“,** — ნათქვამია განცხადებაში.

***„ინტერპრესნიუსი“***

# კომპრომატები, რომელსაც ბერეზოვსკის ანდერძის თანახმად, პუტინს გამოუქვეყნებენ!

ზურაბ გამრეკელი

**ბორის ბერეზოვსკის 23 წლის მეგობარი გოგონა, კატერინა საბიროვა ამტკიცებს, რომ თვითმკვლელობის ვერსიის არ სჯერა. მისი აზრით, მიუხედავად რომან აბრამოვიჩთან სასამართლო დავის შედეგად 100 მლნ ფუნტის წაგებისა, ბერეზოვსკი თავს არ მოიკლავდა, რადგან ამ ფაქტით არ იყო დათრგუნვილი და კვლავ მდიდარი იყო – სიკვდილის წინ მისი ქონება 450 მლნ ევროს შეადგენდა (2008 წლის ეკონომიკურ კრიზისამდე ის 2 მლრდ ევროს აქტივებს ფლობდა). მეტიც, კატია საბიროვა აცხადებს, რომ 25 მარტს ისინი ერთად აპირებდნენ სამოგზაუროდ ისრაელში გამგზავრებას. ფრანგული „ლე ფიგარო“ ლონდონში მცხოვრებ, ეფესბე-ს ყოფილ წარმომადგენელს – ბორის კარპიჩკოვს ესაუბრა, რომელიც ინტერვიუში საუბრობს, რომ პუტინის პირველი მტერი რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების მოკლულია. ამასთან, ინტერნეტის ქსელში გამოჩნდა უცნობი რუსი ბლოგერის მიერ გამოქვეყნებული ბერეზოვსკის ანდერძი, სადაც ის თავის ლონდონელ იურისტს სთხოვს, დაკრძალვიდან ერთ თვეში, რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მაკომპრომეტირებელი დოკუმენტების სრული პაკეტი უსასყიდლოდ გადასცეს მედიასაშუალებებს. საუბარია კომპრომატებზე, ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყების წინ, მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებების, აგრეთვე პუტინის პოლიტიკის მოწინააღმდეგე პოლიტიკოსების, მათ შორის ალექსანდრე სობჩაკის, ვიქტორ ილიუხინისა და სხვების მკვლელობების, სხვა ფინანსური და პოლიტიკური დანაშაულების შესახებ.**



ანდერძში მითითებულია, რომ 2013 წლის იანვარში ბერეზოვსკიმ დაურეკა პუტინის პრესმდივანს, ბატონ პესკოვს, რომელსაც მიაწოდა ინფორმაცია, რომ ფლობდა მასალას მსოფლიოს ყველა წერტილში ვლადიმერ პუტინისა და მისი კლანის წევრების, ერთნახევარ ტრილიონ დოლარზე მეტი მოცულობის ოფშორული ანგარიშების შესახებ. უცნობი ბლოგერი აღნიშნავს, რომ ამ საუბრის დროს, პესკოვს ბერეზოვსკისთვის გადაუცია პუტინის მიწვევა და შეთავაზება ზემოაღნიშნული დოკუმენტების არაფორმალურ ვითარებაში განხილვისა. ბერეზოვსკი ანდერძში წერს, რომ მან რუსეთში ჩასვლაზე უარი განაცხადა, და ახლა ეჩვენება, რომ რუსეთის სპეცსამსახურები მას ლონდონში უთვალთვალებენ. ამასთან, იგი ხაზს უსვამს, რომ სწორედ ამიტომ დაიწერა ეს ანდერძი. ის რამდენჯერმე იმეორებს, რომ სრულიად ჯანმრთელია და არასოდეს უფიქრია თავის მოკვლაზე...

## რა მაკომპრომეტირებელი მასალა ჰქონდა ბერეზოვსკის პუტინის წინააღმდეგ!

პრესაში გავრცელებული მასალებიდან ცნობილია, რომ 2012 წლის შემოდგომაზე, სანკტ-პეტერბურგსა და მის შემოგარენში, რუსეთის პოლიციამ დააკავა ესპანეთში ფულის გათეთრების ბრალდებით „ინტერპოლის“ მიერ ძებნილი გენადი და ელენა პეტროვები, ასევე მათი მეგობარი ლეონიდ ქრისტოფოროვი – „ტამბოვის“ ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები, თუმცა მათი ესპანეთში ექსტრადიცია არ მომხდარა, ვინაიდან რუსეთის კანონმდებლობა ასეთ მოქმედებას არ ითვალისწინებს. ესპანელ გამომძიებლებს მიაჩნიათ, რომ 65 წლის გენადი პეტროვი „რუსული მაფიის“ უძლიერესი – „ტამბოვის“ დაჯგუფების ერთ-ერთი ბოსია. სავარაუდოდ, ბორის ბერეზოვსკის ანდერძში მითითებულ მაკომპრომეტირებელ მასალებში საუბარია სწორედ სანკტ-პეტერბურგში მოქმედი „ტამბოველების“ ნევისპირელ რუს მაღალჩინოსნებთან მჭიდრო კავშირზე. უცხოურ მედიაში ამ მასალების ნაწილი პერიოდულად ვრცელდებოდა.

2009 წლის 11 ივნისს, ესპანურმა „ელ პაისმა“ გამოაქვეყნა პუბლიკაცია ოპერაცია „ტროიკას“ მიმდინარეობის შესახებ, რომელშიც გადმოცემულია ფაქტები სამი გავლენიანი რუსული კრიმინალური დაჯგუფების 20-მდე ლიდერის, მათ შორის 2008 წლის ივნისის დასაწყისში დაკავებული, ყველაზე ცნობილი „ტამბოვსკაია-მალიშევსკაიას დაჯგუფების“ შეფის, „კანონიერი ქურდის“ გენადი პეტროვის დაპატიმრების შესახებ (2007 წელს დაპატიმრებული იყო ამ დაჯგუფებების ცნობილი წარმომადგენლები, პეტერბურგელი ქურდი ალექსანდრე მალიშევი და მახაჩყალელი ვიტალი იზგილოვი). ამავდროულად, მოსკოვში აიყვანეს ქართველი „კრიმინალური ავტორიტეტი“ ტარიელ ონიანი, რომელიც 2006 წლამდე ესპანეთში ცხოვრობდა. მაშინ ცნობილი ესპანელი მოსამართლის, ბალთაზარ გარზონის ზედამხედველობით ჩატარებულ ოპერაცია „ტროიკაში“ 400-მდე პოლიციელი მონაწილეობდა. კრემლის ვებ-გვერდის ინფორმაციით, ამ ოპერაციის მიმდინარეობის პარალელურად, რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით, ესპანეთში დაკავებულ გენადი პეტროვთან კავშირის გამო, თანამდებობიდან გათავისუფლდნენ გენერალური პროკურატურის მაღალჩინოსანი იგორ სობოლევსკი და უშიშროების ფედერალური სამსახურის უფროსის მოადგილე ვიქტორ კომოგოროვი, რომელიც ტარიელ ონიანის ერთ-ერთ მფარველად მოიაზრებოდა. არსებობს ინფორმაცია ესპანეთში დაპატიმრებული კრიმინალების რუსეთის მაშინდელ პრემიერთან ვლადიმერ პუტინთან, მაშინდელ თავდაცვის მინისტრ ანატოლი სერდიუკოვთან, ფინანსთა მინისტრ ალექსეი კუდრინსა და მის მოადგილე, დიმიტრი პანკინთან კავშირების შესახებაც.

თავის დროზე, იმ საგამოძიებო ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელიც პეტერბურგის მერიის სამეურნეო საქმიანობას იძიებდა, ანდრეი ზიკოვი გაზეთ „ნოვაია გაზეტასთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ ძიებისას მათზე მუდმივი ზეწოლა ხორციელდებოდა. მეტიც, პეტერბურგის შსს საქალაქო სამმართველოს ანტიკორუფციული განყოფილების ოპერთანამშრომელი, ოლეგ კალინიჩენკო სამსახურიდან იძულებით დათხოვნის შემდეგ, მონასტერში ბერად აღიკვეცა («Новая газета» №73, 2005).

ესპანური გამოცემის ცნობით, ოპერაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, შესაძლოა, რუსი მაღალჩინოსნებისთვის საკმაოდ ბევრ მაკომპრომეტირებელ მასალას შეიცავდეს. ოპერაციის მსვლელობისას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან „შავი ფულის გათეთრების“ შესახებ მოძიებული ინფორმაცია თავს იყრიდა ესპანეთის ანტიკორუფციულ პროკურატურაში. ეს მასალა, ესპანელი სამართალდამცავების მტკიცებით, მართალია, ამჟამად გასაიდუმლოებულია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, რუსეთსაც უპრობლემოდ გადაეცემა... სავარაუდოდ, ბორის ბერეზოვსკის ანდერძში სწორედ ამ მასალაზე უნდა იყოს საუბარი, რომლის გამოქვეყნების შემდეგ, ალბათ, 2008 წლის შემოდგომაზე, ესპანურ პრესაში გაშუქებული მასალების გამო ატეხილი სკანდალი გამეორდება. საქმე ისაა, რომ 2008 წელს პუტინის პარტიის „ერთიანი რუსეთის“ თავმჯდომარის მოადგილე და დუმის საფინანსო ბაზრების კომიტეტის თავმჯდომარე ვლადისლავ რეზნიკი, ესპანელებმა კინაღამ „შავი ფულის გათეთრების“ ბრალდებით დააპატიმრეს. როგორც ირკვევა, მოსამართლე გარზონმა ვლადისლავ რეზნიკის დაპატიმრების სანქცირებაც კი სცადა, მაგრამ ხელი შეუშალა რეზნიკის დეპუტატობამ. იგი მაშინ სანკტ-პეტერბურგელი ავტორიტეტის, ალექსანდრ მალიშევის ყოფილ კრიმინალურ ჯგუფთან კავშირის გამო იყო დაკითხული და ამის გამო, რუსეთის ოფიციოზი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა (მაშინდელ პრეზიდენტთან და პრემიერთან რეზნიკის ახლობლობის გათვალისწინებით). ვლადისლავ რეზნიკი დროის დიდ ნაწილს კუნძულ მალიორკაზე მდებარე ვილაზე ატარებს. მისი დეკლარირებული შემოსავლები, ჯერ კიდევ 2006 წლისთვის, 47 მლნ დოლარს შეადგენდა და იგი მუდამ ამტკიცებდა, რომ ყველანაირი ფასეულობა დეკლარაციაში გაცხადებული აქვს. თუმცა, როგორც 2007 წლის ოქტომბერში გაზეთ „კომერსანტში“ გამოქვეყნებული დეკლარაციიდან ჩანს, იქ არანაირი „მალიორკას ვილა“ არ არის ნახსენები.

2008 წელს, ოპერაციის მსვლელობისას, ესპანეთის პოლიციამ გაჩხრიკა მისი ვილა და ამოიღო ცნობილი მხატვრების ნახატები, ქანდაკებები, საეჭვო ინფორმაციის მატარებელი კომპიუტერები და ძვირფასი ავტომობილები. 2009 წლის 11 ივნისს, კრიმინალ გენადი პეტროვის დაკავებისას მოწმეების ჩვენებებიდან კვლავ დადასტურდა მისი კავშირი დეპუტატ რეზნიკთან, რომელიც ფართოდ იყენებს ესპანეთში რეგისტრირებულ ბიზნეს-სტრუქტურებს „შავი ფულის გათეთრებისათვის“. დადასტურდა, რომ ვლადისლავ რეზნიკმა, რამდენიმე წლის წინ, პეტროვისგან შეიძინა მალიორკაზე მისი ფეშენებელური ვილა – „კასა არტემიდასი“ და მას შემდეგ ხშირად კუნძულზე ერთად ხედავენ. ამდენად, ესპანეთში უკვე ცნობილია რეზნიკის კრიმინალური კავშირები რუსულ მაფიასთან და მიმდინარეობს ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები ამ დეპუტატის მეგობარი უმაღლესი თანამდებობის პირების დასადგენად.

ვინ არის ვლადისლავ რეზნიკი? დუმის წევრი ვლადისლავ მათუზის ძე რეზნიკი სანკტ-პეტერბურგელია. იგი უამრავი კერძო კომპანიის დამფუძნებელია. სახელმწიფო სტრუქტურებიდან, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, ყველაზე სერიოზულია რუსეთის სახელმწიფო დაზღვევის მონოპოლისტი — „როსსტრახი“. ჯერ კიდევ 90-იან წლებში რეზნიკმა გაიცნო კომპანია „ილიმ-მაშის“ ახალგაზრდა იურისტი დიმიტრი მედვედევი, რომელიც კერძო სადაზღვევო კომპანია „რუსშიც“ მიიწვია სამუშაოდ. უკვე 2000 წელს მედვედევი პუტინის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. რეზნიკს ასევე ახლო ურთიერთობა ჰქონდა მედვედევის გარემოცვის წევრთან, სამხრეთის ფედერალურ ოლქში პრეზიდენტის მაშინდელ სრულუფლებიან წარმომადგენელთან, დიმიტრი კოზაკთან, მაგრამ ყველაზე საინტერესოა მისი კავშირი ვლადიმერ პუტინთან, რომელიც აღწერილია წიგნში – Прибыловский В, Фельштинский Ю. Операция „Наследник“. აღნიშნული წიგნის, „ნოვაია გაზეტას“, ზოგიერთი უცხოური გამოცემისა და თავის დროზე, აწ განსვენებული ბერეზოვსკის მიერ, საგამომცემლო სახლ „კომერსანტისათვის“ გადაცემული მასალებით დგინდება შემდეგი:

## პუტინი მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა სამეულში

1) ვლადიმერ პუტინისა და სანკტ-პეტერბურგის საკრებულოს დეპუტატების, ნიჟეშინისა და გოლდმანის (რომლებიც ვლადისლავ რეზნიკის ახლო კონტაქტებია) მიერ დაარსდა კორპორაცია „XX ტრესტი“, საიდანაც, სავარაუდოდ, ესპანეთში დიდი რაოდენობის საბიუჯეტო სახსრები ირიცხებოდა. სარევიზიო მასალებიდან ირკვევა, რომ ეს ფული, იმ დროს, წესით, ქალაქ სანკტ-პეტერბურგის მშენებლობებზე, მათ შორის ბიზნეს-ცენტრ „პიოტრ ველიკის“ მშენებლობაზე უნდა დახარჯულიყო. რუსეთში აღძრული სისხლის სამართლის საქმე №144128-ის თანახმად, რეალურად, ამ თანხებით ესპანეთში, ქ. ტორევიეხაში შეძენილი იქნა ტურისტული კომპლექსის „ლა პალომას“ ორი აპარტამენტი-სასტუმრო და რესტორანი. კურორტ როჰალესში შეძენილი და გარემონტებული იქნა ვილა „დონია პეპა“. მოპარული საბიუჯეტო თანხის მეორე ნაწილით, ვლადიმერ პუტინის მიერ, ესპანეთის ქ. ბენიდორში შეძენილი იქნა ფეშენებელური ვილა (არსებული ინფორმაციით, აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი მასალები ინახება რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტროს ქ. პეტერბურგისა და ოლქის საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოში).

2) თავის დროზე, ვლადისლავ რეზნიკის სადაზღვევო კომპანია „რუსი“, მჭიდროდ თანამშრომლობდა სანკტ-პეტერბურგის მერიის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტის მაშინდელ ხელმძღვანელთან, ვლადიმერ პუტინთან. 2000 წელს, ლიხტენშტეინში, დააპატიმრეს ადვოკატი რუდოლფ რიტერი — ლიხტენშტეინის ეკონომიკის მინისტრის ძმა. გერმანული „ბე-ენ-დეს“ (დაზვერვა) ინფორმაციით, ეს ადვოკატი იყო კოლუმბიელი ნარკომაფიოზი ძმების ოჩოებისა და რუსეთის ორგანიზებული დამნაშავეების აგენტი. გერმანული სპეცსამსახურის მოხსენებაში მითითებულია რიტერის დაარსებული კომპანია SPAG (St. Petersburg Immobilien und Beteiligungs AG), რომელიც კოლუმბიური ნარკომაფიის ფულს, რუმინული ბანკის IRB-ს არხებით იყენებდა სანკტ-პეტერბურგში უძრავი ქონების შესაძენად. როგორც საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ, რიტერისა და კოლუმბიელი ნარკო-ბარონების „კრიშა“ რუსეთში ვლადიმერ პუტინი იყო. საინტერესოა, რომ თვითონ სანკტ-პეტერბურგის მერიის მაშინდელი სახელმწიფო მაღალჩინოსანი პუტინი, 2000 წლის 23 მაისამდე, შეთავსებით იყო SPAG-ის კონსულტანტიც.

3) ბერეზოვსკის მიერ ადრე გამოქვეყნებულ მასალებში პუტინი პრივატიზების სკანდალურ ფაქტებშიც ფიგურირებდა. ესენია:



— ბალტიის საზღვაო სანაოსნოს გაყიდვა, საიდანაც ხდებოდა ხელოვნურად შემცირებულ ფასად გემების პრივატიზება. აქ პუტინის დასაყრდენი იყო კრიმინალური ავტორიტეტი ილია ტრებერი;

— „მიშა ქუთაისსკის“ (მიხეილ მირილაშვილი) დახმარებით, ქ. სანკტ-პეტერბურგში მდებარე „სამტრესტის“ ალკოჰოლური სასმელის ქარხნის გაყიდვა;

— სასტუმრო „ასტორიას“ პრივატიზება ქ. სანკტ-პეტერბურგში.

4) ვრცელდება ხმები პუტინის საკუთრებაში ენერგო-აქტივების შესახებ. კერძოდ, საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, სს „სურგუტნეფტეგაზში“ მას ეკუთვნის აქციების 37%, ს/ს „გაზპრომში“ — 4.5%, ხოლო შვეიცარიაში რეგისტრირებულ ნავთობის ექსპორტიორ კომპანია „განვორში“ პუტინის წარმომადგენელს, გენადი ტიმჩენკოს აქვს აქციების 50% (დანარჩენი აქციები ამ კომპანიაში ეკუთვნის, როგორც ამბობენ, ვ. პუტინის მეგობარს, ვინმე ტორნბიორნ ტორნკვისტს და მინორიტარულ პარტნიორს სანკტ-პეტერბურგიდან, რომლის გვარიც გასაიდუმლოებულია). ყოველწლიურად ამ ნავთობკომპანიის ბრუნვა შეადგენს, საშუალოდ, 70 მლრდ დოლარს, ხოლო წმინდა მოგება 8 მილიარდი დოლარით განისაზღვრება.

— 2009 წლის ივნისში, „თომსონ როიტერსის“ ინფორმაციით, კომპანია „განვორმა“ ლენინგრადის ოლქის პორტ უსტ-ლუგის მშენებარე ნავთობტერმინალი შეიძინა. მისი საპროექტო სიმძლავრე 18 მლნ ტონა ნავთობია წელიწადში. ტექნოლოგიურად ტერმინალი დაკავშირებულია „ზარუბეჟნეფტის“ (100% სახელმწიფოს კუთვნილება) ტერმინალთან და ის 50 მლნ ტონის წლიური წარმადობის ნავთობსადენის, — БТС-2-ისთვის აშენდა. 2015 წლისთვის უსტ-ლუგი, 16 ტერმინალით, რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი პორტი უნდა გახდეს, რომლის ბრუნვა, სავარაუდოდ, 170 მლნ ტონა იქნება. ამჟამად, მისი 4 ტერმინალი უკვე ფუნქციონირებს;

— 2009 წლის ივნისის დასაწყისში „ნოვატეკის“ დირექტორთა საბჭომ (სადაც გენადი ტიმჩენკოც შედის) დაამტკიცა კომპანია „იამალ СПГ-ს აქციების 51%-ის შეძენა. ამ კომპანიას აქვს იამალის „სამხრეთ ტამბეის“ მდიდარი საბადოს გაზის მოპოვების ლიცენზია და ამ აქტივის საშუალებით, რუსეთის სიდიდით მეორე გაზის კომპანიამ „ნოვატეკმა“, იამალის გაზის ექსპორტზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. თვით „ნოვატეკში“ ტიმჩენკომ თავისი (და მაშასადამე, ვ. პუტინის) აქციების პაკეტი გაზარდა 18.2%-მდე;

— ბოლო დროს ექსპერტები ყურადღებას თხევადი გაზის მწარმოებელ კომპანია „სიტკოზე“ ამახვილებენ, რომლის მფლობელების ვინაობის დადგენა შეუძლებელია, თუმცა ერთ-ერთი მათგანი რომ გენადი ტიმჩენკოა, ამას ინტერვიუებში თვითონაც არ უარყოფს; იგივე ტიმჩენკოს კომპანია „ვოლგა რესოურსიზის“ კვიპროსზე რეგისტრირებულმა ფილიალმა, „იუბასკა ჰოლდინგმა“ შეიძინა „სტროიტრანსგაზის“ აქციების 10.17%, რითაც, საბოლოო ჯამში, ტიმჩენკოს კონტროლირებად „ვოლგა რესოურსიზის“ ხელში „სტროიტრანსგაზის“ 79.6%-ის ხმების კონსოლიდაცია მოხდა;

— ექსპერტების მტკიცებით, მარტო „სურგუტნეფტეგაზისა“ და „გაზპრომის“ აქციების საბაზრო კაპიტალიზაცია ასეულობით მლრდ დოლარს აღემატება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ „განვორის“, „სურგუტნეფტეგაზისა“ და „გაზპრომის“ აქციები პუტინს საშუალებას აძლევს, ფლობდეს არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ ევროპაში ყველაზე დიდი ღირებულების აქტივებს, ამდენად, ექსპერტები არ გამორიცხვენ, რომ „ფორბსის“ მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა ნუსხაში, პუტინს, შესაძლოა, საპატიო მესამე ადგილი ეკუთვნოდეს;

— სერიოზული ინტერესები გამოვლინდა ნავთობის სფეროშიც. ექსპორტის დივერსიფიკაციის მიზნით, ახალი ნავთობსადენების მშენებლობას, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ერთი შეხედვით, თითქოს აზრი არ უნდა ჰქონდეს, თუმცა პოლიტიკური მიზანშეწონილობა რუსეთის ენერგეტიკის მთავარი ნიშანია. სწორედ ამიტომ, რუსეთის სახელმწიფო კომპანია „ტრანსნეფტმა” ზემოაღნიშნული „ბალტიის მილსადენი სისტემა 2” (БТС-2) პროექტი განახორციელა;

— რუსეთის ყოფილმა ვიცე-პრემიერმა იგორ სეჩინმა აღნიშნულ პროექტს უწოდა „პასუხი ყველა კრიზისსა და ოპონენტების მოქმედებაზე”. ექსპერტების მტკიცებით, БТС-2 პირდაპირ უპირისპირდება 2007 წელს საქართველო-უკრაინა-აზერბაიჯანი-პოლონეთი-ლიტვას შორის შეთანხმებულ ოდესა-ბროდი-პლოცკი-გდანსკის ნავთობსადენის პროექტს, რომელიც გაურკვეველი დროითაა შეჩერებული და უკრაინის პორტებს ნავთობის გარეშე ტოვებს. რაც ყველაზე მთავარია, БТС-2-ის მწყობრში ჩადგომითა და ნავთობსადენ „დრუჟბას“ ჩრდილოეთის განშტოების დაკეტვით, სავარაუდოდ, პოლონეთი იძულებული გახდება მოახდინოს თავისი, პლოცკი-გდანსკის ნავთობსადენის, რევერსი გდანსკის ტერმინალიდან პლოცკის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისაკენ. ეს კი, ოდესა-ბროდის მილსადენის გდანსკამდე მიყვანასა და, მაშასადამე, რუსული ნავთობსადენისადმი ალტერნატიული მილის მშენებლობას აფერხებს. აღნიშნულის შედეგადად, აღმოსავლეთევროპელთა და აზერბაიჯანელთა მცდელობა, აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის სამხრეთიდან, რუსეთის ალტერნატიული ნავთობმომარაგების შესახებ, ჩაიშლება; ამასთან, აღნიშნული ნავთობსადენის (БТС-2) აშენებით მეზობელი ბელორუსის ინტერესებიც ილახება. მინსკს აღარ ექნება შემოსავალი რუსული ნავთობის ევროპისკენ ტრანზიტიდან. საქმე ისაა, რომ ვიდრე БТС-2 პროექტი მხოლოდ განხილვის სტადიაზე იყო, ბელორუსი მას პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად მიიჩნევდა, მაგრამ ახლა, როცა მშენებლობა დასრულდა, მოსკოვს სულ უფრო დაეძაბება ისედაც არანორმალური ურთიერთობა მინსკის რეჟიმთან. ნავთობსადენის აშენების შედეგად, ბელორუსის გავლით ტრანზიტი მნიშვნელოვნად მცირდება, ხოლო პოლონეთის გავლით — მალე შეწყდება; მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტის განხორციელებას სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექმნა და, შესაბამისად, მისი კალენდარული ვადა, შესაძლოა, დაირღვეს — მას მაინც უწყობს ხელს ლობისტების მთელი გუნდი. გარდა პოლიტიკური, ბელორუსის გვერდის ავლის ბერკეტისა, ლობისტები არც კი მალავენ, რომ БТС-2-ით მაღალჩინოსანთა ბიზნეს-ინტერესებსაც ახორციელებენ. კერძოდ, უმთავრესი ლობისტებიდან აღსანიშნავია ყოფილი ვიცე-პრემიერი, ამჟამად „როსნეფტის“ შეფი იგორ სეჩინი; ასევე, „განვორის“, „ტრანსნეფტისა“ და „სურგუტნეფტეგაზის“ ამჟამინდელი მენეჯმენტი (რაც ნიშნავს პერსონიფიცირებულ პუტინს);

— მოსკოვი БТС-2-ის საშუალებით, წარმატებით ცდილობს ყაზახეთის ნავთობის ნაწილის (წლიურად 10 მლნ ტონის), რუსეთის გვერდის ავლით, ტრანსპორტირების ჩაშლასაც, რითაც ევროკავშირის ალტერნატიულ ენერგოდერეფანსაც უპირისპირდება. საქმე ისაა, რომ 2009 წლის ივნისში ბაქოში გამართულ ენერგოსამიტზე გამოცხადდა 2013 წლისთვის აზერბაიჯან-საქართველოს გავლით თენგიზის, კაშაგანისა და კარაჩაგანაკის „დიდი“ ყაზახური ნავთობის „ყაზახეთის კასპიის ტრანსპორტირების სისტემის“ (ККСТ) საშუალებით, ტრანზიტის დაწყება. დღემდე ეს პროექტი ქაღალდზეა დარჩენილი და ამ ფაქტს ექსპერტების ნაწილი რატომღაც არა БТС-2-ის ამუშავებას, არამედ აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ ყაზახეთისთვის მაღალი სატრანზიტო ტარიფების შეთავაზებას აბრალებს... ამრიგად, БТС-2-ის განხორციელება ნიშნავს, რომ შეიზღუდება ყოველწლიურად 80 მლნ ტონა ნავთობის, საბჭოთა დროს აგებულ ნავთობსადენ „დრუჟბათი“ ტრანსპორტირება. ეს პირდაპირი დარტყმაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტერესებისა. რუსეთში ნავთობმოპოვების შემცირების ტრენდი ახლო მომავალში შენარჩუნდება და ერთდროულად ვერ მოხდება „დრუჟბასა“ და БТС-2-ის შევსება. ამას ისიც ადასტურებს, რომ უკვე დიდი ხანია, რუსეთსა და ჩინეთს შორის ხელი მოეწერა თავისი მასშტაბებით უპრეცედენტო შეთანხმებას რუსეთიდან ყოველწლიურად 100 მლრდ დოლარის ნავთობის ჩინეთში ექსპორტის შესახებ. ამდენად, ახალი ნავთობსადენის ფუნქციონირების პირველივე ფაზიდან გდანსკის ნავთობის პორტით ტრანზიტი შემცირდა, ხოლო მეორე ფაზის დაწყებისას, პოლონეთისა და გერმანიის გავლით „დრუჟბათი“ რუსული ნავთობის ტრანზიტი საერთოდ შეწყდება.

3) რუსი ექსპერტებისთვის ცნობილი გახდა, რომ საკმაოდ სერიოზულ ბიზნესაქტივებს ფლობენ ვლადიმერ პუტინის ნათესავებიც, ხოლო მისი მეუღლე, ლიუდმილა პუტინა-შკრებნევა 2004 წლის ბოლომდე იყო 2000 წელს დაარსებული „რუსული ენის განვითარების ცენტრის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელსაც უხვად აფინანსებს „გაზპრომი“ და მისი შვილობილი კომპანიები პუტინის ბიძაშვილის, იგორ პუტინის ხელმძღვანელობით. ისაა ნავთობმომპოვებელი ტექნიკის მწარმოებელი კომპანიების: სს „ვოლგაბურმაშის“, „ურალბურმაშის“, „თერმოსტეფსის“, ასევე ბანკ „ავტოვაზბანკის“, „სამარის რეზერვუარების“ ქარხნისა და „საწარმოო-ტექნიკური გაერთიანება МТЛ“-ის დირექტორთა საბჭოების თავმჯდომარე. ყოფილ სენატორ ალექსეი იშჩუკთან ერთად, იგორ პუტინია სახალინზე დაფუძნებული თევზის მწარმოებელი კომპანია „МТЛ-Долинск“-ის თანადამფუძნებელი. ექსპერტები არ გამორიცხავენ მის კავშირს უკრაინელ დიმიტრი ფირტაშთან — „როსუკრენერგოსა“ და „როსგაზის“ („გაზპრომთან” ერთად) თანადამფუძნებელთან, თუმცა ეჭვების გასაფანტად, რუსეთ-უკრაინის 2009 წლის გაზის კონფლიქტისას პრემიერმა პუტინმა დიმიტრი ფირტაშს ირონიულად, „თანამედროვეობის თვალსაჩინო მოღვაწე“ უწოდა, რითაც თითქოსდა გამოხატა გაკვირვება ამ ფიგურის რუსეთ-უკრაინის ურთიერთობაში გამოჩენის შესახებ.

საინტერესოა, რომ 2004 წლიდან დღემდე „რუსული ენის განვითარების ცენტრის” ერთ-ერთი ხელმძღვანელია ლუდმილა პუტინას უმცროსი და ოლგა ცომაევა-შკრებნევა (ცომაევას გვარი მას პირველი ქორწინებიდან აქვს). მისი მეუღლე ანუ პუტინის ქვისლი, „როსკოსმოსის“ თანამშრომელი, მიუნჰენის პროკურატურის მიერ ეჭვმიტანილი ვლადიმერ ვოჟჟოვი შარშან დააკავეს ვენაში და ბრალად ედებოდა ერთ-ერთი გერმანელი ინჟინრისგან სამხედრო ვერტმფრენების შესახებ საიდუმლო ინფორმაციის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს (ГРУ) სასარგებლოდ მოპოვება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ნოტის შედეგად იგი გაათავისუფლეს.

2001 წლიდან ამავე „რუსული ენის განვითარების ცენტრის“ თანამშრომელია ლიუბოვ ჩემეზოვა, სახელმწიფო საწარმო „როსტეხნოლოგიის“ გენდირექტორის მეუღლე, ხოლო 2003 წლიდან ამ ფონდის გამგეობის თავმჯდომარეა ჩინეთში რფ-ს ყოფილი ელჩის, იგორ როგაჩოვის მეუღლე, დიულბერ როგაჩოვა. ამჟამად, იგორ როგაჩოვი წარმატებით ყიდის ჩინეთში რუსულ იარაღს, ამდენად რუსული ენის პოპულარიზატორ ქალბატონებს საიმედო დასაყრდენი ჰყავთ იარაღის მძლავრი ლობის სახით. ამავე ცენტრის დამფუძნებელთა შორისაა ასევე კირილ კოვალჩუკი, ვლადიმერ ანიკეევი, ლიუბოვ იაკოვლევა. კოვალჩუკი კურჩატოვის ატომური ინსტიტუტის დირექტორის, მიხეილ კოვალჩუკის შვილი და იური კოვალჩუკის, პეტერბურგის ბანკ „როსსიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ძმაა. ეს ძმები, ნიკოლაი შამალოვსა და მათიას ვარნიგთან ერთად, ბანკ „როსსიას“ დირექტორთა საბჭოს წევრები და პუტინის უახლოესი მეგობრები არიან. თავისი კარიერის გარიჟრაჟზე კირილ კოვალჩუკი მუშაობდა „რუსული ენის განვითარების ცენტრში”, ამჟამად კი ბანკ „როსსიას“ შვილობილის, საინვესტიციო კომპანია „აბროს“ დირექტორთა საბჭოს წევრია. თავის მხრივ, ბანკი „როსსია“ ფლობს სადაზღვევო კომპანია „სოგაზის“ აქციების 51%-ს და დირექტორატში არიან მარინა რეზნიკი (სავარაუდოდ, დეპუტატ ვლადისლავ რეზნიკის ნათესავი) და ვინმე პეტროვა (სავარაუდოდ, ესპანეთში დაპატიმრებული იგორ პეტროვის ნათესავი). „რუსული ენის განვითარების ცენტრის“ დამფუძნებელთა შორისაა ტატიანა შესტაკოვა, სათათბიროს დეპუტატის, ვასილ შესტაკოვის მეუღლე. ვასილი არის არკადი როტენბერგის, პუტინის ძიუდოს სპარინგ-პარტნიორის მეგობარი. არკადის ძმასთან, ბორის როტენბერგთან ერთად, შოსტაკოვმა და პუტინმა დააარსეს ძიუდოსა და სამბოს განვითარების სანკტ-პეტერბურგის საზოგადოება“, ასევე ძიუდოს პეტერბურგის კლუბი „იავარა-მ“, რომლის საპატიო პრეზიდენტიცაა ვლადიმერ პუტინი. კლუბის თანადამფუძნებელია „განვორში“ პუტინის პარტნიორი გენადი ტიმჩენკოც. ძმებ როტენბერგებს ეკუთვნის ბანკი „ჩრდილოეთის საზღვაო გზა“. ექსპერტები მიუთითებენ, რომ 2008 წლის ზაფხულში, არკადი როტენბერგის ხელში გადავიდა „გაზპრომის“ ბალანსზე მყოფი ხუთი სამშენებლო კომპანია. ბორის როტენბერგის შვილი — რომანი მუშაობს „გაზპრომის“ შვილობილ „გაზექსპორტში“, სადაც ასევე ვიქტორ ჩერნომირდინის შვილი საქმიანობს.

ბანკ „როსსიას“ აქციონერთა შორისაა პეტერბურგული ფირმა „აქცენტი“, რომელიც ასევე „სოგაზის“ აქციებსაც ფლობს. რუსული „ვედომოსტის“ ცნობით, „სოგაზის“ 12.47%-ის ბენეფიციარი, „აქცენტის“ საშუალებით, პუტინის ბიძაშვილის შვილი მიხეილ შელომოვი, რომელიც ასევე მუშაობს პეტერბურგის ნავთობის ტრანსპორტირების სახელმწიფო კომპანიაში – „სოვკომფლოტში“, სადაც გამგეობის თავმჯდომარეა რფ-ს სახელმწიფო სათათბიროს სპიკერი სერგეი ნარიშკინი. ამავე გამგეობის წევრი იყო ალექსანდრე ბორტნიკოვი, უშიშროების ფედერალური სამსახურის ამჟამინდელი უფროსი. აქვეა წარმოდგენილი „ვნეშტორგბანკის“ („ვითიბი ბანკი ჯორჯიას” სათავო ოფისი) გამგეობის თავმჯდომარე ანდრეი კოსტინი და პუტინის ძველი მეგობარი, „ტრანსნეფტის“ პრეზიდენტი ნიკოლაი ტოკარევი. „ნოვაია გაზეტას“ ინფორმაციით, „სოვკომფლოტის“ გენდირექტორის, სერგეი ფრანკის შვილი — გლები, გენადი ტიმჩენკოს ქალიშვილის ქმარია. რფ-ს ყოფილი ვიცე-პრემიერი ბორის ნემცოვი და ენერგეტიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე ვლადიმერ მილოვი თავიანთ მოხსენებაში „პუტინი და გაზპრომი“ ხაზს უსვამენ, რომ „სოგაზი“ 2004-2005 წწ. თანდათან ჩამოშორდა „გაზპრომს“ და დაუახლოვდა უშუალოდ პუტინს. ფაქტია, „რუსული ენის განვითარების ცენტრის“ თანადამფუძნებელი ვლადიმერ ანიკეევი 2007 წლამდე იყო „სოგაზის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე. „სოგაზის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მიხეილ პუტინი, ვლადიმერ პუტინის ბიძაშვილის, ევგენის შვილი. „გაზპრომის“ სამედიცინო სამმართველოს ყოფილმა მოადგილე მიხაილ პუტინმა, 2004 წელს დააფუძნა მოსკოვის ფარმაცევტული ფირმები „სატელპრომი“ და „ბიოსაქტი“, რომლის თანადამფუძნებელნი არიან ვლადიმერ იაკუნინი — „რუსეთის რკინიგზების“ ხელმძღვანელი, ვიქტორ ნაზაროვი და იულია პარამონოვა. 2007 წელს მიხეილ პუტინი გახდა „სოგაზის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ БТС-2 არის ვლადიმერ პუტინის პირადი ბიზნესპროექტი და მისი განხორციელება ნიშნავს ნავთობის აღმოსავლეთევროპული და სამხრეთკავკასიური (ოდესა-ბროდი-პლოცკი-გდანსკი) მარშრუტების ჩანაცვლებას ჩრდილოდასავლური მარშრუტით. ასევე აშკარაა, რომ „გაზპრომიდან“ გამოყოფილი „სოგაზი“(«Страховое общество газовой промышленности») თანდათან ვლადიმერ პუტინის ნათესავების ხელში აღმოჩნდა.

# ფხიზლად, ქართველებო!

ნაზი მიქელაძე
აკადემიური დოქტორი

**ქართული ენა და ქართველი ერი ერთ-ერთი უძველესი და განუმეორებელი ფენომენია მსოფლიოში. ეს ის ხალხია, ვინც წინარეევროპულ ცივილიზაციათა შექმნაში წამყვანი როლი შეასრულა და მისი კულტურა მთელ მსოფლიოს აზიარა. ამის ნათელსაყოფად საკმარისი იქნება დიდი ქართველი მეცნიერისა და ორიენტალისტის, აკადემიკოს ნიკო მარის აზრი, რომლის მიხედვით ქართული ენა „მსოფლიო“ ენად არის მიჩნეული, „დღეს იქნება თუ ხვალ, ქართული ენის შეუსწავლელად და მის აღმოჩენილ საშუალებათა გაუცნობლად ვერც ერთი საკაცობრიო კულტურულ სიძველეთა საკითხი ვერ გადაიჭრება“.**

## ეროვნული და რეგიონული ენების საკითხი ჩვენს სინამდვილეში



საერთოდ, ეროვნული ენები წარმოიქმნებიან მონათესავე ხალხის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთად ცხოვრებისა და ერთიანი საურთიერთო ენის საჭიროების შემთხვევაში. მაგალითად, დღევანდელი იტალიური ენა და ერი ჩამოყალიბდა რომაელების, ბერძნების, ეტრუსკებისა და სხვა ხალხების ურთიერთდაახლოებისა და შერწყმის შედეგად. ფრანგული ენა შეიქმნა გალების, რომაელების, ბრიტებისა და სხვა ხალხის ენათა ურთიერთშეჯვარედინების საფუძველზე. ქართული ენა კი – ქართველური ტომების: ქართების, მეგრელების, ჭანების (ლაზების) და სვანების ენათა შერწყმის შედეგად.

ერის ცნების განმარტებისას ამოსავალია: ტერიტორიული ერთობა, ენა, ფსიქიკური და ეკონომიკური ერთობა.

ამჟამად, მსოფლიოში 5651 ენას ითვლიან. მათ შორის საკუთარი შრიფტი (დამწერლობა) მოეპოვება მხოლოდ 14-ს, მათ შორისაა ქართულიც, რაც ჩვენი ენის დიდ ღირებულებაზე მიგვანიშნებს. ქართულმა ენამ მის მატარებელ ხალხთან ერთად, მრავალ კატაკლიზმს გაუძლო და დღემდე მოაღწია, როგორც ურყევი ნიშანი ჩვენი თვითმყოფობისა და ეროვნული მთლიანობისა. ქართველი ერის ღირსეული შვილები ოდითგანვე, სიცოცხლის ფასად იცავდნენ თავიანთ მიწა-წყალსა და მშობლიურ ენას. ამიტომაც ვერც ერთმა დამპყრობელმა, რომელთაც საუკუნეთა მანძილზე ეპყრათ ჩვენი ქვეყანა, ვერ მოახდინეს მისი ასიმილაცია, ვერც მონღოლებმა, ვერც არაბებმა, ვერც სპარსელებმა და ვერც თურქებმა ვერ მოსპეს, ვერ გაანადგურეს ქართველი ხალხი და მისი ენა. ამ პატარა, მაგრამ მამაცი ხალხის ცნობიერებაში მუდამ დომინირებდა სამშობლო ქვეყნისა და მისი ენის ღრმა სიყვარული. მათ კარგად ესმოდათ, რომ „ერის ცხოვრება, ერის დიდება დაცულ არს ენით“(გრ. ორბელიანი). როგორც დიდი ილია ბრძანებდა, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული ენაა“.

რამდენი დიდი იმპერია და ქვეყანა გადაშენებულა და აღგვილა პირისაგან მიწისა, მაგრამ ქართველმა ხალხმა სისხლის ფასად დაიცვა და შეინარჩუნა იგი. ქართველ ტომთა საერთო-ეროვნულმა ენამ, ერთიანი მიწა-წყლისა და საერთო სამშობლოს განცდამ, ამასთან ქართულმა ფსიქიკურმა ერთობამ განაპირობა მშობლიური ქვეყნისა და ენისადმი ასეთი დიდი სიყვარული. თუ სხვა ერებში ამ ფენომენს „მშობლიურ ენას“ ეძახიან, ქართველმა კაცმა მას „დედაენა“ უწოდა და მით გამოხატა მისდამი დიდი პატივისცემა, რის შესახებაც დიდი ილია აღნიშნავდა: „ქართველი კაცი თავის ახლობელს, ყველაზე სანუკვარს და ძვირფასს დედას უწოდებს... და რა გასაკვირია, თუ მშობლიურ ენას დედაენას დაარქმევდა?!“

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, „დედაენის“ ავტორი იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ ქართული ენა არის „უმაღლესი ხარისხის ორგანიზაცია“, „ეროვნული ძალა“ და „მთავარი ბურჯი ეროვნებისა“. აკადემიკოს შოთა ძიძიგურს კი მიაჩნდა, რომ დედაენა ქართველებისთვის ნაციონალური თვითშეგნების მთავარ იარაღს წარმოადგენს.

მართლაც, ქართული ენა ძველთაგანვე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ერთიანი სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში. მას, როგორც ძვირფას ეროვნულ საუნჯეს, ხოტბა-დიდებას ასხამდნენ იმ დროისთვის მსოფლიოში სახელგანთქმული სწავლულები და მეცნიერები: იოანე ზოსიმე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და სხვები. მათ შორის საგულისხმოა, იოანე ზოსიმეს აზრი, გამოთქმული ნაშრომში: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, სადაც ქართული ენა „ღვთით კურთხეულ ენად“ არის მოხსენიებული.

ამასთანავე, ზოსიმე აცხადებს, მეორედ მოსვლის დროს ქრისტე ღმერთი ამ ენაზე განიკითხავს ქვეყანასო.

დღეს, 21-ე საუკუნეში, როცა ჩვენმა ხალხმა მოიპოვა ნანატრი თავისუფლება, როცა ჩვენი ქვეყნის პატრიოტები ოცნებობდნენ ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის ამაღლებაზე, მივიღეთ სრულიად უფლებააყრილი, დაკნინებული, უცხო ენობრივი ელემენტებით და ათასგვარი სარეველებით გაჯერებული ენა. და რაც ყველაზე მთავარია, იგი ვერ ახორციელებს სახელმწიფო ენის ფუნქციას. ჩვენს მრავალეროვნულ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ დგას კატეგორიულად სახელმწიფო, სავალდებულო ენის სტატუსის მოთხოვნის საკითხი. გარდა ამისა, თითქმის უგულებელყოფილია სასწავლო დაწესებულებების მუშაკთა, მასობრივი ინფორმაციის, ელექტრონული, ვიდეო თუ ტელეგადაცემების, ჟურნალ-გაზეთებისა, თუ სხვა ორგანიზაციათა როლი და ფუნქცია სახელმწიფო-სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვისა. შეიძლება ითქვას, ხდება პირიქით, პირველ ყოვლისა, მათ მეტყველებაში შეინიშნება უცხო, ჩვენი ენისთვის სრულიად არასაჭირო სიტყვებისა და ტერმინების გამოყენება, ასე მაგალითად: ინგრედიენტი, კურუკულუმი, ჰედლაინი, ტრენინგი, გიგაბაიტი, ლანჩი და სხვა მრავალი.

მართალია, სესხება მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა ენაში ხდება, მაგრამ ამ პროცესს თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს სახელმწიფო. სესხება მაშინ არის გამართლებული, როცა ენას არ მოეპოვება შესატყვისი სიტყვა. ასეთ შემთხვევაში, ნასესხები სიტყვები ამდიდრებენ ენის ლექსიკას, მაგრამ უცხო მასალის შეუზღუდავად და უკონტროლოდ შემოტანა ენაში საფრთხეს უქმნის სალიტერატურო ენას, მის ძირითად ლექსიკურ ფონდს. არადა, დღეს რაიმე დაცვითი მექანიზმები არ არსებობს, რომ ენა დაცული იყოს, სამწუხაროდ, არც სახელმწიფო პალატა ფუნქციონირებს.

„მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“, — გვმოძღვრავდა ქართული ენის დიდი რეფორმატორი ილია ჭავჭავაძე. „ერის დამდაბლება ენის დაცემით იწყება“... „ერის ცხოვრება, მისი ისტორია დაცულ არს ენით“... „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“, – ასეთ დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დიდი ქომაგი გრიგოლ ორბელიანი სალიტერატურო ენის ნორმათა დამრღვევთ.

დღეს ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სახელისუფლო შტოებში მოკალათებული ზოგიერთი ვაიპატრიოტი, სარგებლობს რა ხელისუფლების ნდობის მანდატით და დასავლური კურსის მიმდევრობის მოტივით, მოითხოვს კომპაქტურად დასახლებული დიასპორებისათვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას, რაც ქვეყნის ღალატის ტოლფასად მიგვაჩნია მაშინ, როცა ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, თავის ფუნქციას სრულყოფილად ვერ ასრულებს იმ საბაბით, რომ თითქოს ხელი შეეშლება ქვეყნის გამთლიანების პროცესს, ასეთი აქტის მიღება დაშლის, დაქუცმაცებისა და განადგურების პირას მიიყვანს საქართველოს.

ახლა, როცა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია, ქართული სახელმწიფო ენა სავალდებულოს არ წარმოადგენს ყველასთვის, რეგიონული ენის სტატუსით სომხური და აზერბაიჯანული დიასპორის აღჭურვა მთლიანად გაწყვეტს კავშირს ქართულ მოსახლეობასთან, რაც შეაჩერებს კომპაქტურად დასახლებული მცირე ერების ინტეგრაციის პროცესს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თბილისის გარეთ ერთად მცხოვრები დიასპორები ისედაც ნაკლებად იყვნენ ინტეგრირებულნი ძირითად მოსახლეობასთან, გასაგები გახდება მოსალოდნელი შედეგები: მალე საქართველო დაქუცმაცებულ, ავტონომიებად დანაწევრებულ ქვეყნად გადაიქცევა. საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ საბჭოთა სინამდვილიდან მოკიდებული, საქართველოს ხელისუფლებას არასოდეს გაუწევია წინააღმდეგობა ქართულ ტერიტორიებზე უცხო ეთნოსების კომპაქტურად ჩასახლების თაობაზე, რაც ყველა იმ ქვეყანას შეუქმნიდა საფრთხეს, სადაც გამთლიანების საკითხი დგას დღის წესრიგში. ასეთი საფრთხე არასოდეს დაუდგება მაგალითად ჩვენს მეზობელ სომხეთს, რომლის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სომხობა წარმოადგენს. ჩვენ კი განურჩევლად ყველას ვეპატიჟებით და ფართოდ ვუღებთ კარს უცხოელებს.

ჩემი ღრმა რწმენით, ხმათა უმრავლესობით არჩეული ახალი ხელისუფლება დაძლევს ფსევდოპატრიოტების ზეწოლას და პრობლემას დადებითად გადაწყვეტს – დღის წესრიგიდან საერთოდ ამოიღებს რეგიონული ენების სტატუსის საკითხს. ისედაც განახევრებულ დაქუცმაცებულ საქართველოს უცხოტომების საპატრონოდ ვერ გახდის. ხმა ამოიღეთ, ქართველებო!

## ვერსიანიუსი

### ინტერპოლის მიერ ძებნილი გრიგოლ წილოსანი საფრანგეთში დააკავეს



Grigol Tsilosani

ინტერპოლის თბილისის ბიუროდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საფრანგეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა საქართველოს მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი, 1968 წელს დაბადებული გრიგოლ წილოსანი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, აღნიშნული პიროვნება სსსკ-ს 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება ან გამოყენება) 2009 წლიდან იძებნებოდა.

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2010 წლის განაჩენით, სსსკ-ს 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით (მითვისება ან გაფლანგვა) წილოსანს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

2008 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დავით გუმბერიძესა და შპს „მაგის“ დირექტორს გრიგოლ წილოსანს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ბაღდათის №2 საჯარო სკოლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესრულებაზე, რომლის ღირებულება შეადგენდა 90 800 ლარს. გრიგოლ წილოსანმა, თანხის მითვისების მიზნით, შეასრულა მხოლოდ 49 020 ლარის სამუშაოები, ხოლო დანარჩენი თანხა — 41 780 ლარი მიითვისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე სამუშაოთა წარმოება არ დაასრულა, რითაც სახელმწიფოს მიაყენა დიდი ოდენობით ზიანი.

ამჟამად, გრიგოლ წილოსანი საფრანგეთში წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული და მის მიმართ მიმდინარეობს წინასაექსტრადიციო პროცედურები.

*„ინტერპრესნიუსი“*

### 14 აპრილისთვის დაგეგმილი აქციის თარიღი და ადგილი შეიცვალა



სპორტის სასახლეში 14 აპრილისთვის დაგეგმილი აქციის თარიღი და ადგილი იცვლება. წინასწარი ინფორმაციით, აქცია „რეჟიმის გასამართლების მოთხოვნით“ ერთ-ერთ სტადიონზე, 21 აპრილს გაიმართება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ღონისძიების ერთ-ერთმა ინიციატორმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარემ ნანა კაკაბაძემ აცნობა, გაცემული მოსაწვევებისა და ღონისძიებაზე მოსვლის მსურველთა რაოდენობით ირკვევა, რომ სპორტის სასახლე ხალხს ვერ დაიტევს. სწორედ ამიტომ, როგორც კაკაბაძე აცხადებს, გადაწყდა, აქცია ერთ-ერთ იმ სტადიონზე ჩატარდეს, რომელიც თავისუფალი იქნება, ადგილმდებარეობის შეცვლის გამო კი, შეიცვლება თარიღიც და ეს, სავარაუდოდ, 21 აპრილი იქნება.

ამასთან, კაკაბაძე აცხადებს, რომ მათ აქციას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ 19 აპრილს დაგეგმილ აქციასთან არანაირი შეხება არ ექნება და ეს ორი ღონისძიება ერთმანეთს არ დაემთხვევა. ნანა კაკაბაძე 8 თებერვლის ინციდენტის გამეორებასაც გამორიცხავს: **„ჩვენი მხრიდან 19 აპრილს არავინ მიდის და პოლიტპატიმრებს ასეთი გეგმა არა აქვთ, მაგრამ თუ ერთმანეთს დაერევიან და დახოცავენ, ეს უკვე მათი პრობლემაა“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# მარგარეტ ტეტჩერი: „არ დავტოვებ პოსტს, სანამ არ დავიღლები, მე კი არასოდეს დავიღლები, სანამ ბრიტანეთს ვჭირდები!“

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

**ის „სისხლიანი მარგოც“ იყო, „ჯავშნოსანი ტანკიც“, „ტირანი ქვედაბოლოშიც“ და „რკინის ლედიც“. ქვეყნის მმართველობის პერიოდში შეძლო, ინგლისელების ყველაზე პატივსაცემი პოლიტიკოსიც ყოფილიყო და, ამავდროულად, ამავე ინგლისელებს არ ყვარებოდა. მან ბრიტანეთს დიდება დაუბრუნა და მტკიცე, ურყევი ხასიათის წყალობით, საბოლოო გამარჯვებისთვის არაერთი ბრძოლა მოიგო. პატივს დაუძინებელი მტრებიც სცემდნენ და ყველა აღიარებდა, რომ უანგაროდ, მთელი გულით ემსახურებოდა სამშობლოს... ამიტომ ამბობდნენ ინგლისელები, რომ ბრიტანეთს ორი განძი აქვს: ნავთობი და მარგარეტ ტეტჩერი. ორიდან ერთი განძი, „რკინის ლედი“, 88 წლის ასაკში, 8 აპრილს, გამთენიისას, გულის შეტევით გარდაიცვალა.**



რატომ შეარქვეს „რძის ქურდი“, როდის იტირა საჯაროდ, რატომ ეშინოდა შიმშილით სიკვდილის და როგორ დაგეგმა საკუთარი დაკრძალვის ცერემონია „რკინის ლედიმ“

### „რას ნიშნავს გამიმართლა, მე ეს ჯილდო დავიმსახურე“

მარგარეტ რობერტსი 1925 წლის 13 ოქტომბერს, ბრიტანეთში, გრენტემში დაიბადა. დედა მკერავი და დიასახლისი იყო, მამა — 2 სასურსათო მაღაზიის მფლობელი, პროტესტანტულ ეკლესიაშიც მსახურობდა და აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში. რობერტსების რელიგიურ ოჯახში მკაცრი დისციპლინა იყო — არ ეწეოდნენ, არ ჰქონდათ სასმელი, ბავშვებს ეკრძალებოდათ თანატოლებთან ერთად გართობა, კვირაობით ეკლესიაში სამჯერ დადიოდნენ.

უმცროს ქალიშვილს, მარგარეტს, მამა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და პოლიტიკოსობისთვის ამზადებდა.

**„არასოდეს ილაპარაკო საკუთარ მარცხზე. წარუმატებლობისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ არასოდეს გაიხსენო ის, განსაკუთრებით საჯაროდ“,** — მამის შთაგონებული ამ პრინციპით ცხოვრობდა მუდამ. მოგვიანებით, ქალი, რომელმაც სამყარო შეცვალა, იტყვის: **„ყველაფერს მამას უნდა ვუმადლოდე. ეს უცნაურად საინტერესოა, რადგან სწორედ ის, რაც პატარა ქალაქში ვისწავლე, ერთ მოკრძალებულ ოჯახში, დამეხმარა არჩევნებში გამარჯვებაში“.**

ერთხელ, ბავშვებს შორის ლექსის მხატვრულ კითხვაში კონკურსში გამარჯვებულს, მერმა ჯილდო გადასცა და ღიმილით უთხრა: **„გილოცავ, დღეს შენ გაგიმართლა“. „რას ნიშნავს გამიმართლა, მე ეს ჯილდო დავიმსახურე“,** — 9 წლის გოგონას ზედმეტად სერიოზულად ნათქვამმა იმ დღეს ბევრი გააოგნა.

10 წლიდან მამას ეხმარებოდა — 1935 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მარგარეტი პარტიის სააგიტაციო მასალას არიგებდა და მეზობლებს კონსერვატორების მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა. როცა ჰკითხეს, ვინ უნდა გამოხვიდეო, მიუგო — „დეპუტატი კონსერვატიული პარტიიდან“. ბავშვის ეს პასუხი მაშინ ღიმილს იწვევდა. ვერავის წარმოედგინა, პატარა ქალაქის ღარიბი ოჯახიშვილი, თანაც ქალი, ასეთ წარმატებას თუ მიაღწევდა. 30-იანი წლების ბრიტანეთში ქალები პოლიტიკაში პრაქტიკულად არ იყვნენ. წლების შემდეგ, ეს ტრადიცია სწორედ მარგარეტმა დაარღვია.

12 წლის იყო, მამა ქალაქის მერად რომ აირჩიეს. ქალაქის საბჭოს სხდომებზე, მერთან ერთად ყოველთვის იყო მისი პატარა გოგონაც, რომელიც ქალაქის საჭირბოროტო საკითხებზე გამართულ დებატებს დიდი ინტერესით უსმენდა. მოგვიანებით, მან თქვა: **„15 წლისამ ნათლად გავაცნობიერე, რომ ყველაფრის მიღწევა შემეძლო, რასაც მოვისურვებდი. მთავარია, გამეგო რა მინდოდა“.**

### „ვცხოვრობ იმისთვის, რომ ვიმუშაო“

მიზნის მიღწევამდე დიდი გზა გაიარა. წარმატებული მოსწავლე იყო. დადიოდა ფორტეპიანოზე, ცურვაზე, ჰოკეიზე, პოეტის ოსტატობაზე... 1943 წელს, ოქსფორდის უნივერსიტეტში, ქიმიურ ფაკულტეტზე ნახევარი ქულა დააკლდა, თუმცა ფრონტზე მოხალისედ წასული სტუდენტის ადგილას მოგვიანებით მაინც მიიღეს. ოქსფორდის დამთავრების შემდეგ, ქიმიურ ლაბორატორიაში დაიწყო მუშაობა, თუმცა მისი მოწოდება პოლიტიკა იყო, მაინც დაუღალავად შრომობდა, რასაც ასე ხსნის: **„ჩემი ცხოვრება სამუშაოა. ზოგიერთები მუშაობენ, რათა იცხოვრონ. მე კი იმისთვის ვცხოვრობ, რომ ვიმუშაო“.** 1948 წელს კონსერვატიულმა პარტიამ 23 წლის გოგონას დეპუტატის მანდატის მოპოვება დარტფორდის ოლქში შესთავაზა, სადაც კონსერვატორებს გამარჯვების შანსი არ ჰქონდათ. მარგარეტი კი დამარცხდა, მაგრამ მოსალოდნელზე მეტი ხმა მიიღო და არც პოლიტიკიდან წასვლაზე უფიქრია. სწორედ მაშინ გაიცნო პარტიულ კონფერენციაზე ქიმიური ფაბრიკის მფლობელი დენის ტეტჩერი, რომელზეც 1951 წელს დაქორწინდა კიდეც. მეუღლეზე 10 წლით უფროსი მაიორი ტეტჩერი ომის გმირი გახლდათ. 1953 წელს ოჯახში ტყუპი, ქეროლი და მარკი — გაჩნდა. 1959 წელს, თემთა პალატაში არჩევნებზე, 34 წლის მარგარეტმა დეპუტატის მანდატი მოიპოვა. ორი წლის შემდეგ, ბრიტანეთის პრემიერმა ტეტჩერი პენსიისა და სოციალური დაზღვევის სამინისტროს საპარლამენტო მდივნად დანიშნა და მანაც პენსიების გაზრდის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, რამაც არაპოპულარული გახადა.

1964 წელს კონსერვატიულმა პარტიამ არჩევნები წააგო და ოპოზიციაში აღმოჩნდა. ტეტჩერი „ჩრდილოვან კაბინეტში“ განათლების მინისტრად შეიყვანეს. დღე-ღამეში მხოლოდ 3-4 საათი ეძინა, დანარჩენი დრო პარტიულ საქმიანობაზე ეხარჯებოდა.

1970 წელს, კონსერვატორების ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ, ტეტჩერი განათლების მინისტრი გახდა და სისტემის რეფორმირება დაიწყო. დაანგრია ლეიბორისტების პრინციპი, რომლის მიხედვითაც, განათლებაზე უზარმაზარი სახელმწიფო სუბსიდია იხარჯებოდა. ეკონომიის მიზნით, საშუალო სკოლებში უმცროსკლასელებისთვის უფასო რძის დარიგებაც აკრძალა და სკოლაში კვების გადასახადიც გაზარდა. ამის გამო მთავრობის სახლთან საპროტესტო აქციები დაიწყო ლოზუნგებით: „რატომ მოპარეთ ბავშვებს რძე?“, „ვინ დაიცავს ტეტჩერისგან ჩვენს შვილებს?“ ტეტჩერის პასუხი კი ასეთი იყო: „არ ვაპირებ კურსის გადახვევას!“ რეფორმის წყალობით, სახელმწიფო ბიუჯეტმა 8 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაზოგა, პრესამ მარგარეტი „ბრიტანეთის ყველაზე არაპოპულარულ ქალად“ მონათლა და „რძის ქურდის“ ეპითეტი მიაკერა. მისი რეიტინგი იმდენად დაბალი იყო, რომ პოლიტიკიდან წასვლა მეუღლემაც კი ურჩია, მაგრამ როცა გადაწყვეტილებების შეცვლას ურჩევდნენ, პასუხობდა: **„მათ, ვინც ელოდება, რომ ჩემი პოლიტიკა 180 გრადუსით შეტრიალდება, მხოლოდ ერთს ვეტყვი: თქვენ თვითონ შეცვალეთ კურსი. ლედი უკან არ დაიხევს!“**

1974 წელს კონსერვატიულმა პარტიამ არჩევნებზე სრული ფიასკო განიცადა და ბრიტანეთის ისტორიაში პირველად, თემთა პალატაში ლეიბორისტებმა აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვეს. სწორედ ამ პერიოდში, მარგარეტმა პარტიის თავმჯდომარის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა და 1975 წელს მისი ხელმძღვანელიც გახდა. 1976 წელს საბჭოთა კავშირს აკრიტიკებდა, რის გამოც, „კრასნაია ზვეზდამ“ „რკინის ქალად“ მონათლა, ბრიტანულმა გაზეთებმა კი, მეტსახელი „რკინის ლედით“ შეცვალეს. რეიგანთან ერთად, სწორედ მის სახელს უკავშირდება სსრკ-ს დაშლისა და კომუნისტური იდეოლოგიისგან ევროპის გათავისუფლების პროცესი.

### „ჩემს შვილებს ზუსტად 9 თვე მივუძღვენი“

პირველ სიყვარულში არ გაუმართლა — ახალგაზრდა გრაფი შეუყვარდა, რომლის დედამ ვაჭრის ქალიშვილის მიღებაზე კატეგორიული უარი თქვა. მოგვიანებით, თანაპარტიელ ტეტჩერს გაყვა ცოლად. ბიოგრაფები საერთოდ არ ეხებიან საკითხს უყვარდა თუ არა მარგარეტს მეუღლე. დენისის ფული კარგი საშუალება იყო პოლიტიკის ასაწყობად. მარგარეტის პრემიერობისას, პროტოკოლის თანახმად, დენისი ყოველთვის ცოლისგან 3 ნაბიჯით უკან უნდა მდგარიყო, მოკლედ ეპასუხა კითხვებზე და არ ჩარეულიყო სახელმწიფო საქმეებში... არც ერეოდა, მაგრამ საკუთარ თავს „მუხრუჭზე დადგმულ ფეხს“ უწოდებდა — სწორედ მასთან საუბრით იწყებდა და ამთავრებდა დღეს მარგარეტი. მისტერ ტეტჩერი კითხვაზე, რამდენად რთული იყო „რკინის ლედისთან“ ცხოვრება, პასუხობდა: **„მსოფლიო და ოჯახი მარგარეტს სხვადასხვა თვალით უყურებს. მსოფლიო მას რკინის ლედის უწოდებს, ბავშვები „დეს“ ეძახიან, მე კი სხვა მეტსახელი შევარქვი“,** თუმცა ჭეშმარიტ ჯენტლმენს არასოდეს წამოსცდენია ეს სახელი. როცა 2003 წელს, 88 წლის დენისი გარდაიცვალა, მისის ტეტჩერმა პირველად იგრძნო, რომ 3 ნაბიჯით ზურგსუკან აღარავინ იდგა და ცხოვრებაში პირველად, ხალხის თვალწინ ატირდა.

მარგარეტი წერდა: **„ჩემს შვილებს ზუსტად 9 თვე მივუძღვენი ანუ ის დრო, როცა მუცლით ვატარებდი“**. ორსული იმაზე დარდობდა, გამოცდა ჩაებარებინა და ადვოკატის დიპლომი აეღო, რაც მშობიარობიდან 4 თვეში მოახერხა. ოჯახი მეორეხარისხოვნად მიაჩნდა: **„სახლი ის ადგილია, სადაც იმ დროს მიდიხარ, როცა სხვა ადგილას არ შეგიძლია რაიმე საქმით დაკავდე“.** პრემიერი გახდა თუ არა, ქალიშვილი ავსტრალიის სკოლა-პანსიონში გაგზავნა. წარმატებული ჟურნალისტი კეროლი შვეიცარიაში დასახლდა და ცდილობდა, დედის შესახებ არაფერი გაეგო, მისი ტელეფონის ნომერიც კი. მარკ ტეტჩერმა დედის დიდების ჩრდილქვეშ და მამის ფულით იცხოვრა. იყო წარუმატებელი ავტომრბოლელი და სუსტი ბიზნესმენი. 1989 წელს დაქორწინდა და ტეტჩერს შვილიშვილი აჩუქა, თუმცა 52 წლის ასაკში ეკვატორულ გვინეაში, პოლიტიკური გადატრიალების მცდელობისთვის ციხეში მოხვდა. 1,5 წელი სიკვდილით დასჯის შიშით გაატარა, რის შემდეგაც, დედის მიერ გადახდილი 165 000 ფუნტის საფასურად, პირობით გაათავისუფლეს.

### ტეტჩერის ეპოქის დასაწყისი და დასასრული

1979 წლის 4 მაისს, კონსერვატიულმა პარტიამ ლეიბორისტებზე რევანში აიღო, საპარლამენტო არჩევნები მოიგო და კვლავ ქვეყნის სათავეში მოვიდა. ბრიტანეთში ტეტჩერის ეპოქა დაიწყო — 53 წლის მარგარეტ ტეტჩერი პრემიერი გახდა ლოზუნგით: „სოციალიზმი და ბრიტანეთი შეუთავსებელია!“ მთავარ პრიორიტეტად ინფლაციის შეკავება დაისახა, მკვეთრად შეკვეცა ბიუჯეტიდან დაფინანსების მუხლები, დაიწყო სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების პრივატიზაცია და დენაციონალიზაცია, შეამცირა სახელმწიფო მოხელეთა რაოდენობა. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები შემოიღო. რეფორმებს სასიკეთო ცვლილებები ერთ-ორ წელიწადში არ მოჰყვა და გაიზარდა უკმაყოფილოთა რიცხვი. პრემიერი უკან მაინც არ იხევდა. მან უკან არ დაიხია არც 1981 წელს, როცა ირლანდიის განმათავისუფლებელი არმიის „ირას“ წევრებმა, ციხეში შიმშილობა გამოაცხადეს და პოლიტპატიმრებად აღიარება მოითხოვეს. შედეგად 11 ადამიანი გარდაიცვალა, დანარჩენებმა აქცია შეწყვიტეს.

ხელისუფლების შენარჩუნებაში არგენტინა დაეხმარა — 1982 წლის 12 აპრილს კუნძულ ფოლკლენდზე არგენტინის სადესანტო ნაწილები გამოჩნდა. ბრძოლის გარეშე განაიარაღეს კუნძულზე მყოფი ბრიტანელი ჯარისკაცები და კუნძული არგენტინის საკუთრებად გამოაცხადეს. ტეტჩერმაც არ დააყოვნა და არგენტინას ომი გამოუცხადა. 2 მაისს არგენტინელების შეიარაღებაში არსებულმა ფრანგული წარმოების რაკეტებმა ბრიტანული გემი „შეფილდი“ დააზიანეს. ტეტჩერმა ფრანსუა მიტერანს შუაღამისას დაურეკა და კატეგორიულად მოსთხოვა, არგენტინული რაკეტების გასანეიტრალებლად საიდუმლო კოდების გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბუენოს-აირესის ატომური დაბომბვით დაემუქრა. „იძულებული გავხდი, კოდები მიმეცა, ის მართლა დაბომბავდა ბუენოს-აირესს“, — ასე იმართლა თავი საფრანგეთის პრეზიდენტმა. არგენტინამ კაპიტულაცია გამოაცხადა, ტეტჩერმა ბრიტანეთის პრესტიჟი დაიცვა. ამ ომმა მას ტრიუმფი მოუტანა — პოსტი შეუნარჩუნა და მომდევნო წელს საპარლამენტო არჩევნებზე კონსერვატორებმა გაიმარჯვეს.

მარგარეტ ტეტჩერი პრემიერის თანამდებობიდან 1990 წლის ნოემბერში — „პარტიის ერთიანობისა და მომავალ არჩევნებზე კონსერვატორების გამარჯვებისთვის“ — გადადგა. მმართველობის უკანასკნელ წელს ჩატარებულ გამოკითხვას პარადოქსული შედეგი ჰქონდა: ბრიტანელთა 63% პატივს სცემდა, 67%-ს — არ უყვარდა. 1992 წელს დედოფალმა ელისაბედ II-მ მარგარეტს ბარონესას ტიტული მიანიჭა და ლორდთა პალატის მუდმივი წევრი გახდა. ტეტჩერმა გადადგომის შემდეგ დაწერა წიგნი „სახელმწიფოს მართვის ხელოვნება“, რამდენიმე მსხვილი კომპანიის კონსულტანტიც გახდა და მისი ანაზღაურება მილიონებს აღწევდა, თითო საჯარო გამოსვლაში 50 ათას დოლარს უხდიდნენ.

2007 წელს, ის პირველი პრემიერი გახდა, ვისაც პარლამენტში, ჩერჩილის ქანდაკების წინ, 2,5 მეტრის სიმაღლის ბრინჯაოს ძეგლი დაუდგეს. საზეიმო ცერემონიალზე განაცხადა: **„სამწუხაროა, რომ ძეგლი რკინის არ არის, მაგრამ არა უშავს. სამაგიეროდ, ბრინჯაო არასოდეს ჟანგდება“.**

2002 წელს ტეტჩერმა გადაიტანა გულის რამდენიმე შეტევა და ერთ-ერთი ინფორმაციით — შარდის ბუშტის სიმსივნის ურთულესი ოპერაცია. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, „რკინის ლედი“ ბოლო წლებში საზოგადოებაში იშვიათად ჩნდებოდა. 87 წლის ასაკში კი, ზედმიწევნით დაგეგმა საკუთარი დაკრძალვის ცერემონია: ორკესტრი ედუარდ ელგარის ნაწარმოებებს შეასრულებს. პროცესია უესტმინისტერიდან წმინდა პავლეს საკათედრო ტაძრისკენ პოლიციის მნიშვნელოვანი ძალების მობილიზების ფონზე ჩაივლის. სამხედრო ალლუმის წესით, ჰაერში, თვითმფრინავების მწყობრი არ ჩაიფრენს. დამსწრე საზოგადოება კუბოსთან ახლოს არ ჩამწკრივდება...



# ჰოროსკოპი
## 10 აპრილი

**ვერძი** — დღეს შესაძლებლობა მოგეცემათ, გარშემომყოფები ხასიათის სიმტკიცით გააოცოთ, მართალია, თქვენი ნატურიდან გამომდინარე, უპირატესობას გუნდურ პრინციპებს ანიჭებთ, მაგრამ ახლა ის შემთხვევაა, როცა ამ თვისებას ინდივიდუალიზმი უნდა დაუპირისპიროთ, მხოლოდ ასე მიაღწევთ წარმატებას საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობაში.

**კურო** — მთელ დღეს საკუთარ ბედზე წუწუნში გაატარებთ, რამაც შესაძლოა, წამოწყებული საქმე გააფუჭოს. დიდი ალბათობა, სასაცილო სიტუაციაში აღმოჩნდეთ — ეს განსაკუთრებით სუსტი სქესის წარმომადგენლებს ეხება და ამიტომ აუცილებელია, უფრო სერიოზულად მიუდგეთ სამსახურეობრივ მოვალეობას. დღის მეორე ნახევარი, სჯობს, ახლობლების წრეში გაატაროთ.

**ტყუპები** — დღე უსიამოვნო ცვლილებებს გიქადით. პირად ცხოვრებაში ერთგვარი სიფრთხილე გმართებთ და ნურც ვითარების გამოსწორებას ეცდებით ძალის გამოყენებით. სჯობს მოთმინება გამოიჩინოთ და ურთიერთობის დალაგებისთვის უფრო ხელსაყრელი დრო შეარჩიოთ.

**კირჩხიბი** — დღე კარგია მოგზაურობისა და საქმიანი შეხვედრისთვის. შეეცადეთ, უფრო მეტად მიზანდასახული გახდეთ, ვარსკვლავები კი გაფრთხილებენ, ჯანმრთელობას მიხედოთ, რადგან მოსალოდნელია, ქრონიკულმა დაავადებებმა იჩინოს თავი. დღეს თქვენი ენერგეტიკული, შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი ზემოთ მიიწევს, შეეცადეთ, ეს სასიკეთოდ გამოიყენოთ.

**ლომი** — ახალ ნაცნობებთან კონტაქტი სერიოზულ პერსპექტივებს დაგისახავთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მოგზაურობისას. უმჯობესია, ყურადღება გაამახვილოთ საქმიან შეხვედრებზე, რადგან შესაძლოა, თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ აქ გადაწყდეს, ფინანსური მდგომარეობაც გაუმჯობესდება. საღამოს კი აჯობებს, მყუდრო გარემოში, მეგობრებთან ან საყვარელ ადამიანთან ერთად დაისვენოთ.

**ქალწული** — თქვენი ბიუჯეტი ნელ-ნელა უმჯობესდება. დღეს არ გირჩევთ, ახალი საქმის წამოწყებას, სჯობს ძველ პრობლემებს მიუბრუნდეთ, მით უმეტეს, კარგი დღეა საკამათო საკითხების გადასაჭრელად. გახსოვდეთ, მთავარია მოინდომოთ და ნებისმიერი დისკუსია მხოლოდ თქვენს სასარგებლოდ დასრულდება.

**სასწორი** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს უამრავი საქმიანი შეხვედრა ელის, რაც პროფესიულ საქმიანობასთან იქნება დაკავშირებული, ამიტომ შეეცადეთ, საქმიანად და სოლიდურად გამოიყურებოდეთ. მართალია, გარკვეული პესიმისტური განწყობა დაგეუფლებათ, შინაგანი ბუნების გამო და დღის მეორე ნახევარშიც ურთიერთობა დაგეძაბებათ ოჯახის წევრებთან, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ეს ყველაფერი დროებითია.

**ღრიანკალი** — დღეს სათანადო ყურადღება დაუთმეთ ახლობლების რჩევებსა და მითითებებს, სწორედ ამაზე და თქვენს ინტუიციაზე დაყრდნობით შეძლებთ, გამოხვიდეთ შექმნილი რთული ვითარებიდან და უსიამოვნებებს თავს აარიდებთ. საღამოს მოსალოდნელია რომანტიკული შეხვედრა ან ახალი ნაცნობობა, რაც სერიოზულ ურთიერთობაში შეიძლება გადაიზარდოს.

**მშვილდოსანი** — მშვილდოსნებს ცვლილებების დღე ელის. შეეცადეთ, საკმაოდ ორგანიზებული იყოთ სამსახურში და რაც შეიძლება მეტი შეხვედრა დაგეგმოთ. დღეს დაწყებული ახალი ნაცნობობა, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდეს. დღის მეორე ნახევარი, უმჯობესია, მეგობრების წრეში გაატაროთ.

**თხის რქა** — დღის ბოლოს, შესაძლოა, საკუთარ თავსაც ვერ აუხსნათ, სად ან რაში დახარჯეთ ამდენი ფული. მაგრამ ფინანსური საკითხები დღეს თქვენთვის არც ისე მტკივნეული თემაა. მთავარია, ზომიერების გრძნობამ არ გიღალატოთ და მანამდე მოასწროთ შეჩერება, ვიდრე თვის დანაზოგს ქარს გაატანდეთ.

**მერწყული** — მერწყულებისთვის ემოციურად დაძაბული დღეა. სამსახურში საქმეს თავს ვერ აბამთ, არც პარტნიორის არჩევაში გაგიმართლათ, ინტუიციაც თითქოს გღალატობთ. დღეს მოგიწევთ, არჩევანი სასიამოვნოსა და აუცილებელს შორის გააკეთოთ. სურვილი გაგიჩნდებათ, ყოველდღიურ ერთფეროვნებას თავი დააღწიოთ. ნუ დაემორჩილებით ნეგატიურ აზრებსა და არავითარ შემთხვევაში არ დაკარგოთ ოპტიმიზმის გრძნობა.

**თევზები** — ყველაფერში იღბალი თან გდევთ, რადგან დღეს გადაწყვეტთ, უფრო ღიად იმოქმედოთ. ფიქრზე დიდ დროს ნუ დაკარგავთ, თამამად შეუდექით საქმეს — ეს საკმაოდ კარგად გამოგივათ. დღეს თქვენი სასიცოცხლო ენერგია იზრდება. სურვილი გიჩნდებათ, რამდენიმე საქმეს ერთად შეეჭიდოთ, თუმცა სჯობს, ყველა პრობლემის ერთდროულად მოგვარებისგან თავი შეიკავოთ. დღის მეორე ნახევარი შეგიძლიათ ხმაურიან წვეულებაზე გაატაროთ, მოგვიანებით კი ენერგია იმისთვისაც გეყოფათ, ოჯახის წევრებს გარკვეული დრო დაუთმოთ.

# მწვანე ფერი თვალს ამშვიდებს

ფერების ფსიქოლოგიის მიხედვით, მწვანე იმედის, მშვიდობისა და უსაფრთხოების ფერია. ყველაზე გავრცელებული შეფერილობა ბუნებასთან ასოცირდება. მიიჩნევა, რომ ადამიანის თვალი ამ ფერის უამრავ ტონალობას აღიქვამს, რაც სხვა ფერების შემთხვევაში არ ხდება. ეს შეიძლება იყოს ხალასი, ნათელი, ღია და მუქი ფერები, ასევე ცივი და თბილი შეფერილობა. ფსიქოლოგები მწვანეს ყველაზე დამამშვიდებელ ფერად მიიჩნევენ, განსაკუთრებით მის ნათელ ტონალობებს, რომელიც სიმშვიდის შეგრძნებას იწვევს. სწორედ ამიტომ ინტერიერის დიზაინერები ხშირად ურჩევენ მომხმარებლებს, სახლში ერთი ოთახი მაინც ჰქონდეთ მწვანე ფერში გადაწყვეტილი.



## შენდომა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**





- ბანქო ანუ..
- მულის დაავადება
- ერთგვარი ქუდი
- ტაძარი ქართლში
- იაპონიის კუნძული
- პარკოსანი მცენარე
- სამშენებ. ტექნიკა
- თვე
- დათვის „ხელი“
- ქალაქი ესპანეთში
- ქალაქი ავსტრალიაში
- სამუშაო იარაღი
- ქართული გაზეთი
- კუნძული კარიბის ზღვაში
- აკრძალვა ანუ..
- დიდი ნემსი
- ტელეფონის მფლობელი
- ყურძნის ჯიში
- საქართვ. რაიონი
- ქართველი მსახიობი
- წერილი გაზეთში
- მუსიკ. საკრავი
- მამაცი ანუ..
- აფრიკული ბუზი
- სარეკლამო ფირნიში
- საყვავილე
- ქართ. ლუდი
- კანფეტი
- მამაკაცის სახელი
- სევდა ანუ..
- გეომეტრ. ფიგურა
- ყარაული ანუ..
- კეთილი ანუ..
- უცოდინარი ანუ..
- გეომეტრ. ფიგურა
- შეყვარებული
- სიგრძის ერთეული
- ხანჯლის ტარი
- პლანეტა
- ადამიან. ორგანო
- მწვანე მინდორი
- ქრისტეს მოწაფე
- სასიმღერო ხმა
- ხის სახლი

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 3 | 2 | 6 | 5 | 1 | 8 | 7 |
| 1 | 2 | 8 | 3 | 9 | 7 | 6 | 4 | 5 |
| 7 | 6 | 5 | 4 | 1 | 8 | 3 | 9 | 2 |
| 8 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 2 | 3 | 1 |
| 4 | 5 | 1 | 9 | 3 | 2 | 8 | 7 | 6 |
| 6 | 3 | 2 | 8 | 7 | 1 | 9 | 5 | 4 |
| 2 | 1 | 4 | 7 | 8 | 3 | 5 | 6 | 9 |
| 5 | 8 | 9 | 1 | 4 | 6 | 7 | 2 | 3 |
| 3 | 7 | 6 | 5 | 2 | 9 | 4 | 1 | 8 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 9 | 6 | 5 | 3 | 8 | 2 | 4 |
| 2 | 6 | 8 | 4 | 1 | 9 | 7 | 3 | 5 |
| 5 | 4 | 3 | 8 | 7 | 2 | 9 | 6 | 1 |
| 7 | 8 | 1 | 3 | 9 | 6 | 5 | 4 | 2 |
| 6 | 2 | 5 | 7 | 4 | 1 | 3 | 8 | 9 |
| 3 | 9 | 4 | 2 | 8 | 5 | 1 | 7 | 6 |
| 4 | 5 | 2 | 1 | 3 | 8 | 6 | 9 | 7 |
| 9 | 3 | 7 | 5 | 6 | 4 | 2 | 1 | 8 |
| 8 | 1 | 6 | 9 | 2 | 7 | 4 | 5 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 2 | 5 | 4 |
| 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 8 | 2 | 4 | 9 | 5 | 1 | 7 | 3 | 6 |
| 9 | 5 | 3 | 7 | 1 | 8 | 4 | 6 | 2 |
| 4 | 8 | 6 | 2 | 9 | 5 | 3 | 1 | 7 |
| 2 | 7 | 1 | 6 | 4 | 3 | 9 | 8 | 5 |
| 1 | 4 | 2 | 5 | 8 | 9 | 6 | 7 | 3 |
| 6 | 3 | 8 | 1 | 2 | 7 | 5 | 4 | 9 |
| 5 | 9 | 7 | 3 | 6 | 4 | 8 | 2 | 1 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 7 | 3 | 9 | 8 | 4 | 2 | 1 |
| 1 | 4 | 2 | 7 | 6 | 5 | 3 | 9 | 8 |
| 3 | 9 | 8 | 1 | 2 | 4 | 7 | 6 | 5 |
| 8 | 3 | 4 | 9 | 1 | 7 | 2 | 5 | 6 |
| 7 | 2 | 1 | 5 | 4 | 6 | 9 | 8 | 3 |
| 9 | 6 | 5 | 8 | 3 | 2 | 1 | 4 | 7 |
| 2 | 1 | 9 | 6 | 8 | 3 | 5 | 7 | 4 |
| 5 | 8 | 3 | 4 | 7 | 9 | 6 | 1 | 2 |
| 4 | 7 | 6 | 2 | 5 | 1 | 8 | 3 | 9 |

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები











# ჰოროსკოპი
## 11 აპრილი

***ვერძი*** — სერიოზული პროვოკაციებისა და გაუგებრობის დღეა. მთავარია არ დაგავიწყდეთ, რომ ნებისმიერი უსიამოვნება დროებითია და თქვენს გვერდით არიან ისეთი ადამიანები, ვისაც თავისუფლად შეგიძლიათ ენდოთ.

***კურო*** — კუროებს ვარსკვლავები ურჩევენ, საქმიანი აქტივობა ცოტა შეანელონ, რათა ფინანსურ დანაკარგს თავი აარიდონ. სამსახურში მოსალოდნელია მცირე უსიამოვნება, მაგრამ რაც ხდება, თქვენზე არ არის დამოკიდებული. დღის მეორე ნახევარში თქვენი კომუნიკაბელურობა იზრდება, შედეგად კი, წარმატებული იქნება საქმიანი შეხვედრა.

***ტყუპები*** — დღე არასასურველია საქმიანი მოლაპარაკებებისთვის, სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა თავი აარიდოთ მატერიალურ დანაკარგს. დღის პირველ ნახევარში შესაძლოა უთანხმოება პარტნიორებთან ან უფროსობასთან. საღამოსკენ კი სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვლება. კარგი დღეა მეგობრებთან შეხვედრისთვის, ახალი ნაცნობობისთვის.

***კირჩხიბი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს მცირე უსიამოვნება ელით. საქმე, რომლითაც ხართ დაკავებული, ძალიან უინტერესოდ გეჩვენებათ. მტკივნეული რეაქცია ნუ გექნებათ იმაზე, რაც ხდება, რადგან ბედს ვერ შეცვლით. დღეს სერიოზული მუშაობისთვის გახარჯეთ დრო, დღის მეორე ნახევარი კი ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან, მყუდრო გარემოში გაატარეთ.

***ლომი*** — დღე არც ისე კარგია საკამათო საკითხების გადასაჭრელად, დიდია ალბათობა, რომ წარმატებას ვერ მიაღწევთ. საყვარელ ადამიანთან პრეტენზიებმა, შესაძლოა, სკანდალამდე მიგიყვანოთ, რადგან დღეს ურთიერთგაგება თითქმის შეუძლებელია. ვარსკვლავები გირჩევენ, ემოციების გამჟღავნებისგან თავი შეიკავოთ, რათა უსიამოვნება აირიდოთ.

***ქალწული*** — ქალწულებისთვის სერიოზული პროვოკაციის დღეა — ყველა თქვენს წინააღმდეგაა და იმას გაბრალებენ, რაც არ ჩაგიდენიათ. სხვადასხვა გაუგებრობის შედეგი მოულოდნელი და უსიამოვნო იქნება, ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ, რადგან არ არის გამორიცხული, მოგატყუონ იმ ადამიანებმა, ვისზეც ხართ დამოკიდებული.

***სასწორი*** — დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, თავი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში წარმატებულად წარმოაჩინოთ. ბედი შანსს გაძლევთ, გაიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა. თქვენს გრძნობებსა და საქციელს შორის, ყველაფრის მიუხედავად, ბალანსი აღდგება. დღის მეორე ნახევარში შესაძლოა კონფლიქტური სიტუაცია.

***ღრიანკალი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა, მაგრამ საღამოს მაინც უკმაყოფილო იქნებით საკუთარი თავით. აუცილებელია, მძიმე ფიქრი თავიდან მოიშოროთ, რადგან ზედმეტად ფრთხილობთ. ახლობელი ადამიანები განიცდიან, როცა საკუთარ თავში იკეტებით, რადგან მათ იციან, სიკეთისა და სითბოს რა მარაგი იმალება თქვენს ცივ გამომეტყველებაში, ისინი აფასებენ, რომ საყვარელი ადამიანებისთვის თავგანწირვა შეგიძლიათ.

***მშვილდოსანი*** — ამ დღეს ვარსკვლავები გაძლევენ შანსს, ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. თქვენი თავდაჯერებულობა, საქმიანი აქტიურობა და დინამიზმი სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ. ახალი სიმაღლეების დაპყრობის სურვილი ურთიერთგამომრიცხავი ნაბიჯების გადადგმისკენ გიბიძგებთ. ნუ შეეცდებით ყველა პრობლემის ერთბაშად გადაწყვეტას, ცხოვრება თავად გიჩვენებთ საჭირო დროს.

***თხის რქა*** — სერიოზული წინააღმდეგობების დღეა, ნებისმიერი კამათი სკანდალამდე მივა, რადგან დათმობას არც ერთი მხარე არ მოისურვებთ. უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად ყველაფერში სიფრთხილე გამოიჩინეთ, საღამოს კი შეგიძლიათ მოეშვათ და დრო მეგობრებთან ერთად, სასიამოვნოდ გაატაროთ.

***მერწყული*** — მერწყულებისთვის დაძაბული დღეა. პრობლემების გადაჭრას მარტო ნუ შეეცდებით. თქვენი ფინანსური მდგომარეობა განაპირობებს მომავლის გეგმების განხორციელებასა და ოჯახში სიტუაციას. ბავშვების პრობლემებიც თქვენგან მნიშვნელოვან ხარჯს მოითხოვს.

***თევზები*** — დღეს თქვენი სასიცოცხლო ძალები სუსტია, დასუსტებულია აურა და ძლიერდება გარემოს ნეგატიური ზემოქმედებაც. დაბნეულობის გამო, ძნელად აუწყობთ ფეხს სამუშაო რიტმს. დღე წარუმატებელია საქმიანი გარიგებების, შენაძენებისა და ურთიერთობების გარკვევისთვის. მნიშვნელოვან საკითხებზე ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას, სჯობს, გადადოთ და საკუთარ ჯანმრთელობას მიხედოთ.


**სს „კავკასიის ბირჟა“ გაცნობებთ, რომ 2013 წლის 15 აპრილს, დღის 13 საათზე გაიმართება აქციონერთა განმეორებითი რიგგარეშე კრება. შემდეგი დღის წესრიგით:**

**1) წესდებას დაემატოს შემდეგი პუნქტი:**

სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრი (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე), შესაძლებელია იყოს სააქციო საზოგადოების დირექტორი (დირექტორები).

გთხოვთ, გამოცხადდეთ და მიიღოთ მონაწილეობა აღნიშნული საკითხების განხილვაში.

**მის. ქ. თბილისი. ა. წერეთლის გამზირი №118. გამოფენის ტერიტორია.**

**სს „კავკასიის ბირჟის“ დირექტორატი.**


# დაქორწინებულები მარტოხელებზე მეტ ფულს შოულობენ



ეკონომიკის უმაღლესი სკოლის მკვლევარების განცხადებით, დაქორწინებული მამაკაცები უფრო მეტ ფულს შოულობენ, ვიდრე დაუოჯახებლები. ეს იმითაა გამოწვეული, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ცხოვრების თანამგზავრად წარმატებულ პარტნიორებს ირჩევენ. ექსპერტების განცხადებით, ამ ფაქტორის გათვალისწინებით, დაოჯახებულები, უცოლოებთან შედარებით, 10-30%-ით მეტ ფულს შოულობენ. სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე ცოტა შემოსავალი პრინციპულ მარტოხელებს აქვთ, მათზე ოდნავ მეტი ფული აქვთ განქორწინებულებს, შემდეგ კი სიაში არიან ქვრივები. მათზე მეტი შემოსავალი აქვს მათ, ვინც სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფება, რეიტინგის ლიდერები კი, ვისაც ყველაზე მეტი შემოსავალი აქვს, ოფიციალურად დაქორწინებული მამაკაცები არიან. სუსტი სქესის წარმომადგენლების შემთხვევაში მსგავსი კანონზომიერება არ ფიქსირდება.



# სასტუმრო პანდების მოყვარულებისთვის

მომავალ თვეში ჩინეთის პროვინცია სიჩუანში ახალი ოტელი Haoduo Panda გაიხსნება, რომელშიც კლიენტებს შეახსენებს, რომ ჩინეთი პანდების სამშობლოა. შავ-თეთრი საწოლები და მაგიდები, კედლის მოხატულობა, პანდების თათების ანაბეჭდები და რბილი სათამაშოები ნომრების ინტერიერების ნაწილი გახდება. აქ მომსახურე პერსონალსაც ბამბუკის დათუნიების კოსტიუმები ეცმევა, კლიენტების გასართობად. ნომრის ღირებულებაში, რომელიც 48-დან 80 დოლარამდე მერყეობს, ასევე შედის „პანდის ჩახუტებაც“. დათვის კოსტიუმში გამოწყობილი თანამშრომელი კლიენტებს ნომერში შესახლებისა და მისი დატოვების დროს ჩაეხუტება, რასაკვირველია, თუ სტუმარს ამის სურვილი ექნება. სასტუმრო ერთ-ერთი ცნობილი ღირსშესანიშნაობის — ემეიშენის (Emeishan) გვერდით მდებარეობს, რომელიც ბუდისტებს მთელი მსოფლიოდან იზიდავს.

# ბუდისტები ბარში ლუდით „აზიარებენ“



ტოკიოს ბარში Vowz, სადაც ორი ბუდისტი ბერი ნებისმიერ ალკოჰოლურ კოქტეილს შემოგთავაზებთ. დაწესებულება ერთმა იაპონელმა ბუდისტმა ჯერ კიდევ 13 წლის წინ გახსნა და დღემდე აქ არა მხოლოდ ერთმორწმუნეები იკრიბებიან, არამედ ჩვეულებრივი ადამიანები, ვისაც სურვილი აქვს, ამ რელიგიის სიბრძნეს ეზიაროს. უნდა აღინიშნოს, რომ ბერები, რომლებიც აქ ბარმენებად მუშაობენ, ერთ-ერთი ბუდისტური სექტის წევრები არიან, რომელიც საკუთარ ადეპტებს არ უკრძალავს ალკოჰოლს, თამბაქოს, ქალებთან ურთიერთობას და არ აიძულებს თვითშეზღუდვას, ამიტომ ბარში შეგიძლიათ მიხვიდეთ, მშვიდად მოისმინოთ ბუდისტური სუტრები და ლოცვები ლუდის კათხების მხიარული წკრიალის ფონზე. აქ ვერ ნახავთ ვერც მთვრალების კარაოკეს, არც არავინ დაგაძალებთ, მშვიდად იჯდეთ და მთელი ქადაგება მოისმინოთ: ვისაც არ მოეწონება — თავისუფალია, თუმცა მეგობრული ატმოსფეროსა და გემრიელი კოქტეილების გამო, ბერებს უკმაყოფილო კლიენტი თითქმის არ ჰყავთ.

# გასახდომი სათვალე შექმნეს



იაპონელმა მეცნიერებმა ტოკიოს უნივერსიტეტიდან სპეციალური სათვალე შექმნეს, რომელიც მფლობელს გახდომაში ეხმარება. სათვალე საკვებს ადიდებს ან ამცირებს დაახლოებით 50%-ით, ამავდროულად კი, გარემოს ნორმალურ პროპორციებს ინარჩუნებს. ამ აქსესუარის ახალი მოდელი ადამიანს ნაკლები საკვების მიღებასა და შედეგად, გახდომაში დაეხმარება. ამჟამად გამომგონებლები სათვალის გარეგნული ფორმის დახვეწაზე მუშაობენ — მათ სურთ, ის უფრო კომპაქტური და მომხიბლავი გახადონ. აღსანიშნავია, რომ გასახდომი სათვალის მეორე მოდელიც არსებობს. ის უფრო რთული მოწყობილობაა: აქვს დისპლეი, რომელიც ადამიანის ხელებს ნორმალური ზომისას აჩვენებს, მაგრამ თეფშზე არსებულ კერძს შეცვლილი სახით წარმოადგენს — საკვები უფრო მაღალკალორიული ჩანს. ეს სათვალე გარეგნულად არაფრით განსხვავდება მზისგან დამცავი სათვალისგან.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1 | | 3 | | 7 | | | |
| 9 | 3 | | | | 6 | | | 4 |
| | 6 | 5 | | 1 | | | | |
| 3 | 5 | | 1 | | | | | |
| | | | | 8 | | | | |
| | | | | | 3 | | 1 | 8 |
| | | | | 4 | | 2 | 3 | |
| 2 | | | 5 | | | | 8 | 1 |
| | | | 6 | | 8 | | 4 | 5 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | | 9 | 7 | | 5 |
| | | | 2 | 6 | 8 | 4 | | |
| | | | | 5 | | | 8 | |
| | 4 | | | | | 3 | | |
| 6 | | 9 | | | | 8 | | 7 |
| | | 7 | | | | | 9 | |
| | 2 | | | 1 | | | | |
| | | 6 | 8 | 7 | 4 | | | |
| 1 | | 5 | 6 | | 2 | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 7 | | | | 5 | |
| | 9 | | | | 4 | 3 | 2 | |
| | | | 3 | 2 | 8 | | | 9 |
| | | 7 | | | 3 | 5 | | |
| 6 | | | | | | | | 1 |
| | | 3 | 4 | | | 8 | | |
| 5 | | | 8 | 4 | 6 | | | |
| | 3 | 6 | 2 | | | | 1 | |
| | 2 | | | | 5 | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | 7 | | | 8 | 2 | 1 |
| | 7 | | | | 8 | 6 | | |
| | | | | | | | 3 | 7 |
| | 1 | 4 | 3 | | | | | 5 |
| | | | 5 | | 6 | | | |
| 8 | | | | | 9 | 2 | 7 | |
| 5 | 2 | | | | | | | |
| | | 1 | 2 | | | | 4 | |
| 6 | 4 | 9 | | | 1 | | 5 | |



## სიცილი – საუკეთესო ტკივილგამაყუჩებელი

სწავლულებმა ოქსფორდის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ სიცილი ისევე აუცილებელია ადამიანისთვის, როგორც ცხოვრების ჯანსაღი წესი, ძილი ან სპორტი. გამოკვლევების შედეგად, რომელიც მრავალი წელი გრძელდებოდა, სპეციალისტები ასკვნიან, რომ სიცილი საუკეთესო, ბუნებრივი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებაა. არც თანამედროვე მედიცინა უარყოფს, რომ გულიანი გაცინება ბევრი დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვისაა რეკომენდებული. ღიმილი ნებისმიერ ადამიანში სიამოვნებისა და ბედნიერების შეგრძნებას აჩენს, ის განცდილი სიხარულის, წარმატებისა თუ ოპტიმიზმის გამოვლინებაა. ბრიტანელი სწავლულების ექსპერიმენტისას მოხალისეები ორ ჯგუფად დაყვეს. ერთს 15 წუთის განმავლობაში კომედიას აყურებინებდნენ, მეორეს კი — ნეიტრალურ პროგრამას. ამის შემდეგ კვლევის მონაწილეები ტკივილის ამტანობაზე გამოსცადეს. აღმოჩნდა, რომ პირველი ჯგუფის წარმომადგენლები უფრო ადვილად იტანდნენ ტკივილს.

## ხორცი გულისთვის საშიშია?



ამერიკელი სწავლულების განცხადებით, დიდი რაოდენობით სტეიკის, ფარშისა და ბეკონის მიღება გულისთვის მავნებელია. ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ხორცში არსებული კარნიტინის დაშლა ნაწლავში არსებული ბაქტერიით ხდება. ეს პროცესი კი, შედეგად, სისხლში ქოლესტერინის დონის მატებას იწვევს, რაც შესაბამისად, ზრდის გულის დაავადებების განვითარების რისკს. კვლევების მიხედვით, ხორცის რეგულარულმა მიღებამ, შესაძლოა, ჯანმრთელობის პრობლემები გამოიწვიოს.

## ყველა პიცა სტერილიზაციის სანაცვლოდ



აშშ-ს მასაჩუსეტსის შტატის უროლოგებმა ახალი მეთოდი მოიფიქრეს მამაკაცების სტერილიზაციის — ვაზექტომიის პოპულარიზაციისთვის: ნებისმიერი პაციენტი, რომელიც ამ ოპერაციის გაკეთებას გადაწყვეტს, საჩუქრად პიცას მიიღებს. კეიპ-კოდის უროლოგთა ასოციაციაში მიიჩნევენ, რომ ეს უსაფრთხო და ადვილი გზაა პროცედურის პოპულარიზაციისა და ბიზნესის გაუმჯობესებისთვის. მართლაც, „აქციის“ მოქმედების პირველი თვის განმავლობაში, პაციენტების რაოდენობა სამჯერ გაიზარდა. დოქტორი ევანგელოს გერანიოტისი, რომელიც შტატის სხვადასხვა ქალაქებში ეწევა სამედიცინო პრაქტიკას, ვაზექტომიას შობადობის კონტროლის ყველაზე მარტივ და უსაფრთხო საშუალებად მიიჩნევს.



## ჯინსი დეპრესიას იწვევს?

ჩვეულებრივი ლურჯი ჯინსის ტარება, შესაძლოა, დეპრესიის მანიშნებელი იყოს, — გამოარკვიეს ჰარტფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა. მათი თქმით, ჯინსის შარვალი ყველას არ უხდება. ის ხშირად ცუდი შეკერილია და აღნაგობას არ გამოკვეთს, აქედან გამომდინარე, ჯინსი გვაძლევს სიგნალს, რომ მის მფლობელს დიდად არ აღელვებს საკუთარი გარეგნობა. დეპრესიაში ადამიანები ხშირად კარგავენ ინტერესს, როგორ გამოიყურებიან და არც სურთ მასიდან გამოირჩეოდნენ. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ტანსაცმლის არჩევასა და განწყობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს და ამიტომ, დეპრესიაში ის სამოსი უნდა ჩავიცვათ, რა ჩვენთვის ბედნიერებასთან ასოცირდება.

## მეცნიერებმა დაუნის სინდრომის მიზეზი დაადგინეს



ამერიკელმა მეცნიერება დაუნის სინდრომის წარმოშობის მიზეზი გაშიფრეს. მათ აღმოაჩინეს, რომ ამ დაავადებისას თავის ტვინში ცილა SNX27-ის დეფიციტი შეინიშნება, რომელიც 21-ე დამატებითი ქრომოსომის გამო წარმოიშობა. მღრღნელებში ცილის კონცენტრაციის გაზრდისას, შეძლეს თაგვებში მეხსიერების აღდგენა და ამის საფუძველზე, მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აღნიშნული ცილის ხელოვნურად გაზრდა თავის ტვინის ფუნქციას გააუმჯობესებს. სწავლულები იმედოვნებენ, რომ ეს მეთოდიკა შესაძლებლობას მისცემთ, ადამიანებიც განკურნონ. ამ მომენტისთვის კი ისინი მოლეკულების ძიებაში არიან და თავის ტვინში გენის გაზრდის შედარებით უსაფრთხო გზებს ეძებენ.

## თმის ზრდა რეგიონზეა დამოკიდებული



როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, ადამიანის თმის ზრდის ტემპი მის გენეტიკურ მონაცემებსა და ფოლიკულების ფორმაზეა დამოკიდებული. ასე მაგალითად, ევროპელი ადამიანის თმა თვეში 1 სანტიმეტრით ანუ დღეში დაახლოებით 0,035სმ-ით იზრდება. აფრიკელთა სპირალისებურად დახვეული თმის ფოლიკულების შემთხვევაში, თმა გაცილებით ნელა მატულობს სიგრძეში — თვეში მხოლოდ 0,27 სანტიმეტრით. სპეციალისტთა თქმით, სხეულზე თმის ზრდა მეტად ინდივიდუალური პროცესია. თვის განმავლობაში მან, შესაძლოა, 0,48-დან 1,5 სანტიმეტრამდე მოიმატოს. აღმოჩნდა, რომ თავისა და ტანისგან განსხვავებით, წარბები და წამწამები, როცა 2 სანტიმეტრამდე მიაღწევს, ავტომატურად წყვეტს ზრდას, წყდება სახეს და მათ ადგილას ახალი ამოდის. ძლიერი სქესის წარმომადგენლებს წვერი იმავე ტემპით ეზრდებათ, როგორც თავზე თმა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ტემპი იმატებს მას შემდეგ, რაც მამაკაცი 40 წელს გადააბიჯებს.

მდინარე პოლონეთში

სასტუმრო აპარტამენტი

კამათლის წყვილი

ტიკტიკა ტიტინი

ჯორდანო ...

გაზაფხულის ყვავილი

სწრაფი კვების პროდუქტი

დაავადება

ციებ-ცხელების წამალი

დასახლებული პუნქტი

ავიაციის საერთაშ. ორგანიზაცია

მუსიკის საგანი

ციხის ოთახი



ქართული ანიმაციური სერიალი

მსხვილ კომპანიათა გაერთიანება

.... იოსელიანი

კოკბოის იარაღი

ლომის „ქონორი“

ცეცხლსასროლი იარაღი

სომალის დედაქალაქი

საოპერო პარტია

უქონელი ანუ ...

ფორთოხლის ფერი

ხელის „კონდიციონერი“

საწყალოსნო სპორტი

აშშ-ს ყოფილი ელჩი საქართ.

მდინარე ამერიკაში

დამუხტული ატომი

არაბთა სარდალი

სამოთხე უდაბნოში

მანქანის მარკა

ილუზიონისტი ანუ ...

ცხვრის ნაშიერი

სახაშე ბოსტნეული

იტალიის კუნძული

მანქანის მარკა

არაპირდაპირი ანუ ..

სამკაცა

ანტიკური ქალაქი

გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

გაზეთი „ვერსია“ ერთჯერადად შეისყიდის სკანვორდებს
(ელექტრონულ ვერსიას). ფასი შეთანხმებით.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე 599 62 88 77

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.